თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

პედაგოგიური და ასაკობრივი
ფსიქოლოგიის კათედრა

თ. გოგიჩაიშვილი

# უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი

ლექციების კურსი

მესამე ნაწილი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 1993

7, .02 I1
მ 534

ლექციების კურსი წარმოდგენილია პროგრამის მიხედვით და განკუთვნილია უნივერსიტეტის პედაგოგიური და ასაკობრივი ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. იგი გამოადგება აგრეთვე საშუალო სკოლების მასწავლებლებს, სასკოლო ფსიქოლოგებსა და უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ფსიქოლოგიით დაინტერესებულ პირებს.

ლიტერატურა მითითებულია ყოველი თავის ბოლოს.

რედაქტორი პროფ. ა. ბაინდურაშვილი

რეცენზენტები: დოც. თ. მესხიძე
დოც. თ. კარანაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993

Г 0303020000 / 608(06)-93

## ავტორისაგან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიური და ასაკობრივი ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს ეკითხებათ "სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიის" კურსი. აღნიშნული კურსი მოიცავს სამ ნაწილს: უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი, გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი და ადრეული ჭაბუკობის ფსიქოლოგია. კურსის პირველი და მეორე ნაწილი – "უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი" და "გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი" უკვე გამოვიდა. წინამდებარე ლექციების კურსი "სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიის" კურსის მესამე ნაწილია და მოიცავს უფროს სასკოლო ასაკს.

# თავი I

## უფროსკლასელთა ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებანი

უფროსი სასკოლო ასაკი ანუ ადრეული ჭაბუკობა განისაზღვრება როგორც განვითარების სტადია, რომელიც სქესობრივი მომწიფებით იწყება და მოწიფულობის დადგომით მთავრდება. ეს პერიოდი მოიცავს 15-დან 18 წლამდე ასაკს. აქსელერაციის გამო ყრმობის საზღვრებმა ძირს დაიწია, რის გამოც ახლა შესაბამისად ადრე იწყება სიჭაბუკე. ზოგიერთი მკვლევარის მიხედვით ადრეული ჭაბუკობის პერიოდია 14,5-17 წელი.

ადრეული ჭაბუკობა ფიზიკური ძალებისა და გონებრივი შესაძლებლობების განვითარების აყვავების ასაკია. ამ ასაკში დგება ფიზიკური სიმწიფე. ბიჭებისა და გოგონების უმრავლესობა ამ ასაკში სქესობრივ მომწიფებას ამთავრებს. კლებულობს მათი ზრდის ტემპი, მატულობს კუნთური ძალა და ფიზიკური ამტანობა. ამ მაჩვენებლებით ბიჭები საგრძნობლად სჭარბობენ გოგონებს. უფროსკლასელთა ფიზიკური განვითარება უახლოვდება უფროსების ფიზიკურ განვითარებას. ამ ასაკში მოზარდებისთვის დამახასიათებელი ინტენსიური ტემპით ზრდა სუსტდება და დგება ფიზიკური განვითარების შედარებით მშვიდი პერიოდი. ამ ასაკში მიმდინარეობს ჩონჩხის შემდგომი ფორმირება. მნიშვნელოვნადაა გაფართოებული მკერდის გარშემოწერილობა, რისი შედეგიცაა ფილტვების სასიცოცხლო მოცულობის ზრდა, მიმდინარეობს ხერხემლის ყველა ნაწილის ინტენსიური ზრდა, მატულობს მისი მოქნილობა, მთავრდება მოზარდისათვის სპეციფიკური დისპროპორცია გულის კუნთისა და სისხლძარღვთა სისტემის განვითარებას შორის. მატულობს სისხლძარღვთა დიამეტრი, რის გამოც სისხლის მიმოქცევა ნორმალური ხდება და მიმდინარეობს ძალისხმევის გარეშე. როგორც აღვნიშნეთ, მოზარდობის ასაკის

დისპარმონია სწორდება და ადვილი დაღლილობა ახლა ერთეულებისთვისაა დამახასიათებელი. სისხლის ნაკადის გაზრდა ორგანიზმში აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას და ხელს უწყობს ორგანოთა სრულყოფასა და შემდგომ განვითარებას.

ჭაბუკებს აღენიშნებათ კუნთების ზრდა სიგრძესა და სიგანეში. თითქმის ორჯერ იზრდება კუნთების ბოჭკოების დიამეტრი; ვითარდება მყესები. წვრილი კუნთები დიფერენცირებული და სრულყოფილი ხდება,[1] რის შედეგადაც უმჯობესდება მოძრაობათა სიზუსტე და კოორდინაცია. ამ ასაკის ვაჟები და ქალიშვილები იღებენ თავიანთი სქესისათვის დამახასიათებელ ტიპიურ გამოსახულებას. ქალებს უბრუნდებათ გარდამავალ ასაკში დაკარგული მოძრაობის გრაციოზულობა, ხოლო ვაჟებს ტლანქი და უხეში მოძრაობები უქრებათ, იზრდება კუნთების წონაც. 18 წლის ასაკში კუნთების წონა მთელი სხეულის წონასთან მიმართებაში შეადგენს საშუალოდ 44% (მოზარდებთან – 32%).

ქალიშვილები თავიანთ სრულ სიმაღლეს 16–17 წლის, ხოლო ვაჟები – 17–18 წლის ასაკში აღწევენ. როგორც აღვნიშნეთ, მატულობს სხეულის წონა, თანაც ბიჭები ამ მიმართულებით გოგონებთან ადრეულ ფიზიკურ ჩამორჩენას ანაზღაურებენ. ძლიან სწრაფად მატულობს კუნთური ძალა. 16 წლის ბიჭი 12 წლისაზე თითქმის ორჯერ ძლიერია.

უნდა აღინიშნოს, რომ უფროსკლასელთა სხეულებრივი განვითარება ამ ასაკში მთლიანად მაინც არ მთავრდება. სიმაღლეში ზრდა და ფიზიკური ძალის მატება რამდენიმე ხანს ჭაბუკობის ასაკის შემდეგაც გრძელდება.

უფროსი სასკოლო ასაკის დასაწყისში, ჩვეულებრივ, მთავრდება სქესობრივი მომწიფება, სრულად ვითარდება მეორადი სასქესო ნიშნები, რასაც ჭაბუკის გარეგნობაში დიდი ცვლილებები შეაქვს. ზოგჯერ სქესობრივი მომწიფება ჭიანურდება (უფრო ხშირად ბიჭებში) და ჭაბუკებს უვითარდებათ მოზარდებისათვის დამახასიათებელი ფიზი-

კური ნიშნებია. ფიზიკური და სოციალური სიმწიფე პარალელურად დგება 18 წლის ასაკში.

სქესობრივი განვითარების თვალსაზრისით ამ ასაკის ბიჭებისა და გოგონების უმრავლესობა უკვე პოსტპუბერტატულ პერიოდში იმყოფება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სქესობრივი სიმწიფე ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალურ სიმწიფეს. არსებითად ჭაბუკობის ასაკი არის წმინდა ფიზიოლოგიური სიმწიფიდან სოციალურ მომწიფებაზე გადასვლა. ამ პროცესის მთავარი შინაარსია უფროსების ცხოვრებაში ჩართვა და მათი საზოგადოებრივი ცხოვრების წესების, ნორმებისა და კანონების ათვისება. როგორც ცნობილია, ახლა სქესობრივი მომწიფება 2-3 წლით ადრე დგება წინა საუკუნესთან შედარებით, მაგრამ სოციალური მომწიფება უფრო გვიან ხდება.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიმჩნევა უფროსკლასელთა ნერვული სისტემის განვითარებაშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცვლილებები ტვინის მასის ზრდის ხარჯზე კი არ ხდება, არამედ ტვინის უჯრედული აგებულების გართულებითა და ასოციაციური ბოჭკოების რიცხვის ზრდით. ეს ბოჭკოები ქერქის ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებენ. ამ პროცესის საბოლოო შედეგი ისაა, რომ იქმნება დიდი ჰემისფეროების ქერქის ანალიტიკურ-სინთეზური მოქმედების წანამძღვრები.

უფროსკლასელთა ფიზიკური განვითარება დიდ გავლენას ახდენს მათ ფსიქიკურ განვითარებასა და პიროვნების ჩამოყალიბებაზე. საკუთარი ფიზიკური ძალისა და გარეგნული მიმზიდველობის გაცნობიერება ხელს უწყობს ისეთი თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა საკუთარ თავში დარწმუნებულობა, ოპტიმიზმი, ცხოველმყოფელობა, ხოლო საკუთარი ფიზიკური ნაკლის გაცნობიერება იწვევს ისეთი უარყოფითი თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა უკმარობის კომპლექსი, ეჭვიანობა, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა, ჩაკეტილობა, ინდივიდუალიზმი.

ამრიგად, უფროსკლასელთა ფიზიკური განვითარების შედეგები განსაზღვრულ გავლენას ახდენენ პიროვნების ზოგიერთ ნიშანსა და თვისებაზე და განსაზღვრავენ სამომავლო ქცევებს.

უფროსი სასკოლო ასაკის ქალიშვილებში 15-სა და 16 წლებს შორის, ხოლო ვაჟებში 16-სა და 17 წლებს შორის არის ხანმოკლე, მოზრდილების ნერვული აგზნების ფაზა, რომელსაც ახალგაზრდობის კრიზისის სახელწოდებითაც აღნიშნავენ (2, 86). ამ დროს აღინიშნება ერთგვარი აწეული აგზნებადობა, ემოციური დაძაბულობა და მოტორული მოუსვენრობა. ქვეითდება ნებისმიერი ყურადღების კონცენტრაციის უნარი და აკადემიურ წარმატებასთან დაკავშირებული ინტერესების ხარჯზე იზრდება სკოლის გარეთ მიმდინარე მოვლენებისადმი მისწრაფება. ამ მოვლენას ხსნიან ორგანიზმის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებით, ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მგრძნობელობის აწევით გაღიზიანებებისადმი და საკუთარი "ძალების" ზედმეტად გამოყენებით (სიგარეტის წევის ადრიანად დაწყება, გვიან დაძინება, ცხოვრების ჩვეული რიტმისა და რეჟიმის დარღვევები და ა.შ.). საბედნიეროდ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გრძელდება და მალე დგება სიცოცხლის ხალისით აღვსილი ჭაბუკური ცხოვრება, რომელიც მომავალს ნათელ ფერებში ხატავს.

ამრიგად, ფიზიკური განვითარება უფროს სასკოლო ასაკში ძირითადად მთავრდება. ჭაბუკი 18 წლის ასაკში აღწევს ფიზიკურ სიმწიფეს, რაც დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრების დასაწყისის საფუძველი ხდება.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია. ა. პეტროვსკის რედაქციით. თბ. 1977 წ. გვ. 178-181.
2. შ. ჩხარტიშვილი - აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია. თბ., 1974 წ. გვ. 86-93.
3. Возрастная и педагогическая психология. Под ред.М.В.Гамезо, М.В.Матюхиной, Т.С.Михальчик. М., 1984 г. Стр.232-234.
4. Крутецкий В.А. Основы педагогической психологии. М., 1972 г. Стр.112-115.
5. Крутецкий В.А., Лукин Н.С. Очерки психологии старшего школьника. М., 1963 г. Стр.5-15.
6. Кон И.С. Психология юношеского возраста. М., 1979 г. Стр.33-47.
7. Кон И.С. Психология старшеклассника. М., 1980 г.Стр.31-33.
8. Шумилин Е.А. Психология ранней юности. В книге "Возрастная и педагогическая психология". М., Под ред.Б.С.Волкова. М., 1975 г. Стр.92-109.
9. Кувшинов Н.И. Возрастные и индивидуальные особенности детей. Омск, 1973 г.
10. Толстых А.В. Возрасты жизни. М., 1988 г.
11. Шумилин Е.А. Возрастные особенности подростков и юношей. М., 1978 г.
12. Хрипкова А.Г., Антропова М.В., Фарбер Д.А. Возрастная физиология и школьная гигиена. М., 1990 г.

# თ ა ვ ი II

## პიროვნების განვითარება უფროს სასკოლო ასაკში

უფროსკლასელის ფსიქიკური განვითარება არსებით ცვლილებებს განიცდის იმ ახალი მდგომარეობის გამო, რომელიც მას ახლა უკავია მოზარდებთან შედარებით ოჯახში, სკოლაში და საზოგადოებაში. ეს ცვლილებები ჯერ კიდევ წინა პერიოდში მზადდება, როცა ჩამოყალიბებას იწყებს "მოწიფულობის გრძნობა", დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, თანატოლთა კოლექტივში შესაფერისი ადგილის დაკავებისა და უფროსების მოწონების, პატივისცემისა და აღიარების მოპოვების დიდი მისწრაფება.

მოზარდებთან შედარებით უფროსკლასელებს ოჯახში უფრო საპასუხისმგებლო და სერიოზული მდგომარეობა უკავიათ. მოზარდების უდიდესი მისწრაფება, როგორც აღვნიშნეთ, არის ის, თუ როგორ მოაჩვენონ თავი უფროსებს "უფროსებად". უფროსკლასელებს კი ეს მდგომარეობა ახლა ფაქტიურად უკავიათ. მათ აზრს უკვე ანგარიშს უწევენ.

როგორც ვნახეთ, პიროვნების განვითარების თვალსაზრისით გარდამავალი ასაკი არის ბავშვობიდან მოწიფულობაში გადასვლის დასაწყისი პერიოდი. სოციალურ ურთიერთობაში მოზარდის როლი, შუალედური მდგომარეობა აპირობებს მის, როგორც ნახევრად ბავშვისა და ნახევრად მოზრდილის გაურკვეველ მდგომარეობას. უფროსი მოზარდებისთვის დამახასიათებელია უფროსებისადმი მკვეთრი დაპირისპირება, შინაგანი დისჰარმონია, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა და ა.შ. უმცროსკლასელებთან შედარებით მოზარდის პიროვნება თვისობრივად გარდაიქმნება, იცვლება უფროსებთან დამოკიდებულების ძველი ტიპი, ხდება ბავშვური დამოკიდებულების ტიპიდან დამოკიდებულების უფრო

მაღალ ტიპზე გადასვლა, რომელიც უკვე გარკვეულ საზოგადოებრივ ნორმებზეა დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ ახლა იწყება შეგნებული, ნამდვილი პიროვნების ფორმირება. ე.ი. პიროვნება იბადება მეორეჯერ. იწყება პიროვნების როგორც თვითგანვითარებადი და თვითმაორგანიზებელი სისტემის ჩამოყალიბება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოზარდებში ეს თვითცვლა და თვითსრულყოფა ჯერ კიდევ ეპიზოდურია და ცალკეული თვისებების განვითარებისკენ უფროა მიმართული. "დამოუკიდებლობის მაქსიმუმის" პოზიციიდან გამომდინარე ჩნდება ამ ასაკის პიროვნების ცენტრალური ახალწარმონაქმნი – მოწიფულობის გრძნობა, საკუთარი თავის გარესამყაროსადმი დაპირისპირება, საკუთარი "მე"-ს გაცნობიერება, რომლის შედეგია საკუთარი და სხვების შინაგანი სამყაროსადმი დიდი ინტერესის გაჩენა.

გარდამავალ ასაკში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობის მოთხოვნილებას. ამასთან, ეს ურთიერთობა არჩევითია და ძირითადად მიმდინარეობს იმ თანატოლებთან, რომელთანაც მოზარდს მსგავსი პიროვნული თვისებები აქვს. ესაა ურთიერთობის სრულიად ახალი ტიპი. ე.ი. ახლა სასწავლო მოქმედება უკვე აღარაა წამყვანი, როგორც ეს უმცროს სასკოლო ასაკში იყო. ახლა ძირითადი და წამყვანია თანატოლებთან "ინტიმურ-პიროვნული ურთიერთობანი". უფროს მოზარდებთან კი უკვე წინა პლანზე გამოსვლას იწყებს პროფესიონალური მომენტიც, როცა მოტივად გვევლინება პროფესიონალური თვითგამორკვევა და ცხოვრებისეული გზის არჩევა. თუ უმცროსი მოზარდისთვის დამახასიათებელი იყო მომავლის ხატის განუსაზღვრელი იდეების ფორმაში არსებობა, უფროს მოზარდებში იგი ყალიბდება განზოგადებული ცხოვრებისეული გეგმების სახით. ხდება კითხვების დიფერენციაციაც: 1) "რა უნდა გამოვიდე" (პროფესიონალური თვითგამორკვევა) და ბ) "როგორი უნდა გამოვიდე" (ზნეობრივი თვითგამორკვევა, რაც მნიშვნელოვანი მომენტია).

ცხოვრებისეული გეგმები. პირველად გარდამავალ ასაკში ცნობიერდება. ესაა იმ რთული პროცესის მაჩვენებელი, რომელსაც მოზარდის მიერ საკუთარი შინაგანი სამყაროს გაგება და გაცნობიერება იწვევს. მომავალთან დამოკიდებულება მოზარდის პიროვნების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

გარდამავალი ასაკის ბოლოს ამ პერიოდის ახალწარმონაქმნად გვევლინება თვითგამორკვევა, რომელიც ხასიათდება არა მარტო საკუთარი შესაძლებლობებისა და მისწრაფებების გააზრებით, არამედ ადამიანთა საზოგადოებაში საკუთარი ადგილისა და დანიშნულების გაცნობიერებით.

უფროსი სასკოლო ასაკი, ძირითადად, ამთავრებს ბავშვის განვითარების პერიოდიზაციას. თუმცა განვითარება შემდგომ ასაკშიც გრძელდება. პიროვნების მოწიფულობა იწყება ადრეული ჭაბუკობიდან. ამ დროს ხდება არსებითი პიროვნული გარდაქმნები. ფსიქიკური განვითარების პროცესი, პიროვნების ჩამოყალიბება, ძირითადად, მთავრდება უფროსი სასკოლო ასაკის ბოლოს, რიცა ადამიანის შრომითი და მოქალაქეობრივი სიმწიფე იწყება.

ადრეული ჭაბუკის მთავარი ფსიქოლოგიური მონაპოვარია საკუთარი შინაგანი სამყაროს უფრო ნათელი გააზრება და გაცნობიერება, ვიდრე ამას გარდამავალ ასაკში ჰქონდა ადგილი. საკუთარი შინაგანი სამყაროს აღმოჩენა და მისი ფაქიზი ანალიზი რთული ბუნების პროცესია. უფროსკლასელი უკვე გრძნობს საკუთარ "განუმეორებლობას", რაც მეტად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური აღმოჩენაა.

როგორც აღვნიშნეთ, უფროსი სასკოლო ასაკის პიროვნების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის მდგომარეობა სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებაში. ეს მდგომარეობა ახლა უფრო საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს და იგი სკოლის საზღვრებს სცილდება. ადრეული ჭაბუკობის ძირითადი ახალწარმონაქმნია პიროვნული თვითგამორკვევ-

სადმი ფსიქოლოგიური მზაობა. უფროსკლასელთა სპეციფიკური თავისებურებაა მათი არაერთგვარი სოციალური მდგომარეობა: ერთი მხრივ, მათ აწუხებთ მოზარდობის ასაკიდან გადმოყოლილი ისეთი პრობლემები, როგორიცაა უფროსებისაგან ავტონომიის უფლება, ურთიერთდამოკიდებულებანი, თანატოლებთან (განსაკუთრებით საწინააღმდეგო სქესის) და უფროსებთან ურთიერთობის პრობლემები და ა.შ. მეორე მხრივ კი, მათ წინაშე მთელი სიმწვავით დგება ცხოვრებისეული თვითგამორკვევის ამოცანები. ასეთი თავისებური სოციალური სიტუაცია აპირობებს პიროვნების განვითარების თავისებურებას უფროს სასკოლო ასაკში: სწორედ ამ ახალი სოციალური სიტუაციის საფუძველზე ხდება უფროსკლასელის პიროვნების მოტივაციური სფეროს ცვლილებები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა თვისებების შეცვლის მიზეზი და საფუძველი ხდება. ახლა პიროვნების ძირითადი მიმართულებაა მომავლისაკენ სწრაფვა და პროფესიის არჩევის პრობლემა.

უფროსკლასელის ძირითადი ახალწარმონაქმნი, როგორც აღვნიშნეთ, არის პიროვნული და პროფესიონალური თვითგამორკვევა: ზოგიერთი ავტორი უფრო აზუსტებს ამ პოზიციას და ამბობს, რომ უფროს სასკოლო ასაკში ყალიბდება არა თვით პიროვნული და პროფესიონალური თვითგამორკვევა, არამედ მისადმი ფსიქოლოგიური მზაობა. მათი აზრით, როგორც პირველკლასელი უნდა იყოს ფსიქოლოგიურად მზად სასკოლო სწავლების დასაწყებად, ასევე სჭირდება უფროსკლასელსაც ფსიქოლოგიური მზაობა "უფროსის" როლის შესასრულებლად. "... თვითგამორკვევისადმი ფსიქოლოგიური მზაობა გულისხმობს უფროსკლასელებს ჩამოუყალიბდეთ ისეთი ფსიქოლოგიური წარმონაქმნები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ შემდგომ შეგნებულ, აქტიურ, შემოქმედებით ცხოვრებას" (16, 11).

განვითარების სოციალური სიტუაციის ანალიზის პროცესში ვასკვნით, რომ უფროსკლასელი დგას დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების ზღურბლზე. ცხოვრებაში საკუთარი ადგილის განსაზღვრა არის უფროს-

კლასელის განვითარების სოციალური სიტუაციის ძირითადი კომპონენტი. ამის გამო უფროსკლასელისთვის პროფესიის არჩევა პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს, რადგანაც ფსიქიკური განვითარების მიღწეული დონის კვალობაზე მათთვის პრობლემის გადაჭრა საერთოდ მომავალი ცხოვრებისეული გზის არჩევის ტოლფასია. ყოველივე ეს ქმნის განვითარების სპეციფიკურ სოციალურ სიტუაციას. პროფესიის არჩევა უფროსკლასელის განვითარების სოციალური სიტუაციის ფსიქოლოგიური ცენტრია და იგი იქცევა ჭაბუკის შინაგან პოზიციად. მოზარდებთან შედარებით უფროსკლასელთა შინაგანი პოზიცია მიმართულია მომავალზე და აწმყო განიხილება როგორც მათი პიროვნების ძირითადი მიმართულების ფონი.

მომავალთან დაკავშირებული უფროსკლასელთა ისეთი მოტივები, როგორიცაა განათლების მიღება, აუცილებელი ცოდნის მოპოვება, ახლა არა მხოლოდ დომინირებული მოტივებია, არამედ მათი სასწავლო ქცევის უშუალო აღმძვრელებადაც გადაიქცევიან.

მომავალი ცხოვრების მიმართულების და ამ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დაკავების მოთხოვნილება არის ამ ასაკის მოსწავლის თვითგამორკვევის ნამდვილი აქტი, რომლის თვალსაზრისითაც უნდა განვიხილოთ მოცემული ასაკის ყველა თავისებურება. რა თქმა უნდა, თვითგამორკვევის პრობლემები, ცხოვრების აზრი და მიზანი უფროს სასკოლო ასაკში საბოლოოდ კი არ მთავრდება, არამედ მთელ ჭაბუკობის პერიოდში გრძელდება. მაგრამ უფროს სასკოლო ასაკში ისინი პირველად აღმოცენდებიან როგორც აქტუალური აღმძვრელნი და ფსიქიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენენ. ამრიგად, თვითგამორკვევა უფროსკლასელის პიროვნების ცენტრალური ახალწარმონაქმნია. ესაა უფროსკლასელის მოთხოვნილება დაიკავოს უფროსის შინაგანი პოზიცია, გააცნობიეროს საკუთარი თავი როგორც საზოგადოების წევრი, გაიაზროს საკუთარი ადგილი და დანიშნულება ცხოვრებაში: თვითგამო-

რჩევა ესაა პროფესიის არჩევა და პროფესიული პერსპექტივის და ცხოვრებისეული პოზიციის განსაზღვრაც. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიის არჩევა უფროსკლასელთა ერთ ნაწილთან არაა მტკიცე და ეს პრობლემა ხშირად ნაჩქარევად წყდება დამამთავრებელი კლასების ბოლოს. არის შემთხვევები, როცა პროფესიის არჩევა ხდება უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე საბუთების შეტანის დღეებშიც.

ასეთია, მოკლედ, განვითარების სოციალური სიტუაცია უფროს სასკოლო ასაკში.

შესამჩნევად ვითარდება უფროსკლასელის თვითცნობიერება და თვითშეფასება, რომლებიც ახლა თვისობრივად ახალ შინაარსს ღებულობენ. მათი მთავარი ამოცანაა საკუთარი პიროვნების მორალური ნიშნების და ცხოვრებისეული გეგმების შეფასება, რითაც, ძირითადად, განსხვავდება მოზარდისა და უფროსკლასელის თვითცნობიერება ერთმანეთისაგან. ოჯახსა და კოლექტივში ახალი მდგომარეობა და გარეშემოყოფებთან ახალი დამოკიდებულებები მოსწავლეს აიძულებს შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, გააცნობიეროს საკუთარი პიროვნების თავისებურებანი იმ მიზნებთან შესაბამისობაში ან შეუსაბამობაში, რომელსაც მას ცხოვრება უყენებს. უფროსკლასელის თვითცნობიერება, მოზარდთან შედარებით, უფრო დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს. იგი არ იმეორებს უფროსების შეფასებებს, არამედ ეყრდნობა მხოლოდ საკუთარს, ახლოა საკუთარ პიროვნებასთან, ქცევას და მოქმედებას საკუთარი საზომით ზომავს და აფასებს. ეს მომენტი უფროსკლასელის თვითცნობიერების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია მოზარდებთან შედარებით. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ უფროსკლასელის მიერ საკუთარი პიროვნების შეფასება ნაკლებად ობიექტური იყოს, ვიდრე მოზარდის მიერ საკუთარი პიროვნების შეფასება, რადგანაც, მოზარდები, ხშირად, უფროსების შეფასებებს იმეორებენ. ამის გამო, რომ უფროსკლასელები, ზედმეტად აფასებენ, გადააფასებენ ხოლმე სა-

ქუთარ პიროვნებას, ავლენენ ავადმყოფურ თავმოყვარეობას, ყოყოჩობენ კიდევ. ზოგიერთები კი დაბალი დონის შეფასებებსაც ავლენენ.

უფროსკლასელს ახლა საკუთარი პიროვნების შეფასება შეუძლია მთლიანობაში და არა რომელიმე ცალკეული ნიშნის მიხედვით, როგორც ეს მოზარდებში ხდება. მოზარდი, როგორც ვნახეთ, ამას აკეთებდა ერთი ან რამდენიმე პიროვნული ნიშნის მიხედვით და შემდეგ მთელ პიროვნებაზე ავრცელებდა.

ამერიკელი ფსიქოლოგი მ. როზენბერგი გამოყოფს "მე"-ს ხატის ექვს სახეს: 1) "ნამდვილი "მე" - როგორსაც ინდივიდი თავის თავს ხედავს სინამდვილეში მოცემულ მომენტში.

2) "დინამიური "მე" - როგორიც ინდივიდს აქვს მიზნად დასახული რომ გახდეს.

3) "ფანტასტიკური "მე"-როგორიც უნდა იყოს ის შესაფერი ნორმებისა და ნიმუშების მიხედვით.

4) "მომავალი ან შესაძლო "მე" - როგორიც ის უნდა გახდეს.

5) "იდეალური "მე" - როგორ სასიამოვნო და მისაწონი იქნება დაინახოს საკუთარი თავი.

6) "წარმოდგენილ "მე"-თა რიგი. ესაა იმ ხატებისა და "ნიღბების" წარმოდგენები, რომელსაც ინდივიდი იღებს მოჩვენებით, რათა დაფაროს რომელიმე უარყოფითი თვისება ან "ნამდვილი "მე".

თვითშეფასება გვევლინება ხან კოგნიტიური, ხან ემოციური ტონით შეფერილი. მაგალითად, ვ. ჯეიმსის აზრით თვითშეფასება უპირველეს ყოვლისა ესაა საკუთარი თავით კმაყოფილება ან უკმაყოფილება. ა. სპირკინი და სხვები უპირატესობას ანიჭებენ თვითშეფასების კოგნიტიურ. შემეცნებით მხარეს. ამ თვალსაზრისით თვითშეფასება გვევლინება როგორც თვითშეგნების შემადგენელი ნაწილი. დ. ჩესნოკოვას შრომების მიხედვით თვითშეფასება განიხილება როგორც საკუთარი თავის შეცნობის შედეგის ფიქსირება. ესაა ემოციური განცდა იმისა, რასაც ადა-

მიანი საკუთარი თავის მიმართ იგებს. ამასთანავე, თვითშეფასების ძირითადი ფუნქცია ისაა, რომ იგი ქცევის რეგულატორად გვევლინება.

თვითშეფასების შინაარსი რთული და მრავალსპექტიანია. იგი მორალურ სფეროსაც მოიცავს. პიროვნების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე თვითშეფასება თვითცნობიერების განვითარების დონეს ასახავს.

ვ. ჯეიმსის მიმდევარის რ. ბეილის მიხედვით თვითცნობიერება არის საკუთარი თვითკმაყოფილების ხარისხის მაჩვენებელი. კ. როჯერსის აზრით თვითშეფასების სტრუქტურაში გამოიყოფა რეალური და იდეალური "მე": იგი გამოყოფს ოთხ პარამეტრს: ა) რეალური წარმოდგენა საკუთარ თავზე; ბ) წარმოდგენა საკუთარი სოციალური როლის შესახებ; გ) წარმოდგენა საკუთარი ფიზიკური მდგომარეობისა და ჯანმრთელობის შესახებ და დ) წარმოდგენა საკუთარი მიზნების, გეგმებისა და სურვილების შესახებ. იდეალური "მე" - თვითაღზრდის დიდი სტიმულია. ეს განსაკუთრებით უფროს სასკოლო ასაკშია აქტუალური.

თვითცნობიერება უფროს სასკოლო ასაკში უფრო კრიტიკული და თვითკრიტიკულია მოზარდებთან შედარებით. იგი უფროსისა და თანატოლის მორალურ მხარეს მაღალ მოთხოვნებს უყენებს. მაგალითად, უფროსკლასელთა მიერ თანატოლების მორალურ-ნებელობითი თვისებების შეფასების შესწავლის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამ თვალსაზრისით უფროსკლასელები მორალურ ნიშნებს ანიჭებენ უპირატესობას ნებელობასთან შედარებით. გოგონების დიდი უმრავლესობა საკუთარ თავს და სხვებს უმეტესწილად მორალური ნიშნების მიხედვით აფასებენ.

საკუთარი თავისადმი ინტერესი უფროსკლასელებში მეტად ინტენსიურად ვითარდება. ისინი გარეშემომყოფებთან დამოკიდებულებას საკუთარი თავის შესახებ შექმნილი წარმოდგენებისა და ხატის მიხედვით აგებენ. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი ხატი ჯერ კიდევ არაა მყარი. უფროსკლასელი საკუთარ თავზე დაკვირვებისას აღმო-

ჩვენს, რომ მასში ერთდროულად და ერთმანეთის გვერდით არის მოცე-
მული მაღალი მორალური იდეალები და მდაბალი მისწრაფებებიც, ეგო-
იზმიც და ალტრუიზმიც, სითამამეც და მორცხვობაც და ა.შ.

თვითცნობიერება, როგორც საკუთარი მორალურ-ფსიქოლოგიური და
გაცნობიერების თვისებების შეფასების მოთხოვნილება ჯერ კიდევ,
როგორც ვნახეთ, გარდამავალ ასაკში ვითარდება. მაგრამ საკუთარი
თავის მიმართ გაცილებით ღრმა ინტერესი უფროს სასკოლო ასაკში
ჩნდება. ამ ასაკში თვითცნობიერება აღწევს სრულყოფას. ახლა თვით-
ცნობიერება არაა დაკავშირებული მოსწავლის მიერ საკუთარი განცდე-
ბის სამყაროში შესვლასთან და არ წარმოადგენს უნაყოფო და უმიზნო
თვითანალიზს. თვითცნობიერების ამოცანებს ამჯერად ცხოვრების უფრო
და უფრო გართულებული პირობები სვამს. ახალი მდგომარეობა სკოლაში,
ოჯახსა და საზოგადოებაში აიძულებს უფროსკლასელს ობიექტურად შეა-
ფასოს საკუთარი შესაძლებლობანი, გააცნობიეროს საკუთარი პიროვნუ-
ლი თვისებები მისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ან
შეუსაბამობის თვალსაზრისით. უფროსკლასელი მოზარდზე უფრო ღრმად
და უკეთესად აფასებს საკუთარი პიროვნების დადებით და უარყოფით
თვისებებს. მოზარდები, ჩვეულებრივ, აცნობიერებენ პიროვნული თვი-
სებების მხოლოდ გარეგნულ გამოვლინებებს, ხოლო უფროსკლასელები კი
ისეთ ნიშნებს, რომლებიც უშუალოდ არ აღიქმებიან და სიღრმისეულია.
უფროსკლასელთა თვითცნობიერება მოზარდებთან შედარებით გაცილებით
აქტიურია. ისინი უფრო აქტიურად ცდილობენ აღზარდონ საკუთარ თავ-
ში დადებითი თვისებები და მოსპონ უარყოფითი ნიშნები. ე.ი.
თვითაღზრდის მოთხოვნილება უფროსკლასელებში გაცილებით უფრო ინ-
ტენსიურია, ვიდრე მოზარდებში. თვითაღზრდის თვალსაზრისით უფ-
როსკლასელთათვის დამახასიათებელია განსაზღვრული მორალურ-ფსიქოლო-
გიური ხატის ჩამოყალიბება მთლიანობაში და არა რომელიმე ცალკეულ
თვისების თვითაღზრდა. ეს კი მნიშვნელოვანი წინსვლაა. ტიპიური

გარე სამყარო სუბიექტური გამოცდილების შესაძლებლობაა, რომლის ცენტრშიც თვითონ იმყოფება.

თვითცნობიერება გულისხმობს საკუთარი თავის იგივეობრიობის ცნობიერებას, საკუთარი "მე"-ს, როგორც აქტიური საწყისის ცნობიერებას, საკუთარი ფსიქიკური თვისებების გაცნობიერებისა და სოციალურ-ნორმატიული თვითშეფასების სისტემას. ყველა ეს მომენტი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც გენეტიკური, ისე ფუნქციონალური თვალსაზრისით, მაგრამ ისინი ერთდროულად არ ყალიბდება. საკუთარი ფსიქიკური თვისებების გაცნობიერება და თვითშეფასება ყველაზე დიდ მნიშვნელობასა და აქტუალობას გარდამავალსა და უფროს სასკოლო ასაკში იძენს.

როგორც ვნახეთ, გარდამავალ ასაკში მოზარდი სრულიად განსხვავებულად აღიქვამს თავის ფიზიკურ ხატს. საკუთარი სხეულის ხატისადმი გაძლიერებული ინტერესი ჭაბუკებსაც ახასიათებთ, რადგანაც ამავე დიდადაა დამოკიდებული თანატოლებთან მათი პრესტიჟი და პოპულარობა. უფროსკლასელთა ნაწილს აწუხებს დაბალი ტანი, სიმსუქნე, ნაგვიანევი სქესობრივი მომწიფება და ა.შ. მეორადი სასქესო ნიშნების დაგვიანება არასრულფასოვნების კომპლექსსაც ავითარებს. საკუთარი სხეულის ხატის მოვლისადმი მიმართული ზრუნვა, რაც უფროსკლასელებისთვის ძალიანაა დამახასიათებელი, უკვე სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციის მატარებელია და თვითდამკვიდრების მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთ-ერთი საშუალება ხდება.

თვითრეფლექსიის ზრდა, საერთოდ, საკუთარი თავისადმი გაძლიერებული ინტერესი, ტიპიურია ადრეული სიჭაბუკისათვის. ეს მოვლენა, თავის მხრივ, ეგოცენტრიზმისა და საკუთარ თავში ჩაკეტილობის გარკვეულ საფრთხესაც შეიცავს. ეს განსაკუთრებით იმ მოსწავლეების მიმართ ითქმის, რომლებსაც ნევროტიზმის ნიშნები ახასიათებთ. ჭაბუკური თვითრეფლექსია არის საკუთარი "მე"-ს და სამყაროში საკუთარი

ადგილის გაცნობიერება, რის გამოც თვითანალიზი სოციალურ-ზნეობრივი თვითგამორკვევის მნიშვნელოვან ელემენტად იქცევა. თვითანალიზისა და თვითრეფლექსიის სიღრმე და საკუთარი თავისადმი მაღალი მოთხოვნები თვითაღზრდის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. თვითრეფლექსიის სიღრმე კი დამოკიდებულია ისეთ სოციალურ და ინდივიდუალურ-ტიპოლოგიურ ფაქტორებზე, როგორიცაა სოციალური წარმომავლობა და გარემო, განათლების დონე, ექსტრა და ინტროვერტიზმის ხარისხი, ოჯახური აღზრდის პირობები და ა.შ.

ადრეულ ჭაბუკობაში საფუძველი ეყრება პიროვნების ისეთ განსაკუთრებულ მნიშვნელოვან თვისებას, როგორიცაა საკუთარი თავის პატივისცემა, ანუ განზოგადებული თვითშეფასება, საკუთარი თავის პიროვნებად აღიარების ან არაღიარების საკითხი. საკუთარი თავის პატივისცემა იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი არ თვლის თავს სხვებზე უარესად, იგი საკუთარი თავის მიმართ დადებითადაა განწყობილი. საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაბალი დონე კი თავის თავისადმი დაუკმაყოფილებლობის და თავისი ძალებისა და შესაძლებლობების ურწმუნობის ნიშანია, რაც შემდგომში საერთო ცხოვრებისეული წარუმატებლობის ხშირი მიზეზი ხდება. ყოველივე ამას საფუძველი ეყრება უფროს სასკოლო ასაკში. რაც უნდა არასასიამოვნო იყოს ჭაბუკური თვითდაჯერებულობა, ფსიქოლოგიურად გაცილებით უფრო არასასიამოვნო და სახიფათოა საკუთარი თავის პატივისცემის დაბალი დონე. ასეთ ჭაბუკებს უჭირთ სხვებთან ურთიერთობა, რადგანაც თავის თავს არ თვლიან ღირსეულად ამ ურთიერთობაში. ასეთი მოსწავლეები ავადმყოფურად რეაგირებენ ყოველგვარ კრიტიკაზე, დატუქსვაზე და შენიშვნაზე. რაც უფრო დაბალია ადამიანის საკუთარი თავის პატივისცემის დონე, მით უფრო მოსალოდნელი მისი განმარტოებისკენ სწრაფვა. ასეთი რამ აქვეითებს აგრეთვე სოციალური ურთი-

ეპოქის დონეს, უარს ათქმევინებს ბავშვს დასახული მიზნის მიღწევის მცდელობაში.

თვითცნობიერების განვითარების კვალობაზე უფროსკლასელებს უვითარდებათ თვითაღზრდის მოთხოვნილება, რომელიც ახლა რომელიმე ნაკლის გამოსწორების ან რომელიმე დადებითი თვისების აღზრდისკენ კი არაა მიმართული, როგორც ეს მოზარდებში იყო, არამედ - პიროვნების ფორმირებისკენ მთლიანობაში. უფროს სასკოლო ასაკში ამ პროცესს საფუძვლად უდევს განზოგადებული იდეალები. ამ ასაკში თვითაღზრდა მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. თვითაღზრდა აღზრდის უმაღლესი ფორმაა.

მოზარდის თვითაღზრდას არ აქვს დამოუკიდებელი ხასიათი. იგი სიტუაციური და ეპიზოდურია. უფროს სასკოლო ასაკში კი ის სისტემატიური და მტკიცეა. უფროსკლასელები თვითაღზრდას უფრო სერიოზულად ეკიდებიან, ვიდრე მოზარდები. მიუხედავად ამისა, მათ მაინც სჭირდებათ ამ მიმართულებით უფროსების დახმარება.

პიროვნების თვითგამორკვევის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პრეტენზიის დონე. იგი გამოიხატება იმ მიზნებში, რომლებსაც ისახავს უფროსკლასელი მისი მიღწევის სირთულისა და სიძნელის თვალსაზრისით და რომელიც გამოხატავს იმ მოთხოვნებს, რომელსაც ბავშვები საკუთარ თავს უყენებენ. როგორც ვნახეთ, პრეტენზიის დონის კომპონენტები ჯერ კიდევ უმცროს სასკოლო ასაკში ვლინდება. გარდამავალ ასაკში იზრდება პრეტენზიის რეალურობა, მცირდება წარმატების ან წარუმატებლობის ატიპიური, არაადეკვატური რეაქციების რიცხვი. მოზარდისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე პრეტენზიის დონის ნაკლები სიმყარე და სტაბილურობა, იდეალური და რეალური მიზნების სუსტი დიფერენციაცია. უფროს სასკოლო ასაკში მოზარდებთან შედარებით პრეტენზიის დონე შესამჩნევად იზრდება. იწყება რეალური და იდეალური მიზნების დიფერენციაცია. მიზნის დასახვა გულისხმობს საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების რეალურ შეფასებას.

უფროსკლასელთა იდეალები მოზარდებთან შედარებით უფრო განზოგადებულია, რაც დაკავშირებულია ანალიზისა და პიროვნების ცალკეული ნიშნების გამოყოფასთან და მათი ერთ საერთო ხატში სინთეზირების უნარის განვითარებასთან. თუმცა უფროსკლასელთა იდეალები ყოველთვის არაა განზოგადებული. ჭაბუკების ერთ ნაწილში იდეალად გვევლინება რომელიმე კონკრეტული ხატიც.

როგორც ვნახეთ, უმცროს სასკოლო ასაკში იდეალად გვევლინება რომელიმე კონკრეტული ადამიანი, ინდივიდი. უმცროსკლასელები ხატავენ აღმზრდელებს, მშობლებს, და-ძმებს. მოზარდებს უფრო იზიდავთ მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა გმირები ან ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ გმირობის ჩადენა, ახასიათებთ ამხანაობა, გამბედაობა, ნებისყოფა, თავდადება, გაბედულობა და ა.შ. იდეალი მოზარდებშიც რომელიმე კონკრეტულ პიროვნებაში რეალიზდება.

უფროსკლასელებში კი იდეალი თავისი შინაარსითა და პიროვნებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით სულ სხვაგვარ ხასიათს ღებულობს. ადრეულ ჭაბუკისთვის ტიპიური მოვლენაა იდეალის შეგნებული ძიება. მას ახლა უკვე აქვს მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული და შემუშავებული ცნება იდეალის შესახებ. თუმცა ეს ცნება ყოველთვის არაა სრული და სწორი.

ამ ასაკში იდეალის მეორე ძირითადი თავისებურებაა გამძლეობა და ერთგვარი მუდმივობა, რაც წინა ასაკში არ შეინიშნებოდა. მაგრამ უფროსკლასელთა იდეალის ძირითადი თავისებურება, როგორც აღვნიშნეთ, ისაა, რომ იგი ახლა განზოგადებულ ხასიათს ღებულობს და გვევლინება მორალური მოთხოვნების სისტემის სახით, რომელსაც ჭაბუკები უყენებენ როგორც სხვებს, ისე საკუთარ თავსაც. მოზარდების და უფროსკლასელების იდეალებს შორის ის განსხვავებაა, რომ მოზარდები უმეტეს-

წილად ცდილობენ მიბაძონ მათ გმირს, იდეალს, უფროსკლასელები კი მიისწრაფვიან საკუთარ თავში გამოიმუშაონ დადებითი გმირის ხასიათი და მისი ქცევის არსებითი თვისებები. ამრიგად, უფროს სასკოლო ასაკში იდეალი არის განზოგადებული ხატი, რომელსაც ხშირად, არ აქვს კონკრეტული მიკუთვნებულობა, მაგრამ, ამავე დროს, ცხოვრებისეულია.

უფროსკლასელი განზოგადებულ იდეალს ათავსებს კონკრეტულ ინდივიდში, რაც ხშირად ამ პირის იდეალიზაციის საფუძველი ხდება. ამავე დროს, მისალოდნელია, რომ უფროსკლასელმა ამ პირს მიაწეროს ისეთი თვისებებიც, რომელიც მას შეიძლება არ ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში, მაგალითად, საყვარელ და პატივსაცემ ადამიანს აპატიებენ ან "ვერ შეამჩნევენ" მის ზოგიერთ უარყოფით თვისებას. მაღალი ზნეობრივი იდეალის არსებობა პიროვნების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

უფროსკლასელთა იდეალი ფაქტიურად ორი სახისაა: მართალია, ახლა იდეალი არის განზოგადებული ხატები, როგორც დადებითი თვისებების ერთობლიობა, მაგრამ ამ ასაკისათვის ხანდახან დამახასიათებელია მოზარდებისთვის სპეციფიკური კონკრეტული ხატებიც (რომელიმე კონკრეტული ადამიანის ხატი). თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ცალკეულ შემთხვევებში უფროსკლასელებს აქვთ უარყოფითი იდეალებიც: უარყოფითი პიროვნების ზოგიერთი თვისება, რომელსაც უფროსკლასელი დადებითად თვლის, ხანდახან მიბაძვის ნიმუში ხდება.

როცა ლაპარაკობენ მოსწავლეთა ზნეობრივი განვითარების ასაკობრივი თავისებურებების შესახებ, ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ უფროსკლასელთათვის დამახასიათებელია ქცევაში ზნეობრივი მრწამსისა და ცნობიერების როლის მნიშვნელოვანი ზრდა. თუ მოზარდის ქცევა ჯერ კიდევ ბევრ რამეში იმპულსურ ხასიათს ატარებს, აღიძვრება უშუალო სტიმულებით, განისაზღვრება უფროსების მითითებებითა და

მოთხოვნებით, უფროსკლასელთა ქცევა გაცილებით უფრო მეტად განისა-ზღვრება საკუთარი მორალური წარმოდგენებითა და მრწამსით, ცხოვრე-ბაზე საკუთარ შეხედულებათა სისტემით. შეიძლება ითქვას, რომ უფრო-სი სასკოლო ასაკის ბოლოს ყალიბდება საკუთარი მორალური კოდექსის მიხედვით მოქმედების მოთხოვნილება. ძნელი არაა იმის დანახვა, თუ უფროსკლასელები როგორ ღრმად და ფაქიზად ერკვევიან ზნეობრივი კატეგორიების შინაარსში. ისეთი რთული მორალური ცნებები, როგორი-ცაა პატიოსნება, მოვალეობა, საკუთარი ღირსების გრძნობა და ა. შ. უფროსკლასელს უკვე შეუძლია გააცნობიეროს ფაქიზად დეტალებშიც კი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ხანდახან ჭაბუკებს უმუშავდე-ბათ უარყოფითი მისწრაფებები და მორალური პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ მათ ქცევას შესაბამის სიტუაციებში.

მორალური ცნობიერება გაივლის სამ საფეხურს (5, 146-147): ა) მორალურამდელი დონე, როცა ბავშვი ასრულებს დადგენილ წესებს ეგოისტური მიზნების საფუძველზე. ე. ი. როცა ბავშვი ხელმძღვანელობს "გარეგნული" სტიმულით. იგი კარგად იქცევა იმიტომ, რომ არ და-საჯონ ან მიიღოს ჯილდო. თავის საქციელს იგი აფასებს სახილო შე-დეგის მიხედვით. ბ) კონვენციონალური მორალი, როცა წამყვანია ქცე-ვის გარეგნული ნორმები, როცა წესებისა და ნორმების "გარეგანი" სისტემა ინტერიორიზებულია. ბავშვი ცდილობს კარგად მოიქცეს უფრო-სად მის მოსაწონებლად, ვინც მისთვის დიდი ავტორიტეტია (მშობლე-ბი, მასწავლებლები). მორალის გაგება, როგორც წესებისა და ნორმე-ბის ერთობლიობა აქ ნიშნავს, რომ მორალური აღმძვრელის როლში ჯერ კიდევ გვევლინება გარეგნული, ფორმალური მხარეები. ეს არაა გაცნო-ბიერებული პრინციპები, არამედ ესაა გარეგნული ავტორიტეტი, რის გამოც ბავშვის ქცევა არამყარია. გ) ავტონომიური მორალი. ე. ი. შინაგანი, ავტონომიური პრინციპების საფუძველზე აგებული ორიენტა-ცია. აბსტრაქტული აზროვნების განვითარების კვალობაზე პიროვნება

ითვისებს მორალურ პრინციპებს, რომელთაც ზოგადი მსოფლმხედველობი-თი საფუძველი აქვს. რამდენადაც ამ პრინციპების ღირებულება და მნიშვნელობა კერძო ცხოვრებისეულ სიტუაციაზე არაა დამოკიდებული, მის განხორციელებას პიროვნება იწყებს უკვე საკუთარი სინდისის საფუძველზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი მიღწევაა და მას საფუძველი უფროს სასკოლო ასაკში ეყრება. ამ ასაკში მორალურ-ეთიკური პრობ-ლემები ჭაბუკის წინაშე მწვავედ დგება. უფროსკლასელები მოზარდებ-თან შედარებით უფრო სერიოზულ საკითხებში დამოუკიდებელ გადაწყვე-ტილებებს იღებენ. მათ უკვე შეუძლიათ დაინახონ არა მხოლოდ კონკრე-ტული ქცევის შედეგები, არამედ - ზოგად მორალური აზრიც. დაბოლოს, თვითცნობიერების მოქმედების აქტივიზაცია უფროსკლასელს აიძულებს საკუთარ თავს შეხედოს მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით. ჩნდება სინ-დისის ქენჯნის რთული მორალური გრძნობა.

უფროსკლასელთა უმთავრესი სოციოგენური მოთხოვნილებებია:

1) ურთიერთობის მოთხოვნილება, რომელიც ყალიბდება გარემომყოფებ-თან ადამიანურ ურთიერთობებში. ასაკის წინსვლასთან ერთად იგი მოს-წავლეთა ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. ამ მოთხოვ-ნილების განვითარების დინამიკაში, ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ადრეული ჭაბუკობის ასაკს უჭირავს, რომელსაც რამდენიმე მიზეზი აქვს. ამ ასაკში მოსწავლე ფიზიკური და გონებრივი განვითარების პიკს აღწევს, რაც მისი ინტერესების ზრდას იწვევს. ეს ინტერესი კი, თავის მხრივ, ადამიანური ურთიერთობების სტიმულია. თვითცნობიერე-ბის, თვითდამკვიდრებისა და თვითგამორკვევის პრობლემების ეფექტური გადაწყვეტა შეუძლებელია გარემომყოფებთან ინტენსიური ურთიერთო-ბის გარეშე. უფროსკლასელთა ურთიერთობა ხასიათდება ნდობით, ინტენსი-ვობით, კეთილგანწყობილებითა და აღსარებითი ტონით. უფროსკლასელე-ბი ძალიან მწვავედ განიცდიან მარცხს ურთიერთობის პროცესში.

2) განმარტოების მოთხოვნილება. ურთიერთობის მოთხოვნილების განვითარებასთან ერთად უფროსკლასელთა ნაწილს აღნიშნული მოთხოვნილებაც ახასიათებს, რომელიც მხოლოდ ამ ასაკისთვისაა დამახასიათებელი და თავისი სპეციფიკაც გააჩნია. ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში ჭაბუკებს საზოგადოებაში საკუთარი პოზიციისა და თვალსაზრისის მოთხოვნილება უჩნდებათ. ამ მოთხოვნილების რეალიზაცია კი განმარტოების, განცალკევების, განკერძოების პროცესში ხდება. ეს უფროსებისაგან და თანატოლებისაგან დაპირისპირება კი არა, არამედ საკუთარი გზისა და პოზიციის ძიებაა. განმარტოების მოთხოვნილება თავისი ბუნებით და შინაარსით სოციალურია და არავითარი კავშირი არა აქვს ინდივიდუალიზმის გამოვლენასთან. განმარტოების ძირითადი კომპონენტი არის ოცნება, რომლის დროსაც უფროსკლასელები გაითამაშებენ, წარმოიდგენენ იმ როლებს და სიტუაციებს, რომლებიც მათთვის მოცემულ მომენტში ან საერთოდ ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო მიუწვდომელი და შეუძლებელია. ოცნება არის ამჟამად შეუძლებელი ქცევის კომპენსაცია და იგი სრულდება წარმოსახვით სიტუაციაში. განმარტოება ოცნების განხორციელების სენზიტიური მომენტია.

უფროსკლასელთა განმარტოების მოთხოვნილება ნორმალური მოვლენაა, მაგრამ მასწავლებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ამ მოთხოვნილების რეალიზაცია შეიძლება გაკვეთილზეც მოხდეს, რაც ყურადღების გადამხრელი ფაქტორია და სასკოლო წარმატებაც ქვეითდება. უნდა ვეცადოთ, რომ მათ არ მივცეთ საშუალება გაკვეთილებზე ბევრი იოცნებონ. გარდამავალ ასაკში სქესობრივ მომწიფებასთან დაკავშირებით გაჩენილი რომანტიკული ხასიათის ოცნებები გაკვეთილზე ყურადღების სერიოზული გადამხრელი ფაქტორი იყო, ხოლო უფროს სასკოლო ასაკში ამას განმარტოების მოთხოვნილებაც ემატება და ამით საქმე კიდევ უფრო რთულდება. განმარტოების მოთხოვნილებას იხილავენ როგორც პიროვნების განვითარების განსაზღვრულ სტადიას, ხოლო მის რეალიზაციას - ამ ასაკში

პიროვნების განვითარების ერთ-ერთ პირობას (31,15-16).

3) მიღწევის მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილება ჩამოყალიბებას ბავშვობის ასაკში იწყებს. უფროსკლასელთა უმრავლესობაში იგი სათანადოდაა განვითარებული, რომლის რეალიზაციაც განსხვავებულად მიმდინარეობს. ეს მოთხოვნილება პიროვნების მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რადგანაც მასზე დიდადაა დამოკიდებული თვითდამკვიდრებისა და თვითგამორკვევის პრობლემების წარმატებით გადაჭრა.

4) ძიებითი აქტივობის მოთხოვნილება. ვ. როტენბერგისა და ვ. არშავსკის მიხედვით ესაა აქტივობა, რომელიც მიმართულია მოცემული სიტუაციის ან მოცემული სუბიექტის შეცვლისაკენ. ესაა ცხოვრებისეული მოვლენებისადმი შემოქმედებითი მიდგომა-დამოკიდებულება. ეს მოთხოვნილება განსაკუთრებით პირველად უფროს სასკოლო ასაკში ჩნდება.

პიროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ღირებულებითი ორიენტაცია, რომელიც ადამიანური არსებობის აზრის პრობლემაა. იგი გამოხატავს ადამიანის შეგნებულ დამოკიდებულებას სოციალური სინამდვილის მიმართ და ამ თვალსაზრისით განსაზღვრავს მისი ქცევის მოტივაციას და არსებით გავლენას ახდენს მოქმედების ყველა სფეროზე. ღირებულებითი ორიენტაციები მჭიდროდაა დაკავშირებული პიროვნების მიმართულების განვითარებასთან. უფროსი სასკოლო ასაკი ღირებულებითი ორიენტაციის განვითარების სენზიტიური ასაკია. პიროვნული ორიენტაცია განიხილება როგორც პიროვნების განვითარების შედეგი და ასევე სოციალური ქცევის რეგულატორი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უფროსკლასელთა ღირებულებითი ორიენტაციების იერარქიულ სისტემაში აბსოლუტურად დომინირებს "ხალხთა შორის მშვიდობა". შემდეგ მოდის ისეთი ღირებულებები, როგორიცაა: "საინტერესო სამუშაო", "კარგი და ერთგული მეგობრები", "ჯანმრთელობა", "აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება", "დამოუკიდებლობა", "სილამაზე", "საზოგადოებრი-

ვი აღიარება", "მატერიალური უზრუნველყოფა". ამ მნიშვნელოვანი პიროვნული წარმონაქმნის სიმტკიცის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ იგი უფროსკლასელთა მესამედს საბოლოოდ ჩამოყალიბებული აქვს.

ადრეული ჭაბუკობის ხანა გადამწყვეტი პერიოდია მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში. მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ადრე იწყება გარკვეული ზნეობრივი ჩვევების ათვისებითა და სიმპათია-ანტიპათიების ჩამოყალიბებით, რომლებიც შემდგომ ცნობიერდებიან და ქცევის პრინციპებად იქცევიან. პიროვნების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, ადრეული ჭაბუკობის ასაკში ეს პრინციპები ერთ მთლიან სისტემად ყალიბდება, რაც პიროვნებას საშუალებას აძლევს არა მარტო გაიგოს და შეიმეცნოს სამყარო, არამედ შეაფასოს კიდეც იგი და გაარკვიოს მასთან დამოკიდებულება. მსოფლმხედველობის ფორმირების პირველი მაჩვენებელია სამყაროს ზოგადი პრინციპებისადმი, ბუნებისა და ადამიანური ყოფიერების უნივერსალური კანონებისადმი შემეცნებითი ინტერესი. ეს მოვლენა ეპიზოდურად გარდამავალი ასაკის ბოლოს იჩენს თავს, მაგრამ მყარ თვისებად იგი უფროს სასკოლო ასაკში გვევლინება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დონეს უფროსკლასელთა ნაწილი უფრო გვიან აღწევს. მსოფლმხედველობის ფორმირების პროცესში ცენტრალური ადგილი სოციალურ-ზნეობრივ პრობლემებს უჭირავთ, რომლებიც, უმეტესად, ცხოვრების საზრისის სახეს ღებულობენ.

მსოფლმხედველობა არა მარტო ცოდნის, არამედ მრწამსის ლოგიკური სისტემაა, რომელიც გამოხატავს მოსწავლის სამყაროსადმი მიმართებას, მის ძირითად ღირებულებით ორიენტაციას. პიროვნების ორიენტაცია მჭიდრო კავშირშია მის ცხოვრებისეულ პოზიციასთან. ჭაბუკობის ასაკი მსოფლმხედველობის განვითარებისთვის იმიტომაცაა სენზიტიური, რომ ამ ასაკში მწიფდება მისი კოგნიტიური და პიროვნული წანამძღვრები. ამ ასაკში იზრდება არა მარტო ცოდნის დონე ი

ცულობა, არამედ მნიშვნელოვნად ფართოვდება გონებრივი თვალსაწიერი და ჩნდება კონკრეტული ფაქტების მრავალფეროვნების ზოგად პრინციპებზე დაყვანის თეორიული ინტერესი და მოთხოვნილება. პიროვნული განვითარების მიმართულებით კი ჩნდება ცხოვრების საზრისის მოთხოვნილება. საკუთარი ცხოვრება ცნობიერდება არა როგორც შემთხვევითი, განსხვავებულ მოვლენათა სერია, არამედ როგორც მთლიანობითი პროცესი. უფროს სასკოლო ასაკში ცხოვრების საზრისის პრობლემა უკვე უნივერსალურ, განზოგადებულ ხასიათს იღებს.

უფროს სასკოლო ასაკში მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს აგრეთვე სასწავლო დისციპლინების თეორიული საფუძვლების ათვისება და საგანთაშორისი კავშირების გაცნობიერება. ჭაბუკები სკოლაში ეცნობიან ბუნებისა და საზოგადოების ზოგად კანონებს, რის საფუძველზედაც მათ უმუშავდებათ სამყაროს განზოგადებული და სისტემატიზირებული ხატი, რომელსაც დიდი ფილოსოფიური აზრი აქვს.

მსოფლმხედველობა არის საკუთარი შეხედულება მეცნიერებაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და მორალზე. მაგალითად, თუ მოზარდმა რომელიმე მოვლენის შესახებ მოიპოვა რაიმე ინფორმაცია, მას აინტერესებს ამ მოვლენის ახსნა, ხოლო უფროსკლასელი კი ცდილობს გაიგოს რა იცის მეცნიერებამ ამ მოვლენის შესახებ. თუ იგი აღმოაჩენს, რომ მეცნიერებაში ამ მოვლენის შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობს, ჭაბუკი ცდილობს გაიაზროს ეს განსხვავებული თვალსაზრისები და შეიმუშაოს საკუთარი აზრი. უფროს კლასებში დაგროვილი ცოდნა და შეძენილი სოციალური გამოცდილება ჭაბუკებს აძლევს იმის საშუალებას, რომ გარესამყაროს მოვლენების მიმართ გამოიმუშაოს საკუთარი კონცეფცია და შეხედულებები. სკოლაში მიღებულ ცოდნასა და სოციალურ გამოცდილებას შორის წინააღმდეგობის დაძლევის პროცესში ხდება ცოდნის მრწამსად გადაქცევა. ეს რომ მოხდეს, სასკოლო ცოდნამ უნდა მოიპოვოს ცხოვრებისეული აქტუალობა, პიროვნული მნი-

შვნელობა და ღირებულება. ცოდნა მაშინ გადაიქცევა მსოფლმხედველობად, როცა ხდება ამ ღირებულების გაცნობიერება და ქცევაში მისით ხელმძღვანელობის მზაობა ჩნდება. აუცილებელია აგრეთვე ის, რომ ცოდნა შეერწყას პირადულ გამოცდილებას, გადაიქცეს ქცევის პრინციპად. ეს პრინციპი მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მსოფლმხედველობად, როცა იგი გახდება უნივერსალური და განზოგადებული ნებისმიერი ქცევის დროს. მსოფლმხედველობა ახლა მუდმივმოქმედი მორალური ალმძვრელი და სტიმული ხდება.

უფროსკლასელთა ცხოვრებისეული გეგმები. უფროსკლასელებს, ჩვეულებრივ, განიხილავენ როგორც ცხოვრების "ზღურბლზე მდგარს", მომავლისაკენ მიმართულ ადამიანებს, რომელთაც გარკვეული ცხოვრებისეული გეგმები, ზრახვები, მიზნები და იმედები აქვთ. უფროსკლასელების მოტივებს ყოფენ ორ მიმართულებით:

1) შემეცნებითი მოტივები, რომლებიც გამოხატავენ კონკრეტული საგნების შინაარსისადმი და სასწავლო პროცესისადმი ინტერესს. ასეთი მოტივები განსაზღვრავენ სკოლის დამთავრების შემდეგ მათ ცხოვრებისეულ არჩევანს (პროფესიის არჩევა). პროფილირებული სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით ეს მდგომარეობა უფრო აქტუალური ხდება.

2) სწავლის სოციალური მოტივები, რომლებიც თავის მხრივ რამდენიმე კატეგორიად იყოფა: ა) თვითგამორკვევის მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია მომავალ პროფესიასთან და მომავალ ცხოვრებასთან საერთოდ; ბ) თვითგანვითარების მოტივები: აქ შედის ზოგიერთი პიროვნული თვისების სრულყოფისა და გაუმჯობესების მოტივები (ნებისყოფა, ცოდნის გაღრმავება, მიზანმიმართულება...); გ) ვიწრო-პრაქტიკული მოტივები (კარგი ატესტატის მიღება...) დ) მასწავლებლებთან ურთიერთობის მოტივები, ე) თანატოლებთან ურთიერთობა სკოლაში (მეგობრებთან ურთიერთობის ხიბლი).

3) თვითდამკვიდრების მოტივები (თვითაქტივისტების მოთხოვნილება კმაყოფილდება კარგი სწავლით); 4) სიტუაციური მოტივები (კარგად სწავლა უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით...).

მოზარდებთან შედარებით, ადრეული ჭაბუკის ინტერესებში, ქცევაში, თვითგრძნობაში, განწყობებში, ფსიქოლოგიურ და სოციალურ მოთხოვნებში, ჩნდება სრულიად ახალი მომენტები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლ. კოლის კვლევის შედეგები (31, 151):

<u>მოზარდებისათვის დამახასიათებელია:</u>

1) მრავალფეროვანი და არამდგრადი ინტერესები;
2) უყვართ დაყბობა, ხმაური, ავლენენ ყოველგვარ აქტივობას;
3) თანატოლთა დადგენილი სტანდარტების მიხედვით მათ შორის მდგომარეობის დაკავების მცდელობა;
4) თანატოლთა მასისადმი საკუთარი თავის იდენტიფიკაცია;
5) თანატოლებთან დამოკიდებულებაში ოჯახური მდგომარეობა ნაკლებმნიშვნელოვანი ფაქტორია;
6) პაემნები იშვიათია;
7) განსაკუთრებული დამოკიდებულება ენიჭება საწინააღმდეგო სქესთან განსაზღვრულ დამოკიდებულებებს;
8) ბევრი მეგობარი;
9) ადამიანურ ურთიერთობებში გარკვეული წესებით ხელმძღვანელობა
10) უფროსების ავტორიტეტის აღიარებაში ამბივალენტური დამოკიდებულება.

<u>ჭაბუკებისათვის დამახასიათებელია:</u>

1) ნაკლები, მაგრამ უფრო ღრმა ინტერესები;
2) ქცევები უფრო კონტროლირებადია და სრულდება საკუთარი ღირსების გრძნობით;

3) მსჯელობები უფროსების ქცევის ნიმუშებზე;
4) საკუთარი თავის იდენტიფიკაცია ვიწრო, შერჩეულ ჯგუფთან;
5) თანატოლებთან ურთიერთობაში ოჯახის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება;
6) გოგონებთან კავშირები ჩვეულებრივი მოვლენაა;
7) საკუთარი ოჯახური ცხოვრებისადმი დიდი ყურადღება და ინტერესი;
8) მეგობართა მცირე რაოდენობა, მეგობრობა უფრო ღრმაა;
9) უფროსებისაგან დამოუკიდებლობის მზარდი სწრაფვა, ქცევებში საკუთარ თავზე დაყრდნობა.
10) უფროსებთან ურთიერთობა თანაბრობის საფუძველზე;

ამრიგად, უფროსკლასელთა პიროვნების ახალწარმონაქმნია მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, ადამიანის მორალური მხარისადმი მოთხოვნების ამაღლება, მსჯელობების დამოუკიდებლობა, თვითცნობიერებისა და თვითშეფასების მნიშვნელოვანი ზრდა, განზოგადებული იდეალები, ღირებულებითი ორიენტაციების შესაბამისი დონე და თვითაღზრდისადმი აქტიური სწრაფვა, მომავალ პროფესიასთან დაკავშირებული ნათელი ცხოვრებისეული გეგმები, სოციაბილურობის ზრდა, ახალი ინტერესების გაჩენა საწინააღმდეგო სქესისადმი და პოლიტიკისადმი.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია. ა. პეტროვსკის რედაქციით. თბ. 1977 წ. გვ. 182-188.
2. თ. გოგიჩაიშვილი - მოსწავლეთა პიროვნების განვითარების კანონზომიერებანი. წიგნში - "პედაგოგიური ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები", ნაწილი მეორე, თ. გოგიჩაიშვილის რედაქციით. თბ., 1979 წ.

3. Божович Л.И. Личность и ее формирование в детском возрасте. М., 1968 г. Стр.365-446.
4. Рабочая книга школьного психолога. Под ред. И.В.Дубровиной. М., 1991 г. Стр.145-163.
5. Кон И.С. Психология старшеклассника. М., 1980 г. Стр.44-73.
6. Кон И.С. Психология юношеского возраста. М., 1979 г.Стр.47-78.
7. Крутецкий В.А., Лукин Н.С. Очерки психологии старшего школьника. М., 1963 г. Стр.120-197.
8. Крутецкий В.А. Основы педагогической психологии. М., 1972 г. Стр.115-134.
9. Возрастная и педагогическая психология. Под ред.М.В.Гамезо и др. М., 1984 г. Стр.234-239.
10.Миолавский Ю.А. Саморегуляция и активность личности в юношеском возрасте. М., 1991 г.
11.Ковалев А.Г. Личность воспитывает себя. М., 1983 г.
12.Кон И.С. В поисках себя. М., 1984 г.
13.Леонтьев А.Н.Деятельность, сознание, личность. М., 1975 г.
14.Кон И.С. Какими они себя видят. М., 1975 г.
15.Шумилин Е.А. Психология ранней юности. В книге "Возрастная и педагогическая психология". Часть I. М., 1975 г. Стр.92-109.
16.Формирование личности старшеклассника. Под ред.И.В.Дубровиной. М.,1989 г.
17.Кон И.С. Психология ранней юности. М., 1989 г. Стр.84-106.
18.Моргун В.Ф.,Ткачева Ю. Проблема периодизации развития личности в психологии. М., 1981 г.

19. Формирование личности в переходный период от подросткового к юношескому возрасту. Под ред. И.В.Дубровиной. М., 1987 г.

20. Формирование личности старшеклассника. Под ред. И.В.Дубровиной. М., 1989 г.

21. Изучение личности школьника учителем. Под ред.З.В.Васильевой и др. М., 1991 г.

22. Бодалев А.А. Психология о личности. М., 1983 г.

23. Смирнов П.В., Ершов П.М. Темперамент, характер, личность. М., 1984 г.

24. Шумилин Е.А. Психологические особенности личности старшеклассника. М., 1979 г.

25. Толстых Н.Н. Жизненные планы подростков и юношей. Ж. "Вопросы психологии", 1984 г., № 3.

26. Божович Л.И. Этапы формирования личности в онтогенезе. Ж. "Вопросы психологии", 1979 г., № 4.

27. Психология развивающейся личности. Под ред. А.В.Петровского. М., 1987 г. Стр.36-76.

28. Шилина З.М. Формирование общественной направленности личности школьника. М., 1977 г.

29. Бороздина Л.В. Исследование уровня притязаний. М., 1986 г.

30. Мудрик А.В. Время поисков и решений, или старшеклассникам о них самих. М., 1990 г.

31. Мудрик А.В. О воспитании старшеклассников. М., 1981 г.

32. Никонорова Е.В. Мировоззрение личности и возрастные особенности его формирования. Киев, 1989 г.

33. Якобсон П.М. Некоторые данные о психологии юношеского возраста в зарубежной литературе. М. "Вопросы психологии", 1970 г, № 4.

# თ ა ვ ი III

## უფროსკლასელთა სასწავლო საქმიანობა და შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები

უფროსკლასელთა სასწავლო საქმიანობა შინაარსითა და ხასიათით მნიშვნელოვნად განსხვავდება მოზარდებისაგან. უფროსკლასელთა სასწავლო ქმედება გაცილებით მაღალ მოთხოვნებს უყენებს მათ აქტიურობასა და დამოუკიდებლობას. ახლა პროგრამის უფრო ღრმად ათვისების საქმეში აუცილებელია თეორიული აზროვნების განვითარების მაღალი დონე. მოზარდების სასწავლო საქმიანობა ატარებს "მნემურ-რეპროდუქციულ" ხასიათს. მათთვის მთავარია იმის გაგება და დამახსოვრება, რაც მოისმინეს ან სახელმძღვანელოში ამოიკითხეს, უფროს სასკოლო ასაკში კი სასწავლო საქმიანობა გვევლინება შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარების მამოძრავებელ ძალად.

იცვლება აგრეთვე უფროსკლასელთა სწავლისადმი დამოკიდებულებაც. ჭაბუკები აცნობიერებენ, რომ ისინი დამოუკიდებელი ცხოვრების მიჯნაზე დგანან, რის გამოც სწავლის როლი და მნიშვნელობა ნათლად ცნობიერდება - ვითარდება სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულება და იგი ცხოვრებისეულ აზრს ღებულობს. ცოდნის მოთხოვნილების ჩამოყალიბება უფროსკლასელთა მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

ხანდახან შეინიშნება სასწავლო საგნებისადმი ჭაბუკების შერჩევითი დამოკიდებულება. მოზარდებისაგან განსხვავებით ამის მიზეზია არა გადაცემის, ახსნის ოსტატობის ხარისხი და მიმზიდველობა, არამედ პროფესიულ მიმართულებასთან დაკავშირებული ინტერესები, რომელიც სწავლების პროფილირებული ფორმების შემოღებამ კიდევ უფრო გააღრმავა.

უფრო მყარი და მტკიცე ხდება უფროსკლასელთა ინტერესები ამა თუ იმ მეცნიერული მიმართულების მიმართ, რაც, თავის მხრივ,

ხელს უწყობს პიროვნების შემეცნებით-პროფესიული მიმართულების განვითარებას, განსაზღვრავს პროფესიის არჩევას. ახლა უფროსკლასელი ხალისით ეცნობა დამატებით ლიტერატურას, ერთიანდება წრეებში, ესწრება ლექციებს და ა.შ. უფროსკლასელთა ინტერესების მრავალმხრიობა მასწავლებლებს, ხშირად, ძნელ მდგომარეობაში აყენებს. ჭაბუკების ყველა კითხვაზე მათ ამომწურავი პასუხის გაცემა ყოველთვის არ შეუძლიათ. უფროსკლასელი უკვე ბევრს კითხულობს. მხატვრული ლიტერატურის პარალელურად მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის კითხვა უკვე დიდ ადგილს იჭერს. თვითგანათლების დაწყება უფროსკლასელთა სასწავლო საქმიანობის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

უფროს სასკოლო ასაკში ღრმავდება სწავლების შინაარსი. როგორც აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა აქტივობასა და დამოუკიდებლობას, მათ აზროვნების განვითარებას. ახლა სწავლება უფრო პრობლემურ ხასიათს ატარებს და მოსწავლეთა წინაშე დგება ისეთი კითხვები, რომლებიც უფრო ღრმა გააზრებას მოითხოვენ. ყოველივე ეს გავლენას ახდენს ჭაბუკების სასწავლო-შემეცნებით ინტერესებზე. თუ გარდამავალ ასაკში შემეცნებით ინტერესთა სიმრავლე შეიმჩნეოდა, ახლა ჭაბუკს ერთი ან ორი გაბატონებული შემეცნებითი ინტერესი გააჩნია, რაც, თავის მხრივ, მის ინტელექტუალურ სიმწიფეზე, თვითდამკვიდრებისა და პროფესიის არჩევის მზაობაზე მიუთითებს. პროფილირებული სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით ნათლად იკვეთება უფროსკლასელთა ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო ინტერესები.

უფროსკლასელთა სწავლის ინტერესის ზრდის ძირითადი მიზეზია ახალი მოტივაციური სტრუქტურის ჩამოყალიბება. როგორც აღვნიშნეთ, ახლა წამყვან ადგილს იჭერს თვითგამორკვევასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მზაობის მოტივები, რომლებიც პიროვნულ აზრს იძენენ. უფროსკლასელთა მოტივაციურ სტრუქტურაში ცენტრალური ადგილი უჭირავს

საზოგადოების სრულყოფილი წევრის ადგილის დაკავების მოტივს. შე-ნარჩუნებულია აგრეთვე სწავლის შინაარსისადმი და პროცესისადმი ინტერესიც. ჭაბუკებს ახლა უჩნდებათ ინტერესი თეორიული პრობლემე-ბისადმი. ამ ასაკისათვის დამახასიათებელია სოციალური და შემეცნე-ბითი მოტივაციის შერწყმა. ცენტრალურ ადგილს იკავებს ნებისმიერი მოტივაცია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ უფროსკლასელები სულ უფრო და უფრო ხელმძღვანელობენ შეგნებულად დასმული მიზნებით და განზ-რახვით.

თვითკრიტიკულობის უნარის ზრდასთან ერთად უფროსკლასელები სასწავლო წარუმატებლობაში ადანაშაულებენ არა მასწავლებლებსა და აღმზრდელებს, არამედ ისეთ საკუთარ უარყოფით პიროვნულ თვისე-ბებს, როგორიცაა სიზარმაცე, უნებისყოფობა და ა. შ. ეს მეტად სერი-ოზული წინსვლაა, რაც იმის საწინდარია, რომ იქმნება თვითგანათლე-ბის წანამძღვრები და საკუთარი უარყოფითი თვისებების შეცვლისა და გამოსწორების სწრაფვა. უფროსკლასელთა სწავლის პროცესი უნდა გან-ვიხილოთ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად უწყობს იგი ხელს თვითგა-ნათლების პროცესს.

უფროს სასკოლო ასაკში ყალიბდება სასწავლო ქცევის ზოგადი ტიპიური და, ამავე დროს, ინდივიდუალური ფორმები: სასწავლო საქმიანობის ტიპიური ფორმების მიხედვით გამოყოფენ უფროსკლასელთა ოთხ ჯგუფს (5, 42-66).

1) ამ ჯგუფში ერთიანდებიან ის მოსწავლეები, რომელთა აკა-დემიური მოსწრება დაბალია. ისინი ვერ ავლენენ ინიციატივასა და დამოუკიდებლობას. მათი აზროვნებისთვის დამახასიათებელია ინერტუ-ლობა და პასიურობა. ეს მოსწავლეები სასწავლო მასალას ითვისებენ მასწავლებლის გადმოცემის მიხედვით, ტექსტს აღადგენენ ასე თუ ისე სიზუსტით, საკუთარი აზრისა და სიტყვების გარეშე, მასალას იხსო-მებენ სიტყვა-სიტყვით. ხოლო თუ მასალა ძალიან ძნელია, სულაც

ანებებენ სწავლას თავს. ასეთი მოსწავლეები არიან საკუთარ თავში დაურწმუნებლები, მოკყავე ციტაგები. მათ უფრო კუმანიტარული საგნები უყვართ. ამ ჯგუფის მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობის საფუძველია მეხსიერება, რომელიც ბოგიერთს კარგად აქვს განვითარებული. არიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც არ გამოირჩევიან კარგი მეხსიერებით, მაგრამ ამის კომპენსაციას ბეჯითობით ახდენენ.

2) აქ ლაპარაკია ისეთ უფროსკლასელებზე, რომელთა სასწავლო საქმიანობაში სჭარბობს ნათლად გამოხატული პრაქტიკული მიმართულება. ასეთი მოსწავლეები ცდილობენ გაიგონ რთული მასალა და შეამოწმონ პრაქტიკულად. თუ ასეთი ტიპის მოსწავლეებმა დასასწავლ მასალაში დაინახეს პრაქტიკული აზრი, ისინი ყურადღებიანნი და დაინტერესებულნი არიან, ახალ მასალას, შეთვისების პროცესში. აკავშირებენ ძველთან, რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა და ღირებულება უკვე გააზრებული აქვთ. ასეთ მოსწავლეებს უჭირთ თეორიული მასალის ათვისება.

3) ამ ჯგუფში ერთიანდებიან აშკარად გამოხატული თეორეტიკოსები. მათ პრაქტიკა არ აინტერესებთ. იგი მათ ინტერესებსა და აზროვნების მიმართულებაში არ შედის. ამ ტიპის მოსწავლეები არ ცდილობენ თავიანთი თეორიული ცოდნის პრაქტიკით გამაგრებას. მათი სააზროვნო მოქმედება გამოირჩევა განზოგადების და აბსტრაქციის მაღალი დონით. ასეთ ბავშვებს შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი, დაამტკიცონ რაიმე დებულება და გამოიტანონ დასკვნები. სასწავლო მასალის ათვისების პროცესში მათ შეუძლიათ არსებითის გამოყოფა, სისტემატიზაციის წარმოება, დაძაბული გონებრივი მუშაობა და თვითგანათლების დაწყება. მაგრამ თუ თეორიული აზროვნების განვითარება შემდგომში პრაქტიკული საფუძვლების გარეშე მოხდა, ასეთ ბავშვებს გაუჭირდებათ თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირება.

4) ამ ჯგუფში აერთიანებენ ისეთ მოსწავლეებს, რომლებიც ერთმანეთთან ჰარმონიულად ათავსებენ თეორიასა და პრაქტიკას. ასეთ ბავშვებს აქვთ ფართო თვალსაწიერი და პრაქტიკული ჩვევები. მათ შეუძლიათ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასეთი მოსწავლეები ძნელ კითხვაზე არასოდეს პასუხობენ "არა" ან "არ ვიცი", არამედ იწყებენ პასუხის ძიებას და პოულობენ კიდეც. მათთვის უცხოა ტრაფარეტი და შაბლონი.

როგორც ვნახეთ, უფროს სასკოლო ასაკში ყალიბდება მსოფლმხედველობა, ე.ი. ჭაბუკები იმუშავებენ საკუთარ შეხედულებებს მეცნიერების, საზოგადოებრივი ცხოვრების, პოლიტიკისა და მორალის სფეროში. ყოველივე ეს ეფუძნება მოსწავლის საერთო განვითარების მიღწეულ დონეს. ცნებითი აზროვნების განვითარებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა აზროვნების შინაარსის მკვეთრი გარდაქმნა ხდება. იგი ახლა სინამდვილის ისეთ ახალ მხარეებსა და სფეროებზეა მიმართული, რაც ადრე მიუწვდომელი იყო.

უმცროსკლასელებისაგან განსხვავებით მოზარდები უმეტესწილად მიმართული არიან საკუთარი განცდების შემეცნებისაკენ. უფროსკლასელები კი ცდილობენ შეიმეცნონ გარესამყარო მასში საკუთარი ადგილის დაკავების მიზნით. უფროსკლასელები, როგორც უმცროსკლასელები, მიმართულნი არიან გარესამყაროსადმი, მაგრამ ისინი გარესამყაროს უბრალოდ კი არ შეიმეცნებენ, არამედ შეიმუშავებენ საკუთარ თვალსაზრისსაც. ესაა უფროსკლასელთა ზოგადი მოტივაციური მიმართულება, რომელიც მათი შემეცნებითი მოქმედების სპეციფიკას ქმნის.

არსებითი ძვრები ხდება უფროსკლასელთა აზროვნების განვითარების მიმართულებით, იცვლება გონებრივი მუშაობის ხასიათი. აზროვნება ღებულობს აქტიურ, დამოუკიდებელ და შემოქმედებით ხასიათს.

სააზროვნო ოპერაციები მიმდინარეობს განზოგადების და აბსტრაქციის უფრო მაღალ დონეზე, მიზეზობრივი კავშირის ძიებით, ვითარდება ლოგიკური დასაბუთების უნარი და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა. ადრეული ჭაბუკობა გონებრივი უნარების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია. ინტელექტუალური განვითარება მხოლოდ იმაში კი არ გამოიხატება, რომ გროვდება გარკვეული ცოდნა და იცვლება ინტელექტის ცალკეული მხარეები, არამედ ყალიბდება გონებრივი მოქმედების ინდივიდუალური სტილი, რაც ამ ასაკის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. იწყება ნამდვილი მეცნიერულ-პრობლემური აზროვნების ფორმირება, რის გამოც ხდება სასწავლო საგნების ინტერესების მეცნიერულ ინტერესებში გადაზრდა. 16-17 წლიდან განსაკუთრებული სწრაფი ტემპით ვითარდება დასკვნითი აზროვნების უნარი, რასაც ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

უფროს სასკოლო ასაკში მკვეთრად აქტიურდება თეორიული აზრი და მსჯელობები. ამ ასაკის მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ სხვადასხვა პრობლემებზე დამოუკიდებელი მსჯელობა. ისინი ხშირად კამათობენ, აწყობენ დისკუსიებს. ჭაბუკები უკვე მეცადინეობის პროცესში დამოუკიდებლობას ავლენენ. მათ ახლა შეუძლია. ისეთი მოხსენების მომზადება, რომელსაც ბევრი მუშაობა და ინტელექტუალური ძალისხმევა სჭირდება. უფროსკლასელები უკვე იყენებენ ენციკლოპედიებს, ლექსიკონებს და სხვა დამატებით ლიტერატურას. ეს მეტად მნიშვნელოვანი წინსვლაა.

როგორც აღვნიშნეთ, უფროსკლასელთა აზროვნება დამოუკიდებელ, სისტემატურ ხასიათს ღებულობს, რაც შეთვისებული ცოდნის სისტემაში მოყვანას გულისხმობს. ლაპარაკობენ უფროსკლასელთა აზროვნების სიღრმის შესახებ, რომელშიც გულისხმობენ იმას, რომ ახლა ჭაბუკებს შეუძლიათ მოვლენათა სიმრავლიდან არსებითის გამოყოფა და გამომწვევი მიზეზების დადგენა (მათ უკვე ყველაფრის მიზეზი აინტერესებთ); ავლენენ დიდ ინტერესს თეორიული საკითხების მიმართ. უფროსკლასელ-

და აზროვნება უფრო კრიტიკული ხდება. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ ჭაბუკები მოზარდებთან შედარებით უფრო საფუძვლიანად და სერიოზულად ფიქრობენ, ახასიათებთ საკუთარი აზრის აწონ-დაწონა, უფრო ნაკლებად სწყინთ კრიტიკა. მათზე ძლიერ მოქმედებს დასაბუთება და ლოგიკა. ყოველივე ეს თეორიული და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბების წანამძღვარია. აზროვნების განვითარებასთან ერთად ვითარდება ჭაბუკების მეტყველებაც, რომელიც ახლა უფრო ზუსტი, სწორი და ლიტერატურულად გამართული ხდება. ამ ასაკის მოსწავლეები ძალიან აფასებენ მწყობრ და ლოგიკურ მეტყველებას და ამას უპირველეს ყოვლისა მოითხოვენ მასწავლებლებისაგან. ჭაბუკებს განსაკუთრებით სწრაფად უვითარდებათ სპეციალური უნარები, რასაც ხელს უწყობს შემეცნებითი ინტერესების დიფერენციაცია. გონებრივი უნარების დიფერენციაცია გოგონებთან შედარებით ბიჭებში უფრო ადრე იწყება. სპეციალურ უნართა ფორმირება და განვითარება განპირობებულია სწავლების ხასიათითა და მიმართულებით. ამის გამო პროფილირებული ფორმის სწავლება დიდ ასპარეზს ქმნის.

აბსტრაქტულ-ლოგიკური აზროვნების განვითარება არა მარტო ახალი ინტელექტუალური თვისებების ჩამოყალიბებას გულისხმობს, არამედ იგი შესაბამის მოთხოვნილებასაც ბადებს. ჭაბუკებს შეუძლიათ დიდხანს და შეუპოვრად იკამათონ რაიმე მოვლენაზე, მაგრამ არ იცოდნენ მისი არსი. ეს "უქმე" კამათი და "ცარიელი ფილოსოფოსობა" ინტელექტის განვითარების წინსვლის მაჩვენებელია, იგი ისეთივე აუცილებელი, საჭირო და სასარგებლოა, როგორიც სკოლამდელის გაუთავებელი "რატომ?" ეს უფროსკლასელის ინტელექტუალური განვითარების ახალი საფეხურია. აბსტრაქტული აზროვნება ტიპიურია ჭაბუკებისთვის.

უფროსკლასელი გოგონები, საერთოდ, ბიჭებზე უკეთესად სწავლობენ, მაგრამ მათი შემეცნებითი ინტერესები ნაკლებადაა გამოკვეთილი და დიფერენცირებული. გოგონები უკეთესად წყვეტენ კონკრეტულ ამოცა-

ნებს, ვიდრე – აბსტრაქტულს. საბუნებისმეტყველოსთან შედარებით მათ ტრადიციულ-ჰუმანიტარული ინტერესები უფრო აქვთ განვითარებული.

როგორც აღვნიშნეთ, უფროსკლასელთა გონებრივი განვითარება მდგომარეობს არა მარტო ცოდნის დაგროვებასა და ინტელექტის ზოგ-ერთი თვისების შეცვლაში, არამედ გონებრივი მოქმედების ინდივიდუ-ალური სტილის ჩამოყალიბებაში. უფროსკლასელთა აზროვნების სტილი დამოკიდებულია მათი ნერვული სისტემის ტიპზე: ჭაბუკები, რომლებსაც ინერტული ნერვული სისტემა აქვთ, სასწავლო დავალებებით გადატვირთ-ვის შემთხვევაში სწავლობენ უფრო ცუდად, ვიდრე მოძრავი ნერვული სისტემის ტიპის მოსწავლეები, რადგანაც მასალის გადაცემის ტემპს ვერ ჰყვებიან. მაგრამ სათანადო ხელშეწყობითა და ვარჯიშით შეიძლება ნერვული სისტემის ამ ნაკლის კომპენსირება ზუს-ტი დაგეგმვითა და საკუთარი ქცევის კონტროლით. ყოველივე ეს სწავ-ლებაში ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობაზე მიუთითებს.

<u>მეხსიერების</u> განვითარების თვალსაზრისით შესამჩნევად იზრდე-ბა სიტყვიერ-ლოგიკური, აზრობრივი დამახსოვრების როლი. რა თქმა უნდა, დომინირებს ნებისმიერი მეხსიერება, მაგრამ უნებლიე მეხსიერებაც შენარჩუნებულია.

შემეცნებითი მოქმედების განვითარების პროცესში ადამიანს გამოუმუშავდება ინფორმაციის შენახვის განსაზღვრული თავისებურება. ადამიანს შეუძლია შეინახოს უფრო განზოგადოებული ექვივალენტები – კოდები. ინფორმაციის ასეთი ფორმით შენახვა არის მეხსიერების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელი. ესაა მასალის ლოგიკური გადამუშავების პროცესი და ლოგიკური მეხსიერების ხერხების დაუფლე-ბა. ამ დროს მასალის დამუშავების მიზნით ხდება მისი კლასიფიკაცია და აზრობრივი დაჯგუფება. დამახსოვრების ეს ხერხი უფრო ფართო გა-ნზოგადებას მოითხოვს და იგი გარდამავალი ასაკიდან იწყება. უფროს სასკოლო ასაკში კი იგი უკვე წარმატებით გამოიყენება.

უფროს სასკოლო ასაკში იზრდება ყურადღების მოცულობა, მისი ინტენსივობის ხანგრძლივობა და ერთი საგნიდან მეორეზე გადანაცვლების უნარი. ამასთანავე ყურადღება ხდება უფრო შერჩევითი და ინტერესთა მიმართულებაზე დამოკიდებული.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. შ. ჩხარტიშვილი – ადლერის სოციალური ფსიქოლოგია. თბ. 1974 წ. გვ. 88-93
2. პეტროვსკი ა. ვ. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია. თბ., 1977 წ.
3. ნადირაშვილი შ. ა. განზოგადების განვითარება სასკოლო ასაკის ბავშვებში. თბ., 1965 წ. გვ. 132-245.
4. Крутецкий В.А. Основы педагогической психологии. М., 1972 г. Стр.134-144.
5. Крутецкий В.А., Лукин Н.С. Очерки психологии старшего школьника. М., 1963 г. Стр.15-66.
6. Возрастная и педагогическая психология. Под ред. М.В.Гамезо и др. М., 1984 г. Стр.239-245.
7. Рожина Л.Н. Формирование познавательных интересов старшеклассников. Минск, 1970 г.
8. Шумилин Е.А. Психология ранней юности. В книге "Возрастная и педагогическая психология". М., 1975 г. Под ред. Б.С.Волкова. Стр.92-109.
9. Ипполитов Ф.В. Память школьника. М., 1978 г.
10. Развитие логической памяти у детей. Под ред. А.А.Смирнова. М., 1976 г.

11. Ляудис В.Я. Память в процессе развития. М., 1976 г.
12. Кон И.С. Психология ранней юности. М., 1989 г. Стр.69-78.
13. Страхов И.В. Психология воображения. Саратов, 1971 г.
14. Щукина Г.И. Психолого-педагогические основы формирования познавательных интересов учащихся. Л., 1967 г.
15. Кон И.С. Психология старшеклассника. М., 1979 г.
16. Кон И.С. Психология юношеского возраста. М., 1980 г.
17. Калмыкова З.И. Продуктивное мышление как основа обучаемости. М., 1981 г.
18. Тихомиров О.К. Психология мышления. М., 1984 г.
19. Божович Л.И. Личность и ее формирование в детском возрасте. М., 1968 г. Стр.380-390.
20. Хофман И. Активная память. М., 1986 г.
21. Левитов Н.Д. Психология старшего школьника. М., 1955 г.
22. Лейтес Н.С. Умственные способности и возраст. М., 1971 г.
23. Возрастные и индивидуальные различия памяти. Сборник. Под ред. А.А.Смирнова. М., 1967 г.

## თ ა ვ ი IV

### უფროსკლასელთა გრძნობები და ემოციები

უფროს სასკოლო ასაკში ქრება გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელი შინაგანი კონფლიქტები, მაგრამ ჩნდება პიროვნების სფეროს ცვლილებებით გამოწვეული ამ ასაკის სპეციფიკური პრობლემებიც, რომლებიც ჭაბუკების ემოციონალურ ცხოვრებას თავისებურ დაღს ასვამენ.

ამ ასაკში ფაქტიურად მთლიანად მთავრდება სქესობრივი მომწიფება, იწყება ჭაბუკების ორგანიზმის ფიზიკური გაფურჩქვნისა და აყვავების პერიოდი. სერიოზული ცვლილებები ხდება უფროსკლასელთა ფსიქიკური განვითარების სფეროშიც; იცვლება მათი აზროვნების, მეხსიერების და ყურადღების მოქმედება, ინტერესები და ნებელობითი პროცესები. ყველა ეს ცვლილება, რომელიც ხასიათდება ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი ძალების საერთო ზრდითა და პიროვნების განვითარებით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჭაბუკის საერთო ემოციონალურ ტონუსზე, მისი ემოციონალური ცხოვრების ხასიათზე და მიმდინარეობაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ადრეული ჭაბუკობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მომავლისადმი მიმართულობა, რაც ეფუძნება საკუთარ ძალებში დარწმუნებულობის განცდას და ჭაბუკებში იწვევს საერთო ოპტიმისტურ თვითგრძნობას და ამაღლებულ ცხოვრებისეულ ტონუსს. ამის გამო უფროსკლასელისათვის დამახასიათებელია საერთო ცხოველმყოფელობა და სიცოცხლის ხალისი. ხანდახან ზოგიერთი ცხოვრებისეული წარუმატებლობა და მარცხი იწვევს ჭაბუკების ემოციონალური ტონუსის დაცემასაც, მაგრამ ეს მდგომარეობა მალე უმჯობესდება.

უფროს სასკოლო ასაკში, ჭაბუკებთან შედარებით, საერთო ემოციონალური თვითგრძნობა შედარებით უფრო თანაბარია, როგორც წესი,

არ აღინიშნება ჭაბუკური მკვეთრი აფექტური "აფეთქებები". ჭაბუკებს ახლა შეუძლიათ გრძნობის დაფარვა და შენიღბვაც. მათ უფრო ზუსტად და ფაქიზად შეუძლიათ განცდათა ელფერების აღქმა, "გრძნობათა წაკითხვა".

ბევრი მოვლენა, რომელსაც მოზარდი გულგრილად ჩაუვლიდა და ყურადღებასაც არ აქცევდა, ჭაბუკში გარკვეულ განცდებს იწვევს. მაგალითად, ადამიანური ურთიერთობანი ოჯახში, ყოფაში, სკოლაში, საწარმოში – ახლა უკვე გრძნობებისა და ემოციების ობიექტი ხდება. ეს მოვლენები ჭაბუკებს აღელვებენ. ამ ასაკში უფრო ღრმავდება ჭაბუკის დამოკიდებულება სინამდვილის ესთეტიკური მხარისადმი, რომელიც დამოკიდებულია საერთო განათლების დონეზე და, რომელიც ახლა შედარებით მაღალია. ხელოვნების ნიმუშები და საერთოდ ესთეტიკური მოვლენები ჭაბუკების აღფრთოვანებას იწვევენ.

მაღალ დონეს აღწევს აგრეთვე ეთიკური გრძნობებიც. ჭაბუკებს უკვე შეუძლიათ სხვისი ჭირის გაგება და გაზიარება. ისინი კეთილი საქმიელის გამო სულიერ აღმაფრენას განიცდიან.

როგორც მოზარდების, ასევე ჭაბუკების ემოციონალური რეაქციები არ აიხსნება მხოლოდ ბიოლოგიური ძვრებით, არამედ ისინი დამოკიდებული არიან სოციალურ ფაქტორებსა და აღზრდის პირობებზე. მოზარდობის პროცესის ფსიქოლოგიური სიძნელეები, პრეტენზიის დონისა და "მე"-ს ხატის წინააღმდეგობები ხშირად ჭაბუკების ემოციონალურ დაძაბულობასაც იწვევენ. ამასთან ერთად, მაღლდება ჭაბუკთა ემოციონალური მგრძნობელობა, რაც ამ ასაკისთვისაა დამახასიათებელი. ფაქტორთა რიგი, რომელიც ემოციონალურ აგზნებას იწვევს, ასაკის წინსვლასთან ერთად იზრდება და ფართოვდება. მრავალფეროვანი ხდება ემოციის გამოსახვის ხერხებიც, იზრდება ემოციონალური რეაქციების ხანგრძლივობა.

უფროს სასკოლო ასაკში სპეციფიკურ ტრანსფორმაციას განიცდის თნიფელობის გრძნობა. იგი ახლა უფრო ღრმა და მწვავე ხდება. მოზარდებთან შედარებით უფროსკლასელები გაცილებით უფრო ნაკლებად ურიგდებიან მათ "უფროსობის" დაკნინების ცდებს. ეს მოზარდი ცდილობდა, რომ ის ჩაეთვალათ უფროსად, დიდად, ცდილობდა არაფრით განსხვავებულიყო უფროსებისაგან, ახლა მას უნდა, რომ უფროსებმა აღიარონ მისი ორიგინალურობა, ჭაბუკები ცდილობენ ყველა საშუალებით მიიპყრონ უფროსების ყურადღება და დაამტკიცონ საკუთარი თვითმყოფადობა.

უფროსკლასელთათვის დამახასიათებელია ამხანაგობის განვითარებული გრძნობა. ეს გრძნობა ახლა უფრო ფართოა, ვითარდება პირადი მეგობრობის მოთხოვნილება. უფროსკლასელთა მეგობრობის გრძნობა განსხვავდება მოზარდების მეგობრობისაგან. ჯერ ერთი, ახლა მეგობრობის მოთხოვნები უფრო ღრმაა. თვით მეგობრობას უკვე უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ. ეს მოთხოვნებია: ურთიერთნდობა, ერთგულება, დახმარებისთვის მზაობა, ინტერესთა ერთობა, პრინციპულობა, ურთიერთპატივისცემა და ურთიერთგაგება. ეს გრძნობა ახლა უფრო შინაარსიანია, იგი ახლა მოიცავს ინტერესთა ფართო წრეს და, რაც მთავარია, მეგობრობა ახლა უფრო ემოციონალურია.

უფროსკლასელთა მეგობრობა გამოირჩევა დიდი სიღრმით. ეს გრძნობა ყველა ადამიანისთვის ნაცნობია. იგი აღმოცენდა კაცობრიობის ეთიკური და ესთეტიკური პროგრესის პირველ ნაბიჯებთან ერთად, რომელიც ყოველ შემდგომ ისტორიულ საფეხურზე უფრო და უფრო მდიდრდებოდა და ღრმავდებოდა. კაცობრიობის წინსვლასთან და პროგრესთან ერთად იცვლება სიყვარულის შინაარსი და ფორმები.

წმინდა ამხანაგური და მეგობრული დამოკიდებულების საფუძველზე ბიჭებსა და გოგონებს შორის აღმოცენდება პირველი სიყვარული. ჩვეულებრივ მეგობრულ ურთიერთობებში იჭრება ახალი, ჯერ გაუცნობელი,

ამაღელვებელი და ღრმა გრძნობა. იგი გამოიხატება იმით, რომ მეგობრებს შორის შეირჩევა ბიჭი ან გოგონა, რომლის მიმართ ვლინდება ინტერესი და ყურადღება, განიცდება ძლიერი ლტოლვა.

პირველი სიყვარულის ასაკი მერყეობს თერთმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე. გარდამავალ ასაკში სჭარბობს რომანტიზმი, წამყვან ადგილს იჭერს ფანტაზია და ოცნებები. ამ დროს სქესობრივი ლტოლვა მინიმალურია ან შეიძლება სულაც არ აღინიშნებოდეს. პირველი სიყვარული იწვევს მოზარდის მთლიანი პიროვნების სერიოზულ ძვრებს, ჩნდება სიმორცხვე და შებოჭილობა. მისი ყურადღება მიპყრობილია საკუთარი თავისაკენ, იცვლება მისი ქცევაც. მოზარდი ახლა უფრო მგრძნობიარე ხდება, ხშირად ფიქრობს ცხოვრების არსზე და აზრზე, ოცნებობს, ისწრაფვის განმარტოებისაკენ. მოზარდების ცნობიერებაში სიყვარულის ობიექტი ფიგურირებს მუდმივად და უცვლელად, ხდება მისი იდეალიზაცია.

სიყვარული, როგორც ემოციური ცხოვრების მწვავე და დაძაბული ფორმა, სამწუხაროდ, არაა მტკიცე, მყარი და გამძლე არც ადრეული ჭაბუკობის ასაკში. იგი უმეტესად ატარებს იმპულსურ ხასიათს. მას ჯერ კიდევ არ აქვს ღრმა ფესვები და ხშირად შემთხვევითია.

14-დან 18 წლამდე სიყვარული უმეტესწილად დამოკიდებულია ორ ძირითად ფაქტორზე – გარეგნულ სილამაზეზე და ზოგიერთ პიროვნულ ფაქტორზე, რომელიც ხანდახან არ გამოხატავს ადამიანის ნამდვილ არსს.

მოსწავლეთა უმრავლესობა სიყვარულს განიცდის სკოლის პერიოდში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ი. ფლოროვსკის მონაცემები (15;74):

| | VI კლასი | VII კლასი | VIII კლასი | IX კლასი | X კლასი | XI კლასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| გოგონები | 7,5 | 8,8 | 11,0 | 35,0 | 23,0 | 5,5 |
| ბიჭები | 5,0 | 14,5 | 12,0 | 14,5 | 19,5 | 17,0 |

უფროსკლასელთა სიყვარული იწყება დაძაბულობით, უკმაყოფილების მდგომარეობით, დარდებით. ეს განსაკუთრებული მდგომარეობა დამახასიათებელია უფროსებისათვის. სიყვარული საერთოდ ასე იწყება: ხშირად, სიყვარული აღმოცენდება უცბად, მოულოდნელად, მაგრამ ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ მოულოდნელ სიყვარულს წინ უძღოდა შეუმჩნეველი ან დავიწყებული "წინაგრძნობა". თვლიან, რომ სიყვარულის მოთხოვნილება არსებობს თვით ადამიანის ბუნებაში. იგი პირველად იღვიძებს სქესობრივი მომწიფების პერიოდში და გოგონებში და ბიჭებში განსხვავებულად მიმდინარეობს. სიყვარულის აღმოცენებამდე გოგონა ხდება მორცხვი და ზედმიწევნით მორიდებული, ყურადღების მიპყრობას ცდილობს ჩაცმულობით და კოსმეტიკით. ბიჭები აქტიურად ცდილობენ გოგონების ყურადღების მიპყრობას ჩაცმულობითა და ვარცხნილობით, ამასთანავე, ხშირად ღალატობთ გემოვნება.

სიყვარულში არის ორი საწყისი - ბიოლოგიური და საზოგადოებრივი. ბიოლოგიური საწყისი არის სქესობრივი ინსტინქტი. სიყვარულის ბიოლოგიური საწყისი საუკუნეების განმავლობაში უცვლელია, ხოლო მისი სოციალური არსი იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებასთან ერთად. რაც უფრო მდიდარია უფროსკლასელთა სოციალური ინტერესები, მით უფრო ღრმაა მათი სასიყვარულო ურთიერთობები. ძალზე მისასალმებელია, როცა ჭაბუკის სიყვარულის გრძნობა რომანტიკულია და დამყარებულია საყვარელი გოგონას რაინდულ აღქმაზე. ასეთ შეხედ-

ვევაში ჭაბუკი ახშობს გოგონასადმი ცინიკურ, სქესობრივ ლტოლვას. ყოველივე ეს დამოკიდებულია უფროსკლასელთა სქესობრივ აღზრდაზე და, საერთოდ, კულტურის დონეზე. ჭაბუკური სიყვარული, როგორც წესი, მდიდარია სხვადასხვა განცდებით, გულწრფელი და ლირიულია. იგი მეტ-რი რაიმეთი გავს მეგობრობას, მისი საფუძველია სულიერი სიახლოვე. სიყვარულის გრძნობა, უმეტესწილად, დადებით გავლენას ახდენს ჭაბუკების პიროვნებაზე, მათში იწვევს სრულყოფისა და ნაკლის გამოსწორების ტენდენციას.

უფროსკლასელები თვლიან, რომ სიყვარული არის ამაღლებულის განცდა. უფროსკლასელთა შეხედულებები სიყვარულის შესახებ იყოფა რამდენიმე ჯგუფად (15,79–80):

1) ამ ჯგუფში შედის ისეთი შეხედულებები, რომლებიც ავლენენ სიყვარულის საკითხებში გარკვევის სურვილის არარსებობას ან მათ სრულ გაუგებრობას;
2) აქ ლაპარაკია ისეთ გამონათქვამებზე, რომლის საშუალებითაც უფროსკლასელები ცდილობენ სიყვარულის დეფინიციის მოცემას, მისი შინაარსის გახსნას. მაგრამ მათი შეხედულებები ხასიათდება ანალიზის ცალმხრივობით და უსრულობით (არასაკმაო სისრულით).
3) ამ ჯგუფში ერთიანდებიან ის უფროსკლასელები, რომლებიც თვლიან, რომ სიყვარულში ძირითადი და მთავარია მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება, შეყვარებულებს შორის საერთო ინტერესების, შეხედულებებისა და მისწრაფებების არსებობა. მათი აზრით "სიყვარული არის ურთიერთგაგებაზე დამყარებული გრძნობა". საინტერესოა, რომ ამ უფროსკლასელებს, რომლებიც ასე მსჯელობენ, ჯერ არ განუცდიათ სიყვარული.
4) ამ ჯგუფს განეკუთვნებიან ის უფროსკლასელები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფენ სუფთა სასიყვარულო განცდების არსებობის შესაძლებლობას. ესაა სიყვარულის ბიოლოგიზაცია. მათთვის სიყ-

ვარული არის უბრალო ჩვევა, რომელიც ყალიბდება ადამიანთა ხანგრძლივი და ხშირი ურთიერთობის შედეგად. ასეთი შეხედულებები უმეტესად დამახასიათებელია გოგონებისთვის.

5) ამ ჯგუფში შემავალი უფროსკლასელები აღნიშნავენ, რომ სიყვარულის გრძნობა რაღაც შეუმჩნეველი და აუხსნელია, რომელიც ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებობს.

ჭაბუკობისდროინდელი მეგობრული ურთიერთობანი ხშირად მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება.

ამ ასაკში პირველად ჩნდება სიყვარულის განსაკუთრებული გრძნობა, რაც ჭაბუკის ემოციონალური ცხოვრების სრულიად განსაკუთრებული სფეროა. სიყვარული, როგორც ღრმა, ძლიერი და რთული გრძნობა, მხოლოდ ახლა ვითარდება. გარდამავალ ასაკში ეს გრძნობა პირადი სიმპატიის დონეზე იყო განვითარებული. ჭაბუკური სიყვარული, როგორც ნაზი, სუფთა, უშუალო, ფაქიზი, ლირიკული და გულწრფელი გრძნობაა: შეყვარებულები ერთმანეთში აფასებენ მაღალ სულიერ ღირსებებს. 16–17 წლის ასაკში საწინააღმდეგო სქესისადმი ინტერესი და სწრაფვა – ნორმალური მდგომარეობაა.

მიუხედავად იმისა, რომ უფროსკლასელთათვის, მოზარდებთან შედარებით, დამახასიათებელია ზოგადი დადებითი ემოციონალური ფონი, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ ასაკში არ შეინიშნება უარყოფითი, ცუდი განცდები და განწყობილებები, დეპრესიები, რომლებიც გამოიწვევა ამა თუ იმ ცხოვრებისეული სიტუაციისა და მდგომარეობის გავლენით. ნ. ლიდჯების მონაცემების მიხედვით (18, 158) უფროსკლასელთა ცუდი ემოციური მდგომარეობის მიზეზებია:

1) სწავლის სიძნელეები, ცუდი ნიშნები, მარცხი 44,9%
2) საოჯახო საზრუნავი, კამათი, მშობლების დამოკიდებულება : 9,6%
3) ინტიმური კავშირება, საქმეები [illegible] 9,6%
4) "[illegible]", ამღვრეული სინდისი, შეცდომები, არასწორი

ქცევები . 8,2%

5) დავისჯელობანი, შეზღუდვები, აკრძალვები . 5,3%

6) ავადმყოფობა, ტარები . . . . 5,2%

7) შენიშვნებით გამოწვეული წყენის გრძნობა, გაუგებრობები, მეგობრებთან ჩხუბები . . . 5,1%

8) პირადული სიძნელეები: უკმარობის გრძნობა, ნიჭის უკმარობა . . . . 5,1%

9) მეგობრებთან დაკავშირებული მღელვარებები . 3,2%

10) სხვადასხვა ნიშნები: უსაქმურობა, შიშები, ცუდი ძილი . 5,8%

ამრიგად უფროსი სასკოლო ასაკი გრძნობის და ემოციების განვითარების სენზიტიური ასაკია. თანატოლებთან შედარებით ჭაბუკების ემოციონალური ცხოვრება უფრო ღრმა და გამდიდრებული ხდება.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია. ა. პეტროვსკის რედაქციით, თბ., 1977 წ. გვ. 188-193.

2. Эмоциональные нарушения в детском возрасте и их коррекция. Под ред. В.В.Лебединского и др. М., 1990 г.

3. Кон И.С. Психология ранней юности. М., 1989 г. Стр.78-84.

4. Кон И.С. Психология юношеского возраста. М., 1979 г. Стр.53-59.

5. Кон И.С. Психология старшеклассника. М., 1980 г. Стр.50-55.

6. Якобсон П.М. Эмоциональная жизнь школьника. М., 1966 г. Стр.142-170.

7. Гозман Л.Я. Психология эмоциональных отношений. М., 1987 г.

8. Василюк Ф.Е. Психология переживания. М., 1984 г.

9. Крутецкий В.А. Основы педагогической психологии. М., 1972 г. Стр.124-134.

10.Крутецкий В.А., Лукин Н.С. Очерки психологии старшего школьника. М., 1963 г.

11.Мудрик А.В. Современный старшеклассник. М., 1977 г.

12.Мудрик А.В. Время поисков и решений, или старшеклассникам о них самих. М., 1990 г.

13.Эберлейн Г. Страхи здоровых детей. М., 1981 г.

14.Кульчицкая Е.И. Воспитание чувств детей в семье. Киев, 1983 г.

15.Нагаев В.В., Бендас Т.В. Психология чувств и их воспитание. Пермь, 1982 г.

16.Ковалев А.Г. Воспитание чувств. М., 1971 г.

17.Лук А.Н. Эмоции и личность. М., 1982 г.

18.Якобсон П.М. Некоторые данные о психологии юношеского возраста в зарубежной литературе. Ж. "Вопросы психологии". 1970 г., № 4.

19.Эмоциональные нарушения в детском возрасте и их коррекция. М., 1990 г.

# თ ა ვ ი V

## უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობა უფროს სასკოლო ასაკში. ადრეულ ჭაბუკთა მეგობრობა

გარდამავალი ასაკი ბავშვის მშობლებისაგან ემანსიპაციის ასაკია. უფროს სასკოლო ასაკში ემანსიპაცია შეიძლება იყოს ემოციონალური, ქცევითი და ნორმატული. ემოციონალური ემანსიპაცია გულისხმობს თუ რამდენადაა ჭაბუკისათვის ღირებული ემოციონალური კონტაქტი მშობლებთან (სიყვარული, მეგობრობა); ქცევითი ემანსიპაციისათვის დამახასიათებელია ის, თუ რამდენად მკაცრად რეაგირებენ მშობლები შვილების ქცევებზე; ხოლო ნორმატულისთვის – არის თუ არა ჭაბუკი ორიენტირებული იმავე ღირებულებებზე, რაზედაც – მშობლები.

ჭაბუკების დამოუკიდებლობის ზრდა მშობლების ძალაუფლებას თანდათანობით ზღუდავს. მოზარდებთან შედარებით ადრეული ჭაბუკების ქცევითი ავტონომია ძალიან იზრდება. ჭაბუკი ახლა დამოუკიდებლად ანაწილებს თავის დროის ბიუჯეტს, ირჩევს მეგობრებს და ა.შ. საკუთარი უფლებების კიდევ უფრო გასაფართოებლად ჭაბუკები მშობლებს გაზრდილ მოთხოვნებს უყენებენ, რომელთა შორის მატერიალურ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.

მშობლების ავტორიტეტს უფროსკლასელები აბსოლუტურად და უკრიტიკოდ აღარ აღიქვამენ. მშობელთა ყოველი უარყოფითი ქცევა და თვისებები მწვავედ განიცდება. ეს განსაკუთრებით ეხება განსვლას სიტყვასა და საქმეს შორის.

მოზარდებთან შედარებით ჭაბუკებში მშობლებთან იდენტიფიკაციის ხარისხი ნაკლებია, თუმცა კარგი მშობლები კვლავ ქცევის ეტალონებად რჩებიან. უფროსკლასელები მიიჩნევენ, რომ მშობლები მათი

მიჩვეულები და მეგობრები იყვნენ. დამოუკიდებლობისა და ავტონომიისკენ ძლიერი მისწრაფების მიუხედავად მათ მშობელთა ცხოვრებისეული გამოცდილება და დახმარება ძალიან სჭირდებათ.

უფროსკლასელებს და მშობლებს შორის ხშირია კონფლიქტები. აღრეული ჭაბუკები ფიქრობენ, რომ მშობლები მათ "ვერ უგებენ". "ვერ გაგება" ამ ასაკის მოსწავლეთა ტიპიური პასუხებია, რომლის მიზეზი უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ მშობლები ვერ ამჩნევენ (ან არ უნდათ შეამჩნიონ), რომ აღრეული ჭაბუკის შინაგანი სულიერი სამყარო შეიცვალა და ისინი ახლა პატარები აღარ არიან. მოზარდი უკვე გაიზარდა, შეიცვალა, ხოლო მშობლები მას ისევე ექცევიან, როგორც რამდენიმე წლის წინათ.

ბევრი მშობელი, რომელიც მიჩვეულია შვილების მიმართ მბრძანებლობას, ავადმყოფურად განიცდის, რომ ახლა ძალაუფლებას კარგავს. "ჩვენს მეგობარს მშობლები უგებენ, ისინი თავის შვილს ადამიანად თვლიან... ჩვენი მშობლები მხოლოდ ჩვენს გაკვეთილებზე ფიქრობენ. მე რომ ადამიანი ვარ და მეც შეიძლება საქმეები მქონდეს, ეს მათ აზრადაც არ მოსდით. მეცნიერებათა კანდიდატები არიან". ასეთია აღრეული ჭაბუკების ტიპიური მსჯელობები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უფროსკლასელები ხშირად უყურადღებონი არიან მშობლების მიმართ ასაკობრივი ეგოცენტრიზმის გამო (7, 117).

აღრეული ჭაბუკების უფროსებთან ურთიერთობის სფეროში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს მასწავლებლებთან ურთიერთობას. ამ თვალსაზრისით მასწავლებლებიც იმავე სიძნელეების წინაშე დგანან, როგორც მშობლები. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით რთულდება უფროს სასკოლო ასაკში, რადგანაც ჭაბუკების მოთხოვნები მასწავლებლის მიმართ მკვეთრად იცვლება. თანამედროვე უფროსკლასელის სტატუსი სკოლაში არაერთმნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, უფროსის მდგომარეობა ჭა-

ბუკს დამატებით პასუხისმგებლობას აკისრებს. ახლა მას მეტს სთხოვენ და გაცილებით რთულსა და ძნელ დავალებებსაც აძლევენ. მეორე მხრივ, უფლებებისა და მოვალეობების მიხედვით ისინი მთლიანად მასწავლებლებზე და სასკოლო ადმინისტრაციაზე არიან დამოკიდებულნი. მათ მასწავლებლის ყველა დავალება უსიტყვოდ უნდა შეასრულონ. ყოველივე ეს ქმნის უფროსკლასელთა შინაგან პოზიციას სკოლისა და სწავლის მიმართ, რაც მათ ძალიან აღელვებთ. უმცროსკლასელი და მოზარდი ამ მომენტებს არ აცნობიერებენ. მათ უბრალოდ "უყვართ" ან "არ უყვართ" სკოლა.

იცვლება უფროსკლასელთა სწავლის მოტივები. უმცროსკლასელები სწავლის შინაარსს ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ და ძირითადად ორიენტაციას იღებენ ნიშნებზე, რომლებიც მათდამი მასწავლებლის გარკვეულ დამოკიდებულებას გამოხატავს. გარდამავალ ასაკში სწავლა არის თანატოლთა შორის პრესტიჟის მოპოვების საშუალება, ხოლო უფროს სასკოლო ასაკში კი სწავლა, ცოდნის მიღება ხდება მომავალი ცხოვრებისადმი მომზადების საფუძველი. ამის გამო იმ მასწავლებლების მიმართ, რომლებიც უფროსკლასელებს მომავალი ცხოვრებისათვის უშუალოდ ამზადებენ სიმპატიები უჩნდებათ. უფროსკლასელი მასწავლებელში მშობლის მაგიერს აღარ ხედავს. იდეალურ მასწავლებელში ის გულისხმობს ისეთ მასწავლებელს, რომელიც მის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს "გაიგებს" და დააფასებს. მასწავლებლის პროფესიული კომპეტენცია, მისი ცოდნის დონე მეორე პლანზე გადადის. უფროსკლასელებთან დამოკიდებულებაში მასწავლებელთა ძალიან გავრცელებული ფსიქოლოგიური შეცდომაა ქაბუკთა სიღრმისეული პიროვნული თვისებების არასათანადო აღქმა და შეფასება. სამწუხაროდ, მასწავლებელი ხშირად აფასებს ქაბუკებს ისეთი გარეგნული და ფორმალური ნიშნების მიხედვით, როგორიცაა დისციპლინა და აკადემიური წარმატება. ორივე ეს მხარე რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ

ჭაბუკების ღრმა სულიერ თვისებებზე ნაკლებ წარმოდგენას იძლევა.

როგორც ვნახეთ, მოზარდები ძალიან მგრძნობიარენი არიან მათ მიმართ მასწავლებელთა უსამართლობაზე, უნდობლობაზე, მწვავედ რეაგირებენ რაიმე სახის ნეგატიურ გამოვლენაზე. ამ ასაკში ყველაზე ხშირია კონფლიქტები მოზარდებსა და მასწავლებლებს შორის. მოზარდების უმრავლესობა კონფლიქტურ სიტუაციებში მხარს უჭერენ ერთმანეთს და უპირისპირდებიან მასწავლებელს.

უფროს სასკოლო ასაკში მასწავლებლებისადმი დამოკიდებულება სტაბილური ხდება და კონფლიქტების რიცხვიც საგრძნობლად მცირდება. როგორც ვნახეთ, პიროვნების ინტელექტუალური და ემოციონალური გარდაქმნის ზოგად ფონზე უფროსკლასელისათვის მასწავლებლებთან დამოკიდებულება ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა. ახლა არსებითია ის, თუ როგორი აზრისაა მასზე მასწავლებელი, როგორ ანსხვავებს მას სხვებისაგან, აფასებენ მას, როგორც პიროვნებას, პატივს სცემს მასწავლებელი მის "მე"-ს და ანგარიშს უწევს თუ არა მას.

საყვარელ მასწავლებლებს ადრეული ჭაბუკები აიდეალებენ, მიაწერენ მათ უნივერსალური მნიშვნელობის ღირსებებს. მასწავლებლებისადმი ასეთი დამოკიდებულება, ზოგჯერ, სქესობრივი მიკუთვნებულობის დაღსაც ატარებს. უფროსკლასელი გოგონები განსაკუთრებული სინაზით ეპყრობიან ახალგაზრდა მამაკაც მასწავლებლებს, ხოლო უფროსკლასელი ვაჟები კი უკიდურესად ყურადღებიანნი არიან ახალგაზრდა ქალი მასწავლებლების მიმართ.

მოსწავლის მიერ მასწავლებლის აღქმა ხორციელდება ეტაპობრივად. მასწავლებლის შესახებ მოსწავლეთა აზრი პირველად ყალიბდება მისი პროფესიული მონაცემების საფუძველზე, ხოლო შემდეგ - მისი ზნეობრივი ნიშნების შესახებ. ბოლოს კი მოსწავლე ცდილობს მასწავ-

ლებელთან დაახლოებას, მასთან ინდივიდუალური კონტაქტების დამყარებას.

აკადემიური ნიშნები. როგორც თვითგრძნობაზე მუდმივმოქმედი ფაქტორი, მეტ-ნაკლებად ყველა ასაკის მოსწავლეს აღელვებს. ნიშნების გამო გამოწვეულ განცდებს უფროსკლასელებთანაც დიდი ადგილი ეთმობა. მასწავლებლებთან კონფლიქტები, ხშირად, აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს მოსდით. მათ უმეტესად იმიტომ კი არ უჭირთ სასწავლო მასალის დაძლევა, რომ ეს მასალა ძალიან რთულია და ვერ გაიგეს, არამედ იმის გამო რომ ეს მოსწავლეები სუსტი ნებისყოფის არიან, აქვთ განუვითარებელი თვითრეგულაცია, არ გააჩნიათ შრომითი ჩვევები.

მასწავლებელი უფროსკლასელთა თვალში საზოგადოების ინდივიდუალური წარმომადგენელია. მოსწავლეთა შეფასებებში მასწავლებლის ერუდიცია დიდად ფასობს, მაგრამ მხოლოდ უმცროსკლასელებს მიაჩნიათ, რომ მასწავლებელი ყოვლისმცოდნეა. დღევანდელი უფროსკლასელები მასწავლებელში აფასებენ არა ენციკლოპედიურობას, არამედ მოსწავლეთა შეხედულებების სხვადასხვა ხერხებით შეიარაღების უნარს. მოსწავლეთა შეხედულებები მასწავლებლებზე გაშუალებულია ამხანაგებით, ჯგუფით, კლასით. ეს შეხედულებები ძალზე კონსერვატულია. იგი გადაეცემა კლასიდან კლასს, უფროსებიდან უმცროსებს და იქცევა მასწავლებლის შესახებ საზოგადოებრივ აზრად.

გარდამავალ ასაკში, როგორც ვნახეთ, აღმოცენდება თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება, რომელსაც ვერ ცვლის მშობლებთან ურთიერთობა. უფროს სასკოლო ასაკში ეს მოთხოვნილება უფრო ძლიერდება. ნებისმიერი სასკოლო კლასი იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად და ქვეჯგუფებად: ა) კლასში არის გარკვეული სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა შვილები, რომელთა მატერიალური მდგომარეობა სხვებისაზე უკეთესია. ამ ახალგაზრდებს განსხვავებული აქვთ ცხოვრებისეული

გეგმებით; პროფესიის დონეებით და მათი რეალიზაციის საშუალებე-ბით. ბ) კლასში არსებობს განსხვავებული იერარქია, რომელიც და-ფუძნებულია მოსწავლეთა სტატუსზე (სასწავლო წარმატებების ან "აქ-ტივისადმი" მიკუთვნებულობის თვალსაზრისით); გ) ხდება ავტორიტე-ტების "სტატუსის" და პრესტიჟის დიფერენციაცია ორიგინალური ღი-რებულებების საფუძველზე. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით თვალში საცემია უფროს სასკოლო ასაკში (7, 137); რითაც არ უნდა იყოს გან-პირობებული უფროსკლასელთა სტატუსი თანატოლთა კოლექტივში, იგი ძლიერ გავლენას ახდენს მათ ქცევებსა და თვითრწმენიერებაზე.

მოზარდული ჯგუფები უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფენ თავი-სუფალი ურთიერთობის მოთხოვნილებას, რომელიც არაა რეგლამენტირე-ბული და, რაც მთავარია, მოკლებულია უფროსების კონტროლს. თავისუ-ფალი ურთიერთობა არის თვითგამოხატვისა და თვითდამკვიდრების სა-შუალება. გარდამავალ ასაკში ძირითადად არსებობენ ერთსქესიანი ჯგუფები (უმეტესად ბიჭების), ხოლო უფროს სასკოლო ასაკში აღინიშ-ნე ჯგუფებში "თავის" გოგონებსაც გაერევიან ბიჭები.

უფროს სასკოლო ასაკში შეინიშნება აგრეთვე უარყოფითი ჯგუ-ფებიც, რომლებშიც უარყოფითი ღირებულებების წახალისება და მათი წევ-რების ქცევა ასოციალურია.

ამერიკის ქ. სიეტლში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით (12-დან 18 წლამდე) ბავშვთა ქცევებსა და ღირებულებით ორიენტაცი-ებზე თანატოლები გაცილებით მეტ გავლენას ახდენენ, ვიდრე მშობლე-ბი. ასაკის წინსვლასთან ერთად ეს გავლენა უფრო იზრდება. მეშვიდე კლასამდე ბავშვების უმრავლესობა მშობლების გავლენის ქვეშაა, ხო-ლო შემდეგ წინა პლანზე გამოდიან თანატოლები. მეშვიდე კლასამდე მოსწავლეები მშობლებს თვლიდნენ ავტორიტეტებად და წარმატების ნიმუშად, ხოლო უფროს სასკოლო ასაკში ამ თვალსაზრისით, თანატოლებს ანი-ჭებენ უპირატესობას (11, 78).

როგორც ცნობილია, უმცროსკლასელები თანატოლებთან ურთიერთობას, ძირითადად, თამაშში ამყარებენ. მათ სიმპატიებსა და ანტიპატიებზე დიდ გავლენას ახდენს მასწავლებლის შეფასებები. უფროსებთან მათი ურთიერთობა და კონტაქტები ძალიან მწირია. უმცროსკლასელები ძირითადად უფროსებზე არიან დამოკიდებულნი და ურთიერთობის ფორმას ეს მდგომარეობა განსაზღვრავს.

უმცროსი მოზარდები (მეოთხე-მეხუთე კლასი) გაცილებით ნაკლებად ურთიერთობენ უფროსებთან, ვიდრე - თანატოლებთან. ეს უკანასკნელი მათთვის მეტად მნიშვნელოვანია, როგორც უმცროსი მოზარდის თვითდამკვიდრების არენა.

უფროსი მოზარდები უკვე ინტერესდებიან მეორე მეგობრული ჯგუფებითა და კომპანიებით. ისინი ჯერ კიდევ კონკრეტულ საგნებზე მსჯელობენ, მაგრამ, ხანდახან, განყენებულ თემებსაც აშუქებენ. ისინი ისევე "აწვალებენ" გოგონებს და ამავე დროს ძალიან აინტერესებთ სქესთა შორის განსხვავებანიც. უფროსებთან ურთიერთობისას მოითხოვენ თანაბრობის პრინციპების დაცვას.

უფროსკლასელებს კი ურთიერთობის მოთხოვნილება ძალიან აქვთ განვითარებული. ისინი სიამოვნებით ამყარებენ ურთიერთობას როგორც თანატოლებთან (ბიჭებთან და გოგონებთან), ასევე უფროსებთან. ადრეული ჭაბუკების ურთიერთობაში მთავარი ყურადღება ექცევა მეგობრების შეძენას, გაგებას და საკუთარი თავის შეცნობის შესაძლებლობას. მათ ურთიერთობაში ჭარბობს ადამიანურ ურთიერთობათა პრობლემები, ინტიმური საკითხები. მასწავლებლებმა და აღმზრდელებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ არა მარტო ის, თუ რატომ და როგორ ურთიერთობენ მოსწავლეები, არამედ ისიც, თუ როგორ გავლენას ახდენს ეს ურთიერთობა მათი პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

ჭაბუკებს მეტად აღელვებთ ისეთი რთული საკითხები, როგორიცაა საკუთარი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური "მე"-ს შეფასება,

მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, თვითგამორკვევის პრობლემები, სოციალური თვითდამკვიდრების ადეკვატური ხერხების ძიება. ურთიერთობის ჭაბუკური ტიპი მეცხრე–მეათე კლასებში ღებულობს დომინირებულ მდგომარეობას.

უფროსკლასელთა ურთიერთობაში ხშირია კონფლიქტებიც. მათი მიზეზები შემდეგია: (12,54 – 58):

1) უფროსკლასელთა გარშემო მიმდინარე მოვლენებზე შეხედულებათა შეუთავსებლობა;
2) ზოგიერთი უფროსკლასელის თვითდამკვიდრების მარცხიანი მცდელობა;
3) უფროსკლასელთა ზოგიერთი უარყოფითი პიროვნული თვისება (ეგოიზმი, პატივმოყვარეობა...);
4) არსებული ურთიერთობით გამოწვეული დაუკმაყოფილებლობის გრძნობა;
5) ფიზიკური ნაკლი (შეძენილი ან თანშობილი);
6) ზოგიერთი უფროსკლასელის არაადეკვატური ქცევა.

უფროსკლასელებთან კონფლიქტების მიმდინარეობის ტიპიური ფორმებია: ა) დაუკმაყოფილებლობის ფარული მდგომარეობა, რომელიც ვლინდება პიროვნების ან ჯგუფის მოქმედებასთან აშკარა უთანხმოებაში. იგი გამოიხატება აგრეთვე გულგრილობაში, კოლექტივისგან თვითიზოლაციის მცდელობაში. ბ) პასიური პროტესტი, რის საფუძველზეც მცირდება მფოთისა და ნეხილის განცდა, სუსტდება კონფლიქტებით გამოწვეული ემოციონალური დაძაბულობა; გ) აშკარა შეჯახება, რომელიც ვლინდება უთანხმოების მკვეთრ გამოხატვაში მწვავე კამათის, ჩხუბის და სხვა ფორმების სახით, აგრეთვე შურიანობაში, აგრესიულობასა და სხვა აფექტურ მოქმედებებში.

შინაარსის მიხედვით უფროსკლასელთა კონფლიქტები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: 1) ღირებულებითი კონფლიქტები. ეს ისეთი კონფლიქტებია, რომლებიც აღმოცენდებიან ურთიერთობის ნორმების შინაარსის შეფასებითი სისტემის სფეროში. მაგალითად, ზოგისთვის მიუღებელია

თანატოლთა თავაშვებულობა, ზოგისთვის კი - თანატოლთა სანიმუშო ქცევა, კრიტიკას იმსახურებენ ის თანატოლები, რომლებიც იქცევიან მხოლოდ "წესების მიხედვით". ეს უნდა აიხსნას ემოციონალური, ინტელექტუალური და ნებელობითი განვითარების სხვადასხვა დონეების არსებობით. ძალიან რთული ბუნებისაა იმ ღირებულებათა და შეფასებათა შეჯახების შედეგად აღმოცენებული კონფლიქტები, რომლებიც უფროსკლასელებს შეთვისებული აქვთ განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ჯგუფებისა ან კოლექტივებისაგან. 2) კონფლიქტები, რომლებიც დაკავშირებული არიან უფროსკლასელთა ქცევის ჩამოყალიბებული სტერეოტიპების რღვევასთან. ასეთ კონფლიქტებს განსხვავებული მიზეზები აქვთ. მაგალითად, უფროსკლასელთა ჯგუფისა ან კოლექტივისათვის ძალიან ძნელი ან მოცემული სიტუაციისთვის გადაულახავი, შეუსრულებელი ამოცანების ან დავალებების მიცემა. ან კიდევ, ისეთი დავალებების მიცემა, რომელთა შესრულების არც ერთი ვარიანტი მათთვის ცნობილი არ იყო. ე.ი. უფროსკლასელთა კოლექტივის ან ჯგუფის იძულება იწვევს კონფლიქტებს. კონფლიქტების მიზეზი შეიძლება გახდეს აგრეთვე კოლექტივის მიერ რომელიმე დავალების შესრულების შეუთანხმებელი ორგანიზაცია. მაგალითად, ხელმძღვანელობის სტილის მკვეთრი შეცვლა (დემოკრატიულიდან ავტოკრატიულზე გადასვლა). 3) მოულოდნელად აღმოცენებული კონფლიქტები, რომელთა შინაგანი მექანიზმი დაკავშირებულია წამიერ ემოციონალურ განმუხტვასთან. მათი საფუძველია ადამიანის რთული ბიოლოგიური და ემოციონალური რეაქცია საგნებისა და მოვლენების შესახებ, ადამიანთა ქცევებზე. ასეთი კონფლიქტები სწრაფწარმავალია. ისინი ისევე მოულოდნელად ჩაქრება, როგორც აღმოცენდა. ამისთვის კი საჭიროა რომელიმე მოკამათის ყურადღება სხვა შინაარსზე გადაირთოს.

მოსწავლეთა კოლექტივში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ლიდერობის საკითხის შესწავლას. მცირე სოციალურ ჯგუფთა შესწავლი-

სას დგება მთელი რიგი სოციალურ-ფსიქოლოგიური საკითხებისა, სადაც ცენტრალური ადგილი ლიდერის პრობლემას უკავია. ლიდერობა, როგორც ჯგუფური მოქმედების მთავარი ფაქტორი, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ლიდერობის პრობლემა შეისწავლება ისეთ ასპექტებში; როგორიცაა ლიდერის როლი მცირე ჯგუფების აღმოცენებასა და ფუნქციობაში; ჯგუფის წევრთა მოქმედების კოორდინაციები; ლიდერის დამოკიდებულება ჯგუფის მიზნებსა და ამოცანებზე; მისი გავლენა თანაგილდა მორის თვითდამკვიდრებასა და პრესტიჟის მოპოვებაზე. ლიდერობის საკითხის კვლევა სასკოლო პრაქტიკაში, მიუხედავად მისი უაღრესად დიდი მნიშვნელობისა, საწყენად, იშვიათი მოვლენაა. ლიდერები ტონს აძლევენ მთელ სასკოლო ცხოვრებას. ისინი სასკოლო ცხოვრებას წარმტაცი შინაარსებით ავსებენ; აკავშირებენ გათიშულ ელემენტებს და, ხანდახან, დეზორგანიზაციას შეაქვთ კოლექტივის ცხოვრებაში. კლასში ლიდერი ხდება ის მოსწავლე, რომელსაც თავისი კომუნიკატიუ-ლი და პიროვნული თვისებების გამო ინფორმაციის მიღების მეტი საშუალება აქვს, ვიდრე დანარჩენებს. ლიდერებს განსხვავებული პრესტიჟი აქვთ. ერთნი ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობენ, მეორენი კი ორგანიზატორული ჩვევებითა და შესაბამისი კომუნიკატიური თვისებებით დგანან სხვებზე წინ. არიან ისეთებიც, რომლებიც ამგვარი თვისებებით არ გამოირჩევიან, მაგრამ ინდივიდუალური, განუმეორებელი თავისებურება ახასიათებს.

ლიდერებს შეიძლება ჰქონდეთ პიროვნების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები. ადრეული ჭაბუკობის ასაკის ლიდერობის ერთ-ერთი თავისებურება ისიც არის, რომ ზოგი ლიდერი შეიძლება ვერც აღიქვამდეს თავის თავს ლიდერად და ჯგუფზე გავლენას ახდენდეს ისეთი [illegible] მეშვეობით, რომლებიც აქტიური კომუნიკატიური თვისებებით გამოირჩევიან.

პირად ურთიერთობათა, ლიდერობის, თვითშეფასების, "პრესტი-

ზრის დონის", მიკროჯგუფებისა და სხვა კვლევის მეთოდები ჯერ კიდევ ნაკლებადაა დამუშავებული. ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში პირველ ურთიერთობათა საკითხი შედარებით სრულად აქვს გაშუქებული პროფესორ ა. ყოლბაიას. იგი გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასკოლო კოლექტივში ბავშვთა შორის დამოკიდებულება მრავალნახნაგოვანია. მათ შორის არსებობს სიმპათია, ანტიპათია, სიძულვილი, სიყვარული, მეგობრობა, ინდიფერენტულობა და ა.შ. სასკოლო ჯგუფების შესწავლისათვის აუცილებელია ყველა ამ მომენტის გათვალისწინება.

დამტკიცდა, რომ კლასის ფაქტიური, ნამდვილი, მოსწავლეთა სოციომეტრული გამოკითხვით დადგენილი ლიდერი სხვაა, მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა გამოკითხვით - სხვა. გამოკითხული საგნის მასწავლებლები უმეტესწილად მცდომით ასახელებენ კლასის არაფორმალურ ლიდერებს. როგორც გაირკვა, აკადემიური მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც ლიდერებზე ძირითადად მსჯელობენ მასწავლებლები, არაა ფაქტიური ლიდერის დადგენის ასე თუ ისე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. ლიდერის დასახელების დროს კლასი აკადემიურ წარმატებას იშვიათად იღებს მხედველობაში, მასწავლებლები კი ამ მხარეს წინა პლანზე აყენებენ.

როგორიცაა კლასი, ისეთივეა მისი ლიდერი. თუ კლასი კარგია, ლიდერიც დადებითია. პირიქით ძალზე იშვიათად ხდება, თუ კლასი უარყოფითია, ცუდია, მისი ლიდერიც უარყოფითია, ქუჩასთანაა დაკავშირებული. კარგ და ცუდ კლასებში სოციალური ღირებულებები სხვადასხვაა.

უნდა აღინიშნოს, რომ აშკარად გამოხატული ლიდერი იშვიათი გამონაკლისია. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთ ძნელადაღსაზრდელს ან ქუჩასთან დაკავშირებულ უფროსკლასელს (ასეთები კარგ კლასებშიც გვხვდება) ხელში ჰყავს აყვანილი მთელი კლასი. ასეთი მოსწავლისა ეშინიათ და იძულებულნი არიან იმეგობრონ კიდეც მასთან. სინამდვი-

ლეში კი სოციომეტრული გამოკითხვის დროს ასეთი ტაბუკი თითქმის ვერც ერთ ხმას ვერ ღებულობს.

დადებით ლიდერს ისეთი გლობალური გავლენა არა აქვს თანატოლთა კოლექტივზე, როგორც უარყოფითს. აშკარად გამოკვეთილი უარყოფითი ლიდერი ერთია, იგი მარტოა, კონკურსგარეშეა. დადებით ლიდერს კი კონკურენტები ჰყავს, იგი ცოტათი სჯობს სხვებს. უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო დეტალიც. უარყოფით ლიდერებს თანაკლასელი გოგონები უფრო მეტად წინააღმდეგობას უწევენ (აშკარასაც და ფარულსაც), ვიდრე ვაჟები. ამის გამო უარყოფითი ლიდერები თანაკლასელ გოგონებთან ურთიერთობის დამყარებისათვის ფაქიზ დიპლომატიას მიმართავენ.

ოფიციალური ლიდერები კლასში დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით არ სარგებლობენ. თანაკლასელთა აზრით, მათი სიტყვა და საქმე ხშირად სცილდება ერთმანეთს, საქმეს სიყვარულით არ აკეთებენ, მათ ყოველთვის მასწავლებლის მხარე უჭირავთ. ამ შემთხვევაში სიტყვაში "მასწავლებელი" უფროსკლასელები გულისხმობენ მთელ პედაგოგიურ კოლექტივს და სკოლას საერთოდ. ის, რომ ზოგიერთ კლასში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ერთგვარი დაპირისპირება შეინიშნება, მასწავლებლის ავტოკრატიული სტილის ბრალია. ხოლო, როცა მასწავლებლის ამ ავტოკრატობას სოციალურ-ფსიქოლოგიური ცოდნის უკმარობაც ემატება, სწავლა-აღზრდის საქმე მეტად სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი, სამწუხაროდ, კარგად ვერ ერკვევა ასაკობრივი, პედაგოგიური და სოციალური ფსიქოლოგიის საკითხებში: ბევრმა მათგანმა არ იცის რა არის ჯგუფი (ფორმალური, არაფორმალური), კოლექტივი, პიროვნება, ლიდერობა, თვითცნობიერება, რეფლექსია, სწავლის მოტივები და სხვა. ყოველივე ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლასსა და მასწავლებელს შორის სოცი-

ალური კონტაქტების დამყარებაზე. ასეთი მასწავლებლები ჯეროვნად ვერ აფასებენ იმ ფაქტს, რომ გაკვეთილს გარდა დიდაქტიკურისა, აქვს მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე - სოციალურ-ფსიქოლოგიური, რომლის გაუთვალისწინებლობაც გაკვეთილი მშრალი და ძნელადასატანი ხდება.

## ადრეულ ჭაბუკთა მეგობრობა

ადრეული ჭაბუკობა არის დამოუკიდებლობის ზრდის, მშობლებისგან ემანსიპაციის, თანატოლებზე ორიენტაციისა და თვითცნობიერების მკვეთრი ზრდის პერიოდი. ადრეული ჭაბუკის მთავარი ფსიქოლოგიური ახალწარმონაქმნია საკუთარი შინაგანი სამყაროს აღმოჩენა. ეს პროცესი, რომელიც გარდამავალ ასაკში დაიწყო, ახლა წამყვანი ხდება.

უფროს სასკოლო ასაკში ყალიბდება და ვითარდება ადამიანური ურთიერთობანი. ეს ასაკი ხასიათდება მეგობრის დაძაბული ძიებით, არჩევით, წყარი და ღრმა ემოციური გამოვლინებებით. მეგობრობა ამ ასაკის ერთ-ერთი წამყვანი მოთხოვნილება ხდება. იგი უმაღლეს ზნეობრივ ღირებულებად იქცევა. უფროსკლასელთა მეგობრობის ფსიქოლოგიური იდეალი გამოირჩევა სოცარი სიმტკიცით და ვლინდება განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ სფეროებში. უფროსკლასელები მეგობრობას სხვა ადამიანურ ურთიერთობათა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ჭაბუკური მეგობრობა ძალზე ემოციურია. მეგობრობაზე მათი წარმოდგენები ხშირად იდეალურ "მე"-სთან უფრო ახლოს, ვიდრე რეალურთან.

უფროსკლასელთა მეგობრობის ფსიქოლოგიური საფუძველია ურთიერთგაგებისა და "გულის გადაშლის" მოთხოვნილება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული თვითცნობიერების ზრდასთან. ამ მოთხოვნილებას საფუძველი ეყრება გარდამავალ ასაკში, ხოლო ადრეულ ჭაბუკობაში

იგი ძალიან მტკიცდება.

ჭაბუკური მეგობრობა თავისი ბუნებით პოლიფუნქციურია, რაც აისახება მისი ფორმების მრავალფეროვნებაში. ის იწყება [illegible]დროის ერთად გატარების სურვილით და მთავრდება ღრმა ინტიმური ფორმებით.

მეგობრობის ასაკობრივი დინამიკა იზომება არჩეულობის, სიმტკიცის და ინტენსიობის ხარისხით. ყველა ეს თვისება უფროს სასკოლო ასაკში ყალიბდება და ღრმავდება.

ასაკის წინსვლასთან ერთად მეგობრობაში გოგოების წილიც ძლიერდება და, როგორც ვნახეთ, უფროს სასკოლო ასაკში იგი კულმინაციას აღწევს.

როგორც ყოველგვარი ადამიანური ურთიერთობა – მეგობრობაც რეგულირდება გარკვეული წესების სისტემით. ეს წესები დაუწერელია, არაფორმალურია. არსებობს მეგობრობის ოთხი წესი (11, 159):

ა) გაცვლა. თავიანთი წარმატებების შესახებ ახალი ამბების ურთიერთგაზიარება, ემოციური მხარდაჭერა, საჭიროების შემთხვევაში ნებაყოფლობითი დახმარების აღმოჩენა, მცდელობა იმისა, რომ მეგობარს სიამოვნებდეს მეგობრის საზოგადოებაში, ვალისა და გაწეული სამსახურის გადახდა;

ბ) ინტიმურობა. მეგობარში დარწმუნებულობა და მისადმი ნდობა;

გ) მესამე პირთან დამოკიდებულება. მეგობრის დაცვა მისი არყოფნის დროს, მოთმინებით მოეკიდოს მის სხვა მეგობრებს, არ გააკრიტიკოს მეგობარი საჯაროდ, შეუნახოს მას საიდუმლო, არ იეჭვიანოს;

დ) კოორდინაცია. თავი არ მოაბეზროს და ჭკუა არ ასწავლოს მეგობარს, მეგობრის შინაგანი სამყაროსა და ავტონომიის ყოველგვარი გამოვლენის პატივისცემა.

აღნიშნული წესები საყოველთაოა ყველა ასაკისათვის, ხოლო უფროსკლასელთათვის იგი სავალდებულო ხდება და მისი ნებისმიერი პუნქტის დარღვევა ღრმად და მწვავედ განიცდება.

ამ ასაკში შეინიშნება უფროსებთან მეგობრობის ძიების ტენდენცია, მაგრამ თანატოლებთან მეგობრობის ტენდენცია ძალიან ძლიერია (75-80%).

შეინიშნება აგრეთვე უმცროსებთან მეგობრობაც. თუ გარდამავალ ასაკში მოზარდის უმცროსებთან მეგობრობა განიხილებოდა როგორც თანატოლებთან მეგობრობისა და ურთიერთობის სფეროში რაიმე დარღვევის ან ნაკლის კომპენსაცია, ამ ასაკში უმცროსებთან მეგობრობა განიხილება როგორც თანატოლებთან მეგობრობის დამატება და არა როგორც მისი ალტერნატივა. ის უფროსკლასელები კი, რომლებიც მხოლოდ უმცროსებთან მეგობრობენ, ფსიქო-ფიზიკური განვითარების ჩამორჩენას ამჟღავნებენ.

ი. კონის მონაცემებით მეცხრეკლასელი გოგონების 3,9% და ბიჭების 2,9% საერთოდ არ ყავს ახლო მეგობრები, საკუთარი სქესის თითო მეგობარი ყავს ბიჭების 23% და გოგონების 29%, ორი მეგობარი ყავს ბიჭების 31% და გოგონების 30%. ეს მონაცემები ცხადყოფენ, რომ მეგობრობა ამ ასაკში ძალიან ინდივიდუალური და არჩევითია (6, 171-172).

ჭაბუკურ მეგობრობაში ნათლად ვლინდება სქესობრივი კომუნიკაციური თავისებურებებიც. ინტიმური მეგობრის მოთხოვნილება გოგონებში ბიჭებთან შედარებით თითქმის ორი წლით ადრე ისახება და გოგონების მეგობრობა უფრო ემოციურია. მეგობრობაში მათი კრიტერიუმები ბიჭებისაგან განსხვავებით გაცილებით უფრო ფაქიზი და მდიდარია ფსიქოლოგიური მოტივებით.

ჭაბუკური მეგობრობა უნიკალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი მოიცავს სიყვარულსაც. განსხვავებული სქესის უფროსკლასელთა

ინტიმური მეგობრობა უმეტესწილად არის ახალჩასახული სიყვარულის დასაწყისი.

ადრეული ჭაბუკობის ასაკში მეგობრობას ძალზე პრივილეგირებული მდგომარეობა უჭირავს. მისი ერთადერთი "მეტოქეა" მშობლების სიყვარული და პატივისცემა.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ძ. ყოლბაია. მოზარდთა შორის პირად ურთიერთობათა სისტემის განვითარება. წიგნში - "მცირე სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია". ვლ. ნორაკიძის რედაქციით. თბ., 1975 წ. გვ. 158-199.
2. თ. გოგიჩაიშვილი. ლიდერობის პრობლემა მცირე სოციალურ ჯგუფებში. ჟურნალი "მაცნე", 1976 წ. N 2.
3. თ. გოგიჩაიშვილი. ლიდერობის პრობლემა მოსწავლეთა კოლექტივში. ჟურნალი "სკოლა და ცხოვრება", 1977 წ. N 8.
4. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია. ა. პეტროვსკის რედაქციით. თბ., 1977 წ. გვ. 193-197.
5. Чальковская Т.Н. Выдвижение лидера в среде старших школьников и его влияние на товарищей. В книге - "Руководство и лидерство". Л., 1973 г.
6. Кон И.С. Психология старшеклассника. М., 1980 г. Стр.73-104.
7. Кон И.С. Психология юношеского возраста. М., 1979 г. Стр.78-111.
8. Кон И.С. Психология ранней юности. М., 1989 г. Стр.106-167.

9. Кисловская В.Р. Школьники в среде сверстников и взрослых. А-Ата, 1975 г.

10. Мудрик А.В. Личность школьника и ее воспитание в коллективе. М., 1983 г.

11. Мудрик А.В. Общение школьников. М., 1987 г.

12. Бронфенбреннер У. Два мира детства. М., 1976 г.

13. Коллектив, общение, личность. Под ред.А.В.Мудрика. М., 1983 г.

14. Мудрик А.В. Роль социального окружения в формировании личности подростка. М., 1979 г.

15. Деятельность, общение, игра в развитии коллектива и формировании личности школьника. Отв.ред. А.В.Мудрик. М., 1983 г.

16. Мудрик А.В. О воспитании старшеклассников. М., 1981 г.

17. Мальковская Т.Н. Социальная активность старшеклассников. М., 1988 г.

18. Подготовка старшеклассников к жизни. Под ред. Р.Г.Гуровой. М., 1979 г.

19. Мудрик А.В. Общение как фактор воспитания школьников. М., 1984 г.

20. Коломинский Я.Л. Познай самого себя. (Психологические беседы со старшеклассниками). Минск, 1981 г.

21. Коломинский Я.Л. Психология взаимоотношений в малых группах (общение и возрастные особенности): Минск, 1976 г.

22. Коломинский Я.Л. Психология детского коллектива. Минск, 1984 г.

23. Березовин Н.А., Коломинский Я.Л. Учитель и детский коллектив. Минск, 1975 г.

24. Мальковская Т.Н. Учитель и ученик. М., 1977 г.

25. Кон И.С. Дружба. М., 1987 г.

26. Кон И.С. Психология юношеского возраста. М.,1979 г.Стр.III-120.

27. Кон И.С. Психология старшеклассника. М.,1980 г.Стр.104-113.

28. Кон И.С. Психология юношеской дружбы. М., 1973 г.

29. Кон И.С. Психология ранней юности. М., 1989 г. Стр.167-186. Стр.167-186.

30. Страхов И.В. О дружбе школьников. Саратов, 1964 г.

31. Страхов И.В. Психология дружбы школьников-подростков. Саратов, 1969 г.

32. Гозман Л.Я.,Алешина Н.И. Психология симпатии. М.,1988 г.

33. Гозман Л.Я. Психология эмоциональных отношений. М., 1987 г.

34. Кон И.С. Дружба. М., 1989 г.

35. Кон И.С., Лосенков В.А. Проблемы исследования юношеской дружбы. М. "Советская педагогика", 1974 г., № 10.

# თ ა ვ ი VI

## უფროსკლასელთა ფსიქოსექსუალური განვითარება და ოჯახური ცხოვრებისთვის მომზადება

სქესობრივ ცხოვრებაში იგულისხმება სომატური, ფსიქოლოგიური და სოციალური პროცესების ერთობლიობა, რომლის საფუძველია სექსუალური ლტოლვა, ლიბიდო. ადამიანურ საფეხურზე სქესობრივი ურთიერთობის ფორმების ჩამოყალიბებაში და განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების მორალურ შეხედულებათა სისტემა. ცხოველთა საფეხურზე ძირითადი და განმსაზღვრელია სქესობრივი ინსტინქტი. ადამიანურ საფეხურზე სქესობრივი ცხოვრების ცნებაში, როგორც აუცილებელი კომპონენტი, შედის სულიერი ურთიერთობები.

ადამიანური სექსუალობის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ სქესობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული განცდები ემანსიპირდება, გამოეყოფა მის პირველად ბიოლოგიურ მიზანს – შთამომავლობის გაგრძელებას, რაც საფუძვლად ედება ელემენტარული სქესობრივი ლტოლვის ადამიანურ სიყვარულის ამაღლებულ, ფაქიზ გრძნობად გადაქცევას.

სექსუალობის ფორმირების დინამიკა დეტერმინირებულია ასაკით. ადამიანის სპეციფიკურ სექსუალური გამოვლინებების მთელ დიაპაზონს ყოფენ ოთხ პერიოდად: პუბერტატი, გარდამავალი, მომწიფებული სექსუალობისა და ინვოლუციური პერიოდები. ყველა ეს პერიოდი ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით (18, 49-58):

1) პუბერტატში იღვიძებს სექსუალური ლიბიდო და იწყება პირველი ეაკულაცია (ხშირად ღამის პოლუციების დროს). ეს მოვლენა გვევლინება მასტურბაციის დაწყების მიზეზად;

2) გარდამავალი პერიოდი ხასიათდება მოუწესრიგებელი, შემთხვევითი სქესობრივი კავშირებით. ეს პერიოდი მამაკაცებისთვის

ქორწინების პერიოდია.

3) მომწიფებული სექსუალური ცხოვრების პერიოდი ხასიათდება სქესობრივი ცხოვრების ინდივიდუალური ნორმების დამყარებით, რომელიც განსაზღვრულია სქესობრივი კონსტიტუციით, შეხედულებასა და ღირებულებათა სისტემით და ცხოვრების პირობებით.

4) ინვოლუციური პერიოდი ხასიათდება სქესობრივი აქტივობის თანდათანობითი შესუსტებითა და სექსუალური სფეროსადმი ინტერესის დაქვეითებით.

სექსი ბიოლოგიური თვალსაზრისით არის გენეტიკურ, მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თვისებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმის სქესობრივ გამრავლებას. ადამიანის საფეხურისთვის ასეთი დეფინიცია არაა საკმარისი. ფართო მნიშვნელობით სექსი არის რეპროდუქციულ, ზოგადსომატურ, ქცევით და სოციალურ თვისებათა კომპლექსი, რომელიც განსაზღვრავს ინტერპერსონალურ ურთიერთობებს განსხვავებული სქესის წარმომადგენლებს შორის. სექსუალობაში კი იგულისხმება რეაქციების, განცდებისა და მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილებასთან. საერთო ასაკობრივი მონაცემები ასეთია:

1) 9–10 წელი. გოგონები – მენჯის ძვლების ზრდა. გვერდის გადიდება.

2) 10–11 წელი. ბიჭები – საკვერცხეებისა და სასქესო ასოს ზრდის დასაწყისი.

გოგონები – სარძევე ჯირკვლების ზრდის დასაწყისი, თმების ზრდა ბოქვენზე.

3) 11–12 წელი. ბიჭები – წინამდებარე ჯირკვლის სეკრეციის აქტიურობა. გოგონები – შინაგანი და გარეგანი გენიტალიების ზრდა, საშოს ეპითელიუმის ცვლილებები.

4) 12–13 წელი. ბიჭები – თმების ზრდა ბოქვენზე (დასაწყისში

ქალური ტიპით). გოგონები – მკერდის პიგმენტაცია. სარძევე ჯირკვლების გადიდება. მენსტრუაციის დაწყება.

5) 13-14 წელი. ბიჭები – საკვერცხეებისა და სასქესო ასოს სწრაფი ზრდა. გოგონები – თმების ზრდა იღლიებში.

6) 14-15 წელი. ბიჭები – თმების ზრდა იღლიებში; ღინღლი ზედა ტუჩზე, ხმის მუტაციის დასაწყისი. გოგონები – ნაადრევი ნორმალური ორსულობა.

7) 15-16 წელი. ბიჭები – მწიფე სპერმატოზოიდები. გოგონები – ხორკლი, უწრო დაბალი ხმა; მენსტრუაცია ღებულობს რეგულარულ ხასიათს; ჩონჩხის ზრდის შეჩერება.

8) 16-17 წელი. ბიჭები – სახის გათმოვანება; ბოქვენზე თმების ზრდის მამაკაცური ტიპი; ხორკლი.

9) 21 წელი. ბიჭები – ჩონჩხის ზრდის შეჩერება.

ადამიანის სქესობრივი ფუნქციის განვითარების და ინვოლუციის პერიოდები სქემატურად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ.

| № | პერიოდი | ასაკი | |
|---|---|---|---|
| | | მამაკაცები | ქალები |
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ბავშვობა (ასექსუალური) | 0-9 | 0-8 |
| 2 | წინარეპუბერტატული | 10-12 | 9-11 |
| 3 | პუბერტატული | | |
| | ა) პირველი | 13-16 | 12-14 |
| | ბ) მეორე | 17-22(25) | 15-17(20) |
| 4 | სქესობრივი სიმწიფე | 23(26)-51(55) | 18(21)-45(55) |
| 5 | ინვოლუცია | | |
| | ა) პირველი | 52(56)-65(70) | 46(56)-60 |
| | ბ) მეორე | 66(70)-90 | 61(65)-90 |
| | გ) მესამე | 90 | 90 |

როგორც ვხედავთ, სქესობრივი ფუნქციის განვითარებისა და ინვოლუციის პერიოდები. ერთმანეთს არ ემთხვევა:

1) ბავშვობა. ასექსუალური პერიოდი. ეს პერიოდი "უსქესო" პერიოდის სახელითაცაა ცნობილი, რადგანაც ბიჭებსა და გოგონებს სქესობრივი ჯირკვლების ჰორმონალური ფუნქცია ჯერ არ დაწყებიათ; ფსიქოლოგიურ პლანში ამ პერიოდის გოგონებისთვის და ბიჭებისათვის დამახასიათებელია ცნობისმოყვარეობა, სხვა ბავშვებთან ხალისიანი ურთიერთობები სქესობრივი დაყოფისა და განკერძოებულობის გარეშე.

2) წინარეპუბერტატულ პერიოდში აქტიურდება გონადოტროპული ჰორმონთა გამომუშავება. ბიჭებს უმუშავდებათ ტესტოსტერონი. ჰორმონალური სტიმულაციის საფუძველზე იზრდება სქესობრივი ასოს, კვერცხების და წინამდებარე ჯირკვლის ზომები. შესაბამისად იზრდება ძვალ-კუნთოვანი სისტემა. ამ ასაკის ბიჭები ცდილობენ გოგონებისგან განცალკევებას. მათ უჩნდებათ საკუთარი, მამაკაცური ინტერესები. გოგონებს ემატებათ ესტროგენების რაოდენობა, იზრდება მენჯი, მკერდი, იწყება პიგმენტაცია. ბოქვენზე ჩნდება ერთეული თმები, თანდათან იცვლება ხასიათი, ინტერესები და ჩვევები.

3) პირველი პუბერტატული პერიოდი ხასიათდება პირველადი და მეორადი სასქესო ნიშნების მეტწილი ფორმირებით. ბიჭებში ამ პროცესს თან ახლავს ხორხის გადიდება, ხმის მუტაცია, ბოქვენის გათმოვანება (დასაწყისში ქალური ტიპით), კუნთებისა და ჩონჩხის შესამჩნევი განვითარება. 15 წლის ასაკში იწყება თმების ზრდა იღლიებსა და ბოქვენზე (მამაკაცური ტიპით), ხოლო პერიოდის ბოლოს – სახის გათმოვანება. ყალიბდება სპერმატოზოიდები, იწყება ღამის პოლუციები, ფსიქიკური მოქმედებები ხასიათდება გაუწონასწორებლობით. აწეული ნერვიულობითა და სიჯიუტით. ამასთანავე იცვლება დამოკიდებულება გოგონების მიმართ, ვითარდება მათთან მეგობრობისა და მათ

მიმართ ყურადღების მიქცევის სურვილი. ამ ასაკში ბიჭებს შეუძლიათ სქესობრივი აქტის წარმოება.

გოგონების ორგანიზმში შეინიშნება იმ ჰორმონთა სტაბილური წარმოება, რომლებიც ხელს უწყობენ სქესობრივი ჯირკვლების სტიმულაციას. ამის გარდა გრძელდება სარძევე ჯირკვლების განვითარება, იზრდება თმები იღლიებსა და ბოქვენზე, ფართოვდება მენჯი, იწყება მენსტრუაცია. მენსტრუაციის დაწყების ნორმაა 10–16 წელი. პირველი მენსტრუაციის დაწყება ათ წლამდე და თექვსმეტი წლის შემდეგ პათოლოგიური მოვლენაა. ამ ასაკიდან გოგონა ბავშვობას ტოვებს, მის ორგანიზმს უკვე შეუძლია ორსულობა და შთამომავლობის მოცემა. პირველი მენსტრუაცია არის სქესობრივი სიმწიფის დასაწყისის მაჩვენებელი. იმის გარდა, რომ სქესობრივი ჰორმონები სომატოტროპინის (ზრდის ჰორმონის) ანტაგონისტური მოქმედებისაა, იწყება სხეულის ზრდის შენელება. ამასთანავე უფრო შესამჩნევად ვითარდება და აქტიურდება სარძევე ჯირკვლები.

იცვლება გოგონების ქცევაც, მაღლდება მოთხოვნები საკუთარი გარეგნობისადმი, მათ უჩნდებათ სურვილი გამოიყურებოდნენ სხვებზე უკეთ. გოგონები იწყებენ ბიჭებისადმი ინტერესის გამოვლენას. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მათთვის დამახასიათებელია ოცნებები, ხასიათის არამდგრადობა და ნერვიულობა. ეს პერიოდი არის ბიოლოგიური სქესობრივი მომწიფების პერიოდი. ორსულობის უნარი უკვე ჩამოყალიბებულია, მაგრამ ორგანიზმის ზრდა-განვითარება ჯერ არ დასრულებულა. ამ ასაკში სქესობრივი ცხოვრება უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმის ბევრი სისტემის განვითარებასა და ნებელობითი პროცესების ჩამოყალიბებაზე. ამ პერიოდში სქესობრივი აღზრდის პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

4) მეორე პუბერტატული პერიოდი ხასიათდება სქესობრივი სისტემის საბოლოო ფორმირებით. მთავრდება ძვალ-კუნთოვანი სისტემის

განვითარება. ახლა ახალგაზრდას უკვე შეუძლია პირადი პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტა. ბიჭები ავლენენ სქესობრივი სიახლოვის მზადყოფნას.

გოგონებს უყალიბდებათ მენსტრუაციული ციკლი, მთავრდება სარძევე ჯირკვლების განვითარება, ყალიბდება სხეულის სპეციფიკური პროპორციები. ორგანიზმი მომწიფებულია და მომზადებულია დედობისათვის. ეს პერიოდი არის ფიზიოლოგიური სქესობრივი მომწიფების ეტაპი. ამ ასაკში სქესობრივი თავშეკავება არაა საზიანო. ამასთანავე სქესობრივი თავშეკავება პიროვნების ნებელობით სფეროსაც ავითარებს. შემთხვევითი სქესობრივი კავშირები კი ძალზე უარყოფითად მოქმედებს ფსიქოემოციურ სფეროზე. ქორწინება იდეალურია მაშინ, როცა ბიჭები და გოგონები აღწევენ არა მარტო სქესობრივ, არამედ ფსიქოსოციალურ სიმწიფესაც, როცა მათ შეუძლიათ შვილების მატერიალური უზრუნველყოფა და აღზრდა.

5) <u>სქესობრივი სიმწიფის პერიოდში</u> ორგანიზმში რაიმე არსებითი ცვლილებები არ ხდება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ქალებსა და მამაკაცებს უვითარდებათ მტკიცე ხასიათი, ნებისყოფა. ისინი ფსიქოლოგიურად და სოციალურად უკვე მზად არიან ოჯახის შესაქმნელად.

შემდეგ მოდის სქესობრივი ფუნქციის დაქვეითების პერიოდი, რომელსაც თან ახლავს ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის შესუსტება, სქესობრივი აქტიურობის დაქვეითება.

გამოყოფენ ადამიანის სექსუალური რეაქციების ხუთ ეტაპს (37, 126–128):

1) <u>ინდივიდუალური სპორადული სექსუალური განცდები.</u> ვლინდება 2–3 დან 8–9 წლის ასაკამდე, ხასიათდება უმთავრესად ძილში სექსუალური აგზნების სპონტანური რეაქციებით, რომელიც შეიძლება გახშირდეს სქესობრივი ორგანოების ან თავის ტვინის ზოგიერთი ცენტრის დაავადების შედეგად. სქესობრივი ინტერესისა და ადრეული სექსუალური

აგზნების გამოვლენას ხელს უწყობს აგრეთვე ეროტიკული სექსუალური თამაშობები. ამასთან ერთად სექსუალურ ცნობისმოყვარეობას აღვიძებს აგრეთვე უფროსების ეროტიკული ქცევის სცენებზე დაკვირვებბით. სქესობრივი აგზნებულობის გაძლიერებამ მოზარდი შეიძლება მიიყვანოს ონანიზმამდე.

2) აუტოეროტიკული სექსუალური რეაქციები აღინიშნება 9-11 წლის ასაკში, ხასიათდება სექსუალური ინტერესის გამოვლენით და სქესობრივი მომწიფების პირველი ნიშნებით. სექსუალობა სტიმულირდება სქესობრივი პორმონებით. ასეთი ბიჭები ხშირად მიმართავენ ონანიზმს.

3) პლატონური პეტეროსექსუალური განცდები დამახასიათებელია ბიოლოგიური სქესობრივი მომწიფების პერიოდისათვის (12-14 წელი). ამ დროს სჭარბობს ეროტიკული ფანტაზიები. ნევროპათები მიმართავენ მასტურბაციას.

4) პეტეროსექსუალური ლტოლვები არის ფიზიოლოგიური სქესობრივი მომწიფების პერიოდი (15-დან 17 წლამდე). ესაა ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ლტოლვა პეტეროსექსუალური კონტაქტებისადმი და სქესობრივი სიყვარულის საწყის ( ემენტად წარმოადგენს სქესობრივი სიყვარულის დასაწყისს. მისთვის დამახასიათებელი განცდებითა და ქცევის თავისებურებებით. სასკოლო წლებში ფიზიოლოგიური პიპერსექსუალობის ფონზე ეროტიკულმა სტიმულაციებმა (პორნოგრაფიული ლიტერატურის კითხვა, ეროტიკული შინაარსის ვიდეო-ფილმების ნახვა, სექსუალური სცენების ჭვრეტა ) ჭაბუკი შეიძლება მიიყვანოს ნაადრევ სექსუალურ ცხოვრებამდე ან ონანიზმამდე.

5) პეტეროსექსუალური ლტოლვის რეალიზაცია ქორწინებაში მიმართულია სექსუალური სიახლოვის ნორმალური და მიღებული ფორმის ძიებისაკენ. ინტიმური ცხოვრების პარმონია ვლინდება მით უფრო ნათლად, რაც უფრო უკეთესად არიან მომზადებული პარტნიორები ამ მიმართ-

ლებით.

გარდამავალი ასაკის დასაწყისში, სქესობრივი მომწიფების პერიოდში ხდება განსაზღვრული სქესისადმი ფიზიკური და სქესობრივი მიკუთვნებულობის საბოლოო გაცნობიერება. მოზარდის თითქმის ყველა მოქმედება მისი სქესის სპეციფიკითაა განპირობებული. მას უმუშავდება შესაბამისი სქესობრივი ქცევა. ამ ასაკში, როგორც აღვნიშნეთ, მოზარდები იზრდებიან ძალიან ჩქარა, თითქმის აღწევენ საბოლოო სიმაღლეს. ამ ასაკის მოზარდები არიან გამხდრები და არაპროპორციულად განვითარებულნი. მხოლოდ უფროს სასკოლო ასაკში ლებულობს სხეული ქალურ და მამაკაცურ ფორმას. ინტენსიურად იზრდება ძვლები, ვითარდება მუსკულატურა. სქესობრივი სიმწიფისათვის დამახასიათებელია ხმის მუტაცია, ზედა ტუჩზე ღინღლი.

უფროსკლასელთათვის ტიპიურია სქესობრივი ჰორმონების გაზრდილი სეკრეცია, რაც მათი ჰიპერსექსუალობის საფუძველი ხდება. ჭაბუკური ჰიპერსექსუალობა ვლინდება ადრეულ სექსუალურ აგზნებულობაში, ხშირ და ხანგრძლივ ერექციაში, ეროტიკულ ფანტაზიებში, მასტურბაციაში და ა.შ. ჭაბუკურ სექსუალობაში არჩევენ რამდენიმე კომპონენტს:

ა) ქცევითი (მასტურბაცია, სექსუალური თამაშები...);

ბ) ემოციური (ეროტიკული ფანტაზიები და განცდები);

გ) კოგნიტურ-შეფასებითი – წარმოდგენები სექსუალობის ბუნების შესახებ და დამოკიდებულება მისი გამოვლენებისადმი.

თანამედროვე ჭაბუკები სქესობრივ ცხოვრებას გაცილებით ადრე იწყებენ, ვიდრე მათი თანატოლები ახლო წარსულში. ურბანიზაცია, აქსელერაცია, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, აღზრდის პრინციპების გართულება, ადრეული ჭაბუკების მშობლებისგან უფრო მეტი ავტონომია, სქესის საკითხებში განუზომლად დიდი ინფორმაცია, ჩასახვის საწინააღმდეგო ეფექტური საშუალებები ძალიან უწყობს ხელს

სქესობრივი ცხოვრების უფრო ადრე დაწყებას და სქესობრივი მორალის ლიბერალიზაციას.

უფროსკლასელთა პირველი სიყვარული, წერილების მიწოწერა, პაემნები, კოცნა, მოწიფულობის ნიშნები და სოციალური სიმწიფოებია. როგორც უფროსი მოზარდი მოუთმენლად ელოდება მეორადი სასქესო ნიშნების გამოჩენას, ასევე ადრეული ჭაბუკი - პირველი სიყვარულის დაწყებას. დაგვიანების ყველა შემთხვევა მწვავედ განიცდება.

უფროს სასკოლო ასაკში ძალიან სერიოზული და რთული პრობლემაა სექსუალური ორიენტაციის ფორმირება. ესაა ეროტიკულ ლტოლვათა სისტემა საწინააღმდეგო (ჰეტეროსექსუალობა), საკუთარი (ჰომოსექსუალობა) ან ორივე (ბისექსუალობა) სქესის მიმართ. ჰომოსექსუალიზმი, სამწუხაროდ, არაა იშვიათი მოვლენა და ადრეული ჭაბუკობა მისთვის სენზიტიური ასაკია. თანატოლებთან ჰომოსექსუალური კონტაქტები, თუ მათ თამაშის ფორმები აქვს და ფსიქოლოგიური ინტიმით არაა აღძრული, ადრე გაივლის. ჰომოსექსუალური ორიენტაციის პროცესი გაივლის სამ ეტაპს:

ა) საკუთარი სქესის მიმართ ეროტიკული ინტერესის პირველი გაცნობიერება და საკუთარ ჰომოსექსუალობაში ეჭვის შეტანა;

ბ) საკუთარ ჰომოსექსუალობაში ეჭვის შეტანიდან პირველ ჰომოსექსუალურ კონტაქტამდე;

გ) პირველი ჰომოსექსუალური კონტაქტიდან საკუთარ ჰომოსექსუალობაში საბოლოო დარწმუნებამდე, რომელიც შემდგომში საფუძვლად ედება ცხოვრების შესაბამის სტილს. ეს პროცესი გოგონებში და ბიჭებში განსხვავებულად მიმდინარეობს. ბიჭებში ეროტიკული გრძნობები, ჰომოსექსუალური ეჭვები უფრო ადრე იღვიძებს. შესაბამისად, ჰომოსექსუალურ ცხოვრებას ისინი გოგონებზე ადრე იწყებენ. გოგონებთან სექსუალური ორიენტაცია უფრო გვიან ფორმირდება და ჰომოსექსუალურ კონტაქტებს ხშირად წინ უსწრებს ჰეტეროსექსუალური კონტაქ-

ჩების.

ჰომოსექსუალური მიდრეკილების ჭაბუკი ანალიზის საშუალებით აღმოაჩენს, რომ იგი სხვებს არ ჰგავს, სხვებისაგან განსხვავებულია. ეს მდგომარეობა მასში იწვევს შინაგან კონფლიქტს, შიშისა და მარტოობის გრძნობას, რაც ხელს უშლის გარემომცველებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. ამას ემატება თანატოლთა დაცინვები და აბუჩად აგდება. ასეთი ჭაბუკის ფსიქოლოგიური თვითგრძნობა ძალზე მწვავეა.

ჭაბუკური სექსუალობა მჭიდროდაა დაკავშირებული პიროვნების კომუნიკაბელურ თვისებებთან და სოციალური წრის საერთო კულტურასთან. ჭაბუკებისა და ქალიშვილების ურთიერთობას წინ აღუდგება მრავალრიცხოვანი მორალური დაბრკოლება და წინააღმდეგობა. თანამედროვე რიტუალები ბადებს ნორმატულ აუცილებლობებს.

საინტერესოა ქ. და ს. ხენდრიკების მიერ მოცემული სიყვარულის ექვსი სახე (5,231):

1) ეროსი – ვნებიანი სიყვარული, რომლის მიზანია სრული ფიზიკური დაუფლება.
2) ლიუდუსი – ჰედონური თამაში – სიყვარული, რომელიც არ გამოირჩევა ღრმა გრძნობებით, ადვილად დაიშვება ღალატი.
3) სტორგე – მშვიდი, თბილი და ფაქიზი სიყვარული – მეგობრობა.
4) პრაგმა – ანგარებიანი, ანგარიშიანი სიყვარული, რომელიც შეიცავს ლიუდუსსაც და სტორგესაც. შესაძლებელია ანგარებიანი სიყვარულის ცნობიერი კონტროლი.
5) მანია – ირაციონალური სიყვარული, რომლისთვისაც ტიპიურია ლტოლვის ობიექტისადმი გაუწონასწორებელი დამოკიდებულება.
6) აგაპე – უანგარო სიყვარული. ესაა ეროსისა და სტორგეს სინთეზი.

უფროსი სასკოლო ასაკი ჰიპერსექსუალობის ასაკია. ამ ასაკის უკიდურესი სექსუალობა გამოწვეულია დიდი რაოდენობით სქესობრივი ჰორმონების გამოყოფასთან, რის გამოც ბევრი მოვლენა ჭაბუკის მიერ ფასდება სექსუალობის თავისებური კრიზისად. ეს მდგომარეობა განსაზღვრულ ფსიქიკურ დაძაბულობას იწვევს. სექსოლოგები და ფსიქოლოგები თვლიან, რომ ამ დაძაბულობისგან განმუხტვა მასტურბაციის გზით ხდება.

მასტურბაცია (ონანიზმი) ადრეული ჭაბუკობის ასაკში მასიური მოვლენაა ბიჭებისათვის. 15–16 წლის ბიჭების 80–90 პროცენტი ონანიზმს ეწევა. გოგონები მასტურბაციას ბიჭებზე გვიან იწყებენ და უფრო იშვიათად მიმართავენ მას. პედაგოგთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მასტურბაცია არის მრავალი ფსიქო-ფიზიკური აშლილობისა და იმპოტენციის მიზეზი, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. იგი ნორმალური ფიზიოლოგიური მოვლენაა და სქესობრივი დაძაბულობის განმუხტვის საშუალებას წარმოადგენს. მასტურბაცია ხელს უწყობს სქესობრივი ცხოვრების თვითრეგულაციას, ანელებს აწეულ სქესობრივ აგზნებულობას და არის უწყინარი. უფროს სასკოლო ასაკში მასტურბაციას ფიზიოლოგიურთან ერთად ფსიქოლოგიური მხარეც აქვს. მასტურბაციას ხშირად ახლავს ნათელი ეროტიკული ფანტაზიები. სქესობრივი ცხოვრების თითოეული პერიოდისთვის დამახასიათებელია განსაზღვრული სექსოლოგიური ფენომენები, რომლებიც სპეციფიკურია მოცემული პერიოდისათვის. ასეთი გამოვლენებებია: პუბერტეტში და ადრეულ ჭაბუკობაში – პოლუცია და მასტურბაცია, გარდამავალში – ექსცესები, მომწიფებული სექსუალობის პერიოდში – პირობით – ფიზიოლოგიური რიტმი და ინვოლუციურში – აბსისტენცია. სქესობრივი სიმწიფე, საერთო ფიზიოლოგიური სიმწიფე და ქორწინების სიმწიფე ადამიანის ცხოვრების სამი სერიოზული ეტაპია. დღევანდელ პირობებში იზრდება განსხვავება სქესობრივ და სოციალურ სიმწიფეს შორის. მოზარდებს და ჭაბუკებს აქვთ გაზრდილი

სქესობრივი ლტოლვა, ხოლო ქორწინება ჯერ შორსაა. ეს მდგომარეობა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მრავალი პრობლემის წინაშე აყენებს. მოჭარბებული სქესობრივი ენერგია უნდა განიმუხტოს. ამ ასაკის მასტურბაცია არის ჭაბუკის ჰიპერსექსუალობის გამოვლენა. იგი არის ბიოსოციალური დისჰარმონიის გამოვლენა, როცა საზოგადოების სოციალური განვითარება ახანგრძლივებს ქორწინების ასაკს. მასტურბაცია არის სუროგატული საშუალება, რომელიც ხსნის მოზარდისა და ჭაბუკის დაძაბულობას და ბიოლოგიურ დისკომფორტს.

უფროს სასკოლო ასაკში ჩნდება სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილების მოთხოვნილება. სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილების სამი ფორმა არსებობს. ესაა ონანიზმი, პეტინგი და სქესობრივი ურთიერთობა. ასაკის, კულტურის დონისა და ცხოვრების პირობების გავლენით ადამიანი მიმართავს სქესობრივი ცხოვრების რომელიმე ფორმას. როგორც აღვნიშნეთ, მკვეთრად გამოხატული აწეული სექსუალობა მოდის უფროს სასკოლო ასაკზე. ამის ერთ-ერთი მიზეზია სქესობრივი მოთხოვნილების სრულყოფილი და რეგულარული დაკმაყოფილების შეუძლებლობა. ამის გამო ჭაბუკებში სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა ონანიზმი.

პირველ ხანებში ონანიზმი არის ეროტიზირებული მოგონებების შედეგი (ვიდეო-ფილმის ეპიზოდები, სქესობრივი ცხოვრების მოგონებებისა და დეტალების აღწერა, პორნოგრაფიული სურათები...). შემდგომში კი ონანიზმის აქტები იტერება ფსიქოლოგიური კომპონენტებით, წინა პლანზე გამოდის სექსუალური ფანტაზიები. კ. იმელინსკის მონაცემებით (22,15) ონანიზმს ეწევა პოლწელი ბიჭების 93,6%, ხოლო გოგონების 44,8%.

ონანიზმის აქტებს თან ახლავს ჭაბუკის წარმოდგენები იმ სექსუალურ პარტნიორზე, რომელიც მას მოსწონს, მაგრამ მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება რეალურად შეუძლებელია.

უფროს სასკოლო ასაკში მასტურბაციასთან ერთად გავრცელებულია სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მეორე ფორმაც - პეტინგი. იგი გამოიხატება ბიჭებისა და გოგონების სასიყვარულო თამაშებით, ახლო ურთიერთობებით მაქსიმალური აგზნებისა და ორგაზმის გამოწვევაში სქესობრივი აქტის გარეშე. გარდამავალ ასაკში პეტინგი იშვიათი მოვლენაა. იგი ადრეული ჭაბუკობის ასაკშია ძალიან გავრცელებული. გარდამავალ ასაკში სასიყვარულო თამაშები და სასქესო ორგანოების ურთიერთგაღიზიანება ორგაზმით არ მთავრდება. უმეტეს შემთხვევაში ასეთი კონტაქტები მასტურბაციით სრულდება.

სექსუალური ქცევა და თვით სექსუალური ლტოლვა დამოკიდებულია ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და კულტურულ ფაქტორებზე. სექსუალური ქცევის ფორმებზე, როგორც აღვნიშნეთ, გავლენას ახდენს ადამიანის მთელი პიროვნება, მისი განვითარების დონე, თვითცნობიერების მიღწეული საფეხური, მენტალური სქემები, რომლებიც განსაზღვრავენ გარესამყაროში ორიენტაციას, შემაკავებელ და მაკონტროლებელ მექანიზმთა სისტემას.

ადამიანის სექსუალობის ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია პიროვნული ფაქტორი. პიროვნება ვითარდება კონკრეტული სოციალური აქტივობის სიტუაციაში და ექვემდებარება საზოგადოებრივ დეტერმინანტებს. ყოველგვარი ადამიანური, მათ შორის სექსუალური ქცევა დამოკიდებულია პიროვნების განვითარების დონეზე. სექსუალური ქცევის ფორმები სასქესო ორგანოების იზოლირებული ფუნქცია კი არ არის, არამედ მთლიანი პიროვნების მოქმედებაა. სექსუალური ქცევა მჭიდროდაა დაკავშირებული ხასიათის და ტემპერამენტის თვისებებთან, შემეცნებით უნარებთან, ნებელობასთან და პარტნიორულ თვისებათა მთელ კომპლექსთან.

ჰ. აიზენკის მიხედვით პიროვნული თავისებურებანი მრავალფეროვანია და პიროვნებები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სექსუალური ქცევის სფეროში. მისი აზრით ექსტრავერტები ხასიათდებიან იმ-

კულტურობით, კარგი ურთიერთობებით, აქტივობით, სასიამოვნო განწყობილებებითა და გაწონასწორებულობით. მათ ყოველთვის საწინააღმდეგო სქესის ბევრი მეგობარი ჰყავთ. ისინი სქესობრივ ცხოვრებას ადრე იწყებენ.

ნევროტული ტიპები ხასიათდებიან ნათელი, მაგრამ ლაბილური ემოციურობით, აწუხებთ უძილობა, ნერვები, ადვილად ღიზიანდებიან და აქვთ უკმარობის კომპლექსი, მრავალი სექსუალური პრობლემა, რომელიც მათ აშინებთ. ასეთ ტიპებს ძალიან უჭირთ კონტაქტების დამყარება საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან. მათ ხშირად აღენიშნებათ სექსუალური დისფუნქცია (ქალებს არ აქვთ ორგაზმი და მამაკაცებს – ერექცია).

ფსიქოტური ტიპები ხშირად იზოლირებულნი და გარიყულნი არიან, კონფლიქტური, ველური და ინდიფერენტული დამოკიდებულება აქვთ გარემომყოფებთან. ეს პიროვნებები უარს ამბობენ ქორწინებაზე, უარყოფითად აფასებენ რომანტიკულ ორიენტაციებს (12,120–121).

საუკუნეების განმავლობაში თვლიდნენ, რომ ბავშვის სქესობრივი აღზრდა და ცოლ-ქმრული ცხოვრებისათვის წინასწარი მომზადება არაა აუცილებელი. მეუღლეობა ადამიანთა სოციალური ქცევის განსაკუთრებული და სპეციფიკური ფორმაა. ქორწინება არის საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც არეგულირებს სქესთა შორის რთულსა და ფაქიზ ურთიერთობებს. იგი ჩამოყალიბდა არა სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ, როგორც შთამომავლობის კვლავწარმოებისა და აღზრდის მორალი. ოჯახისა და ქორწინების სტრუქტურა იქმნება საზოგადოებაში მიღებული საზოგადოებრივი ურთიერთობების და არა პარტნიორთა ეროტიკული მოთხოვნილების დაკმაყოფილების ბაზაზე. სიყვარულზე დამყარებული ქორწინება არის ჰარმონიული სქესობრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი წანამძღვარი.

ახალგაზრდობის ქორწინებისთვის მომზადება არაა მხოლოდ იზოლირებული პედაგოგიური ღონისძიება. სქესობრივი ურთიერთობისათვის ჭაბუკების სწორი მომზადება, რომელიც დამყარებულია მაღალ მორალურ მოთხოვნებზე, ქნნის ბედნიერი ოჯახის შექმნის წანამძღვრებს. სქესობრივი აღზრდის პროცესში უნდა ჩაირთოს სექსუალობა და ეროტიკა, ე.ი. ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილებების ერთობლიობა. ჭაბუკებს აუცილებლად უნდა ვასწავლოთ ინტიმურ ურთიერთობათა ღირებულების გაგება. ეს ცოდნა არაფრით განსხვავდება ცოდნის სხვა ფორმებისაგან.

ადრეული ჭაბუკობის ასაკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ქორწინებისთვის მომზადება, რასაც პროფესიულ მომზადებაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს. უფროსკლასელებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ სქესის ბიოლოგია და ფსიქოლოგია, ნორმალური სექსუალობის ძირითადი გამოვლინებანი ქალებთან და მამაკაცებთან, ისინი უნდა იცნობდნენ აგრეთვე სექსოპათოლოგიურ პრობლემებსაც. უფროსკლასელებმა უნდა იცოდნენ აგრეთვე ორსულობის, მშობიარობის, აბორტის მავნებლობის, ვენერულ დაავადებათა საკითხებიც. სამწუხაროდ, უფროსკლასელები სექსუალობის შესახებ ინფორმაციას ძირითადად იღებენ ქუჩიდან და ვიდეოფილმებიდან და არა სპეციალისტებისგან.

სქესობრივი ურთიერთობის კულტურა ყალიბდება ადამიანის სქესობრივი აღზრდის გზითა და საშუალებით. აღნიშნული მჭიდრო კავშირშია პიროვნების საერთო აღზრდილობასთან. ახალგაზრდა თაობის სქესობრივი აღზრდა წარმოუდგენელია სქესობრივი ცხოვრების შესახებ გარკვეული ინფორმაციის გარეშე.

სქესობრივი აღზრდის შინაარსი არის ქალისა და მამაკაცის მთლიანი პიროვნების აღზრდა, რომელსაც უნარი აქვს ადექვატურად შეაფასოს და გაიცნოს საკუთარი ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებანი და ამის საფუძველზე საკუთარ და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან შეძლოს ოპტიმალური ურთიერთობის დამყარება ცხოვრების ყველა

სფეროში. პედაგოგთა, აღმზრდელთა, ფსიქოლოგთა და სექსოლოგთა მთელი ძალისხმევა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ახალგაზრდა თაობას სექსისა და სექსუალობის მიმართ გამოუმუშავდეს ზნეობრივი დამოკიდებულებანი. სქესობრივი აღზრდის შინაარსი მოიცავს ბიოგალ-სოციალურ, ეთიკურ, . სამართლებრივ, ფსიქოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, ჰიგიენურ, პედაგოგიურ, ესთეტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს. სქესთან დაკავშირებულ პრობლემებს მეცნიერულად სწავლობს სექსოლოგია.

სქესობრივი აღზრდა შეიძლება განვიხილოთ გამოყენებითი სექსოლოგიის ასპექტითაც.

სქესობრივი აღზრდის მიზანია მოსწავლეებს ჩამოუყალიბოთ სქესთა ურთიერთობების სფეროში ზნეობრივი ნორმების გაგების ჭეშმარიტი არსი.

სქესობრივი აღზრდის პროცესში უმცროს მოზარდებთან (IV-VI კლასები) უნდა გავითვალისწინოთ ამ ასაკის მოსწავლეთა ცენტრალური და ვეგეტატური ნერვული სისტემის არასტაბილურობა და სუსტი სიმტკიცე. აღნიშნული აქტივობის მომენტებთან ერთად უმცროსი მოზარდები ხშირად ვარდებიან სასოწარკვეთაშიც. ისინი ხშირად ავლენენ ნეგატივიზმს, უფროსებთან კონფლიქტებს, აღენიშნებათ არამოტივირებული ქცევებიც. ამ ასაკში სქესობრივ აღზრდას ართულებს ის გარემოება, რომ სქესობრივი მომწიფება გოგონებში იწყება ბიჭებზე ადრე, რაც ბიჭებსა და გოგონებს შორის ურთიერთობის განკერძოების საფუძველს ქმნის. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სქესობრივი მომწიფება თითოეულ მოზარდში თანაბარი ტემპებით არ მიმდინარეობს.

ამ ასაკში სქესობრივი აღზრდის ძირითადი შინაარსი ბიჭებსა და გოგონებს შორის ნეგატივიზმის დაძლევა და მათში ურთიერთპატივისცემის აღზრდაა.

უფროს მოზარდებთან (VII-VIII კლასები) სქესობრივი აღზრდის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ამ ასაკში ყალიბდება

ქცევის მტკიცე მოტივები. მათ სისხლში უკვე მუდმივად ცირკულირე-ბენ სქესობრივი ჰორმონები, რის გამოც იზრდება ურთიერთინტერესი ბიჭებსა და გოგონებს შორის. ახლა მათთვის ყოველგვარი სექსუალუ-რი ინფორმაცია დიდ ღირებულებას იძენს. ამასთანავე, ამ ასაკში მოზარდთა მოქმედებისა და ურთიერთობების სფერო სკოლის ფარგლებს სცილდება და ფართოვდება, იქმნება მოზარდთა ქუჩის კომპანიებში ჩათრევის რეალური საშიშროება.

IX-X კლასელ გოგონათა სქესობრივი აღზრდის დროს უნდა გავი-თვალისწინოთ ის, რომ ამ ასაკში მათი პიროვნება საბოლოოდ ყალიბ-დება, მკვიდრდება ცხოვრებისეული პოზიციები. გოგონები სახავენ ცხოვრებისეულ გეგმებს. ამ ასაკის გოგონათა სქესობრივი აღზრდის უმთავრესი და ძირითადი შინაარსია ახალი სოციალური პირობების მი-მართ ადაპტაციის გამომუშავება და საწინააღმდეგო სქესის წარმომად-გენლებთან შესაბამისი ქცევის ფორმების ჩამოყალიბება.

უფროს სასკოლო ასაკში ბიჭები და გოგონები უკვე მზად არიან სქესობრივი ცხოვრების დაწყებისათვის. თუმცა მათი ორგანიზმის ბიო-ლოგიური სრულყოფა ჯერ არ დამთავრებულა, მათი ორგანიზმი ჯერ კი-დევ იზრდება. სქესობრივი მომწიფების პერიოდის დადგომა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ უფროსკლასელები ნორმალური სქესობრივი ცხოვ-რებისთვის მთლიანად არიან მომწიფებულნი. გოგონებში სქესობრივი გრძნობის პირველ გამოვლინებებს არ აქვთ ისეთი სიმწვავე, როგორც ბიჭებში. ნაადრევი სქესობრივი ცხოვრებისაგან თავშეკავების უნარი გოგონებს გაცილებით ძლიერი აქვთ, ვიდრე ბიჭებს. სქესობრივი მგრძნობელობა გოგონებს უფრო გვიან უვითარდებათ, ხოლო სასიყვა-რულო ემოციები – ბიჭებზე ადრე.

ჭაბუკური სიყვარული, სამწუხაროდ, ხანდახან "წარმავალია". იგი არის სპეციფიკური გრძნობის გამოხატულება და ვნების ნათელი გაელვება, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე არ ავიწყდებათ, მაგრამ

ეს გრძნობა, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ხდება წყარი და ბედნიერი ოჯახის შექმნის საფუძველი. სიყვარულის გამოვლენა ბიჭებში და გოგონებში განსხვავებულია. რაც უნდა ვნებით იყოს ჭაბუკი შეპყრობილი, იგი გოგონებისაგან განსხვავებით ემოციების გავლენის ქვეშ მთლიანად არ ექცევა.

სქესობრივი ცხოვრების ნაადრევი დაწყება ფიზიკური, სულიერი და სოციალური სიმწიფის მიღწევამდე, არაა სასურველი, ამან შეიძლება ორგანიზმზე არასასურველი გავლენა მოახდინოს. არსებობს ვენერიული დაავადების რეალური საშიშროებაც. ამასთანავე, ნაადრევი ორსულობა გაუმაგრებელ ორგანიზმს ზიანს აყენებს.

ოჯახური ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ ჰარმონიასა და ფსიქოლოგიურ შეთავსებადობას. ხანგრძლივი თანაცხოვრება მეუღლეების წინაშე ბევრ რთულ პრობლემას აყენებს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია ტემპერამენტი. ნერვული სისტემის განსაზღვრულ ტიპს უნდა შეესაბამებოდეს სქესობრივი ტემპერამენტისა და კონსტიტუციის განსაზღვრული ტიპები, მაგრამ ეს ყოველთვის არ ხდება. ტემპერამენტი სპეციფიკურ დაღს ასვამს მეუღლეთა ქცევაზე ოჯახში.

სანგვინიკთა ოჯახში ცხოვრება მშვიდი და მხიარულია. სანგვინიკი საოჯახო მეურნეობის გაძღოლაში აქტიურად მონაწილეობს. იგი ენერგიული და შრომისმოყვარეა. საზოგადოებაში მშვიდია და ადამიანებთან ადვილად ამყარებს ურთიერთობებს, წვრილმანებს ყურადღებას არ აქცევს. უყვარს იუმორი. სანგვინიკი არ აიდეალებს წარსულს და ბევრს არ ფიქრობს მომავალზე. იგი ძირითადად, აწმყოს ცხოვრებით ცხოვრობს, ოჯახური კონფლიქტების დროს თავი ფრთხილად და მშვიდად უჭირავს, ცდილობს არ აწყენინოს პარტნიორს. ის გარემომცველ ცვალებად გარემოებებს ადვილად ეგუება.

მელანქოლიკი ავადმყოფურად მგრძნობიარეა. მას ადვილად სწყინს, ეჩვენება, რომ უნდათ მისი წყენა და დამცირება. ცხოვრებისეულ გართულებასა და უსიამოვნებებს იგი აღიქვამს როგორც ტრაგედიას, უყვარს წარსულის გახსენება, რომელიც მას აწმყოზე უკეთესად ეჩვენება, მომავალზე შიშითა და მღელვარებით ფიქრობს, ხშირად წუწუნებს ცხოვრებაზე, სამსახურში წარუმატებლობასა და ავადმყოფობაზე. მეუღლესთან ნებისმიერ წალაპარაკებას დიდხანს მწვავედ განიცდის.

ფლეგმატიკი აუღელვებელია რთულ სიტუაციებშიც კი. იგი ყველაფერს შეუმჩნევლად განიცდის, გარეგნულად არაფერი ეტყობა. იგი კონსერვატორია, ჩვევებს იშვიათად იცვლის, ნაცნობი და მეგობარი ბევრი არ ყავს, უძნელდება ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება. იგი ერთგული, შრომისმოყვარე და მიზანსწრაფულია. ოჯახური წალაპარაკების დროს აუღელვებელია.

ქოლერიკი – აქტიური და მიზანმიმართულია. მაგრამ ეს თვისებები მასში არაა მტკიცე და მყარი. იგი ხშირად თავშეუკავებელი და მოუთმენელია, საკუთარ თავს სუსტად ფლობს. ის განწყობილებებს ხშირად იცვლის, ძნელია მისი მოქმედების წინასწარ განჭვრეტა, შეუძლია უხეშობა, სხვისი წყენა, მაგრამ ყველაფერი მალე გაუვლის, საკუთარ თავშეუკავებლობას ღრმად განიცდის, ითხოვს პატიებას. მის ოჯახში ხშირია კამათი და ჩხუბი.

ოჯახის შექმნისას ტემპერამენტებში განსხვავება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. დიამეტრიულად განსხვავებული ტემპერამენტის მქონე მეუღლეები მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან. მაგრამ არის კიდევ ერთი საშიშროება. ესაა სქესობრივი კონსტიტუცია. სქესობრივი კონსტიტუცია არის ორგანიზმის მტკიცე ბიოლოგიური თვისებათა ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება თანშობილი და შეძენილი ფაქტორების გავლენით. იგი საზღვრავს ადამიანის სქესობრივი ცხოვ-

რების შესაძლებლობას. როცა ქორწინდებიან განსხვავებული სქესობრივი კონსტიტუციის პარტნიორები, ოჯახის დანგრევის და გაყრის რეალური საშიშროებაა მოსალოდნელი. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ სქესობრივი კონსტიტუცია განსაზღვრავს ადამიანის მხოლოდ სქესობრივ შესაძლებლობებს და არა მის ფიზიკურ ჯანმრთელობას.

ოჯახის შექმნისათვის მეუღლეთა ასაკი განისაზღვრება არა იმდენად ფიზიოლოგიური მომწიფებით, რამდენადაც ფსიქოლოგიური სიმწიფით და სოციალური მზაობით. ქალების და მამაკაცების ზრდის, განვითარებისა და მოხუცებულობის პერიოდები და ტემპები ერთმანეთს არ ემთხვევა. სქესობრივი ფუნქციის საბოლოო ჩამოყალიბება ქალებთან 1-3 წლით ადრე ხდება მამაკაცებთან შედარებით. ამიტომ მექორწინეთა ასაკობრივი განსხვავებულობის დადგენის დროს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ბიოლოგიური და სოციალური ასპექტები. სექსოლოგ ი. იუნდას მიერ შემოთავაზებული მექორწინეთა სენზიტიური ასაკები ასეთია:

| ქალი | კაცი | ქალი | კაცი | ქალი | კაცი |
|---|---|---|---|---|---|
| 18 | 22-25 | 29 | 33-36 | 41 | 47-51 |
| 19 | 23-26 | 30 | 34-37 | 42 | 48-52 |
| 20 | 24-27 | 31 | 37-41 | 43 | 49-53 |
| 21 | 25-29 | 32 | 38-41 | 44 | 50-54 |
| 22 | 26-28 | 33 | 39-43 | 45 | 51-55 |
| 23 | 27-30 | 34 | 40-44 | 46 | 52-57 |
| 24 | 28-31 | 35 | 41-45 | 47 | 53-59 |
| 25 | 29-32 | 37 | 43-47 | 49 | 55-63 |
| 26 | 30-33 | 38 | 44-48 | 50 | 56-65 |
| 27 | 31-34 | 39 | 45-49 | | |
| 28 | 32-35 | 40 | 45-50 | | |

მეუღლეებს შორის ფსიქოლოგიურ შეუთავსებლობას მივყავართ სიყვარულის შესუსტებამდე და საბოლოო ანგარიშით განქორწინებამდე. ოჯახური მიკროკლიმატის დარღვევის დროს მეუღლეები თავს განკერძოებულად გრძნობენ და ცდილობენ ოჯახური ფსიქოლოგიური დისკომფორტის კომპენსაციას ოჯახის გარეთ, სხვა პარტნიორებთან. მეუღლეების ფსიქოლოგიური შეუთავსებლობა იწვევს მათ შორის სქესობრივი ურთიერთობის დარღვევასაც. სქესობრივი ცხოვრების დარღვევა გამოიხატება იმპოტენციაში (მამაკაცებთან) და ფრიგიდულობაში (ქალებთან).

მამაკაცთა იმპოტენცია ამ შემთხვევაში შეფარდებითია. მეუღლეებს შორის ფსიქოლოგიური შეუთავსებლობა იწვევს უარყოფით განცდებს, რომელიც ამუხრუჭებს მამაკაცის სქესობრივ აქტივობას, ლიბიდოს, ერექციას. საბოლოო ანგარიშით მამაკაცი კარგავს სქესობრივი აქტის განხორციელების უნარს. მეუღლის მიმართ სქესობრივი ლტოლვის დაკარგვა არ ნიშნავს სქესობრივი ლტოლვის დაკარგვას საერთოდ ქალის მიმართ, რის გამოც გარეშე სქესობრივი აქტების შესაძლებლობა შენარჩუნებულია.

სქესობრივი ცხოვრების ქალური პათოლოგია, რომელიც აღმოცენდება უარყოფითი ფსიქოლოგიური განცდების გამო, გამოიხატება სქესობრივ სიცივეში (ფრიგიდულობა). სქესობრივი ლტოლვის დაქვეითება ქალებშიც არსებობს. ასეთ შემთხვევებში სქესობრივი აქტის ჩატარების შესაძლებლობა არის, მაგრამ ორგაზმი არ მიიღწევა.

პირველი სქესობრივი ურთიერთობა ადამიანის ცხოვრებაში სერიოზული მოვლენაა. იგი ავსებს იმ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ უფსკრულს, რომელიც მანამდე ორი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს შორის არსებობდა. ქალი თანდათანობით და ნელა შედის სქესობრივ ცხოვრებაში და იშვიათ შემთხვევაში შეიგრძნობს მას პირველი სქესობრივი აქტის დროს. ქალებში ორგაზმი ქორწინებიდან 2-3 წლის შემდეგ ყალიბდება. არაა გამორიცხული, რომ იგი საერთოდ არ ჩამოყალიბდეს.

არსებობენ ქალები, რომლებიც ფრიგიდულნი არიან, ყავთ შვილებიც, მაგრამ მათთვის სქესობრივ ცხოვრებას არავითარი სიამოვნება არ მოაქვს, პირიქით, ზიზღსაც იწვევს. ასეთი ქალებისთვის სქესობრივი ცხოვრება მოსაწყენი მოვალეობაა.

დაბოლოს რამდენიმე სიტყვა შიდსის შესახებ. შიდსი არის შეძენილი იმუნო-დეფიციტის სინდრომი. ყველა ქვეყანაში, სამწუხაროდ, შიდსით დაავადებულთა რიცხვი იზრდება. შიდსით ავადდებიან ცნობილი მეცნიერები, მოდელები, სპორტსმენები და ა. შ. შიდსით დაავადებულები ჯერ-ჯერობით სასიკვდილოდ არიან განწირულები. შიდსის ვირუსი აზიანებს დაცვის ბუნებრივ ფაქტორს – იმუნურ სისტემას, რის გამოც ასეთი ავადმყოფი დაუცველია ყოველგვარი ინფექციისაგან.

შიდსის ვირუსი მაღალმგრძნობიარეა ტემპერატურის მიმართ. 56° ტემპერატურაზე ნახევარი საათის განმავლობაში მისი ინფექციური აქტივობა მკვეთრად ეცემა. ვირუსი აქტივობას კარგავს აგრეთვე დეზინფექტანტების ზემოქმედებით, როგორიცაა წყალბადის ჟანგი, აცეტონი, ეთერი. მაგრამ თავის ცხოველმყოფელობას იგი ინარჩუნებს დონორის სისხლში. ამით აიხსნება შიდსის გადადების შემთხვევები სისხლის გადასხმის ან შპრიცის ხელმეორედ ხმარებისას. შიდსის გადადების მეორე გზა არის სქესობრივი (როგორც ჰეტეროსექსუალური, ასევე ჰომოსექსუალური). შიდსს ძირითადად იწვევს მოუწესრიგებელი და გაუკულტურებელი სქესობრივი ცხოვრება, პროსტიტუცია და ნარკომანია. შიდსის ვირუსი არ გადადის ხელის ჩამორთმევით, კბილის ჯაგრისით, აუზებში ან აბაზანაში ბანაობის გზით, საერთო ჭურჭლის და უსაფრთხო საპარსის ხმარებისას. იგი არ გადააქვს კოღოებსაც.

დაავადების ინკუბაციური პერიოდი მერყეობს 3–4 კვირიდან 5 წლამდე. შიდსის ტიპიური გამოვლენაა ხანგრძლივი სიცხე, ციებ – ცხელება, სხეულის წონის მკვეთრი დაკარგვა, ლიმფური კვანძების ზრდა, ფაღარათი, დაღლილობის მუდმივი გრძნობა, ღამის ოფლია-

ნობა. ბევრ დაავადებულს აღენიშნება სარკომა, ავთვისებიანი წარმონაქმნები, სხვადასხვა ინფექციები. შიდსის ვირუსი ხშირად აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში შიდსი შეიძლება არც გამოვლინდეს და დაავადება ვერ შევამჩნიოთ. ავადმყოფი ამ შემთხვევაში არის ვირუსმატარებელი. ეს კატეგორია მეტად საშიშია. მათ არაფერი იციან თავიანთი საშინელი ავადმყოფობის შესახებ და სხვებს ასნებოვნებენ.

დღესდღეობით შიდსთან ბრძოლის რაიმე ეფექტური საშუალება, სამწუხაროდ, არ არსებობს. არის მრავალი აღმოჩენა, მაგრამ საქმეს რეალურად ვერ შველიან. მეცნიერთა ვარაუდით რაიმე ეფექტური სამკურნალო საშუალება 2000 წლამდე არაა მოსალოდნელი. ჯერ-ჯერობით შიდსით დაავადებულები იღუპებიან. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი არის პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება. შიდსთან ბრძოლა არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ სოციალური და ეთიკური პრობლემაცაა. განსაკუთრებული როლი ენიჭება მოზარდი თაობის სქესობრივ აღზრდას, სქესობრივი ცხოვრების მოწესრიგებას, ცოლ-ქმრულ ერთგულებას, პროსტიტუციასთან და ნარკომანიასთან ბრძოლას და ა.შ.

სექსოლოგიურ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი

1. აბსისტენცია – სექსუალური თავშეკავება
2. აზოოსპერმია – თესლში ცოცხალი სპერმატოზოიდების არარსებობა
3. ამენორეა – მენსტრუაციის არარსებობა იმ ვადებში, როცა იგი უნდა მიმდინარეობდეს
4. აბორტი – ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა
5. ადიულტერი – ცოლ-ქმრული ღალატი
6. ალიბიდემია – სქესობრივი ლტოლვის უქონლობა
7. ანდროგენები – მამაკაცის სასქესო ჰორმონები

8. ანდრომანია (ნიმფომანია) - ქალის სქესობრივი ლტოლვის უკიდურესი გაძლიერება.

9. ანორგაზმია - ორგაზმის უქონლობა ქალებში

10. აუტოფილია (ნარცისიზმი, აუტოერასტია, აუტოეროტიზმი) - სქესობრივი აგზნების მიღწევა საკუთარი შიშველი სქესობრივი ორგანოების ჭვრეტის გზით. ხშირად თან ახლავს მასტურბაცია

11. ბისექსუალი -- ადამიანი, რომელსაც აქვს ორივე სქესის ნიშნები

12. გენიტალია - სქესობრივი ორგანოები

13. გენიტალგია - უსიამოვნო შეგრძნებები სქესობრივი ორგანოების სფეროში (ტკივილი)

14. გერონტოფილია - სქესობრივი ლტოლვა მოხუცებისადმი

15. დისგამია - სქესობრივი ურთიერთობის დისჰარმონია მეუღლეებს შორის

16. დეფლორაცია - საქალწულე აპკის მთლიანობის დარღვევა

17. ეკსჰიბიციონიზმი - სექსუალური გადახრა, როცა სქესობრივი კმაყოფილება მიიღწევა საწინააღმდეგო სქესის უცნობი პირებისადმი შიშველი სასქესო ორგანოების დემონსტრაციით.

18. ექსცესები - სექსუალური აქტის გაწყვეტა დღე-ღამის განმავლობაში რამდენჯერმე აუცილებელი ეიაკულაციით.

19. ერექცია - მამაკაცის სასქესო ასოს გამაგრება, ზრდა და დაჭიმვა

20. ეროგენური ზონები - სხეულის ნაწილები, რომლებიც იწვევენ სქესობრივი აგზნების ან ორგაზმის სტიმულირებას.

21. ესტროგენები - ქალის სქესობრივი ჰორმონები

22. ეიაკულაცია - მამაკაცის სპერმის გამოყოფა სქესობრივი აქტის დროს

23. ვაგინიზმი - საშოსა და მენჯის კუნთების რეფლექტორული შეკუმ-

რიება, რომელიც ხელს უშლის სქესობრივი აქტის წარმოებას

24. ვირგოგამია (ქალწულებრივი ქორწინება), როცა მეუღლეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ იწყებენ სქესობრივ ცხოვრებას

25. ვუაიერიზმი (სკოპტოფილია, სკოპოფილია, მიქსოსკოპია, ვაზიონიზმი) მისწრაფება სხვისი სქესობრივი აქტისა და შიშველი სასქესო ორგანოების ჭვრეტისადმი

26. ზოოფილია (ბესტიოფილია, ზოოერასტია, ბესტიალიზმი) – სქესობრივი ლტოლვა ცხოველებისადმი

27. იმპოტენცია – სქესობრივი ცხოვრების უუნარობა

28. ინფანტოსექსუალიზმი (პედოფილია) – სქესობრივი ლტოლვა მცირეწლოვანებისადმი

29. ინცესტი – სქესობრივი ურთიერთობა სისხლით ნათესავებს შორის

30. კლიტორი – ქალის სასქესო ორგანოს ნაწილი, რომელიც მდებარეობს სქესობრივი ასოს ზედა კუთხეში და რომელსაც აქვს მაღალი სექსუალური მგრძნობელობა.

31. კოიტუსი – სქესობრივი აქტი

32. ლიბიდო – სქესობრივი ლტოლვა

33. ლესბიური სიყვარული (ტრიბადია, საფიზმი) – ქალთა ჰომოსექსუალიზმი

34. მასკულინიზაცია (ვირილიზმი) – მამაკაცური სქესობრივი თვისებების არსებობა ქალებში

35. მაზოხიზმი – სექსუალური გადახრა, როცა სექსუალური ტკბობა მიიღწევა სექსუალური პარტნიორისათვის ფიზიკური ან ფსიქიკური ვნების (ტკივილის) მიყენებით

36. მასტურბაცია (ონანიზმი) – ეროგენური ზონების თვითსტიმულაციისა და გაღიზიანების გზით ორგაზმის ხელოვნურად გამოწვევა

37. ოვულაცია – ფაზა მენსტრუაციებს შორის, როცა კვერცხუჯრედი

გამოდის ვეზიკულარული ფოლიკულიდან.

38. ორგაზმი – სექსუალური აგზნების უმაღლესი ფორმა, რომელიც აღმოცენდება კოიტუსის ან მისი შემცვლელი სქესობრივი აქტივობის რომელიმე ფორმის დროს.

39. პენისი – სქესობრივი ასო

40. პედერასტია – მამაკაცთა ჰომოსექსუალიზმი

41. პეტინგი – ორგაზმის გამოწვევა ურთიერთალერსის გზით სქესობრივი აქტის გარეშე

42. პლურალიზმი (ტრიოლიზმი) – როცა სქესობრივ ურთიერთობაში მონაწილეობს სამი და მეტი სქესობრივი პარტნიორი

43. პოლიუცია – თესლის უნებლიე გამოყოფა სქესობრივი აქტის გარეშე

44. პოტენცია – სქესობრივი ცხოვრების უნარი

45. პრიაპიზმი – სქესობრივი ასოს პათოლოგიური ერექცია

46. პრომისკუიტეტი – უწესრიგო სქესობრივი კავშირები

47. სადიზმი – სქესობრივი გაუკუღმართება, როცა სქესობრივი აგზნება მიიღწევა სქესობრივი პარტნიორისათვის ფიზიკური ან სულიერი ვნების და ტკივილის მიყენებით

48. სატირიაზისი – მამაკაცის სქესობრივი ლტოლვის პათოლოგიური გაძლიერება

49. სპერმატოზოიდი – მამაკაცის სასქესო უჯრედი

50. ურეთრა – შარდგამომყოფი არხი

51. ფრიგიდულობა – ქალის სქესობრივი ინდიფერენტულობა (სიცივე), სქესობრივი ლტოლვის დაქვეითება, ორგაზმის განცდის უუნარობა

52. ფემინიზმი – ქალური სხეულებრივი და სულიერი ნიშნების არსებობა მამაკაცებში

53. ჰორმონები – ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომელსაც გამოყოფენ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები

54. ჰიპერსექსუალობა (ნიმფომანია, სატირიაზისი) - სქესობრივი ლტოლვის გაძლიერება

55. ჰეტეროსექსუალობა - სქესობრივი ლტოლვა საწინააღმდეგო სქესისადმი

56. ჰომოსექსუალიზმი - სქესობრივი ლტოლვა საკუთარი სქესისადმი

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. სვიადოშჩი ა. ქალთა სექსოპათოლოგია. თბ., 1991 წ.
2. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია. ა. პეტროვსკის რედაქციით, თბ., 1977 წ. გვ. 197-200.
3. Кон И.С. Психология старшеклассника. М., 1960 г. Стр.113-126.
4. Кон И.С. Психология юношеского возраста. М., 1979 г. Стр.120-138.
5. Кон И.С. Психология ранней юности. М., 1989 г. Стр.213-238.
6. Кон И.С. Введение в сексологию. М., 1988 г. Стр.213-252.
7. Исаев Д.Н., Каган В.Е. Психогигиена пола у детей. Л., 1986 г.
8. Общая сексопатология. Под ред. Васильченко Г.С. М., 1977 г.
9. Шнабль З. Мужчина и женщина. Киев, 1990 г.
10. Нагаев В.В., Бендас Т.В. Психология чувств и их воспитание. Пермь, 1982 г.

II. Гозман Л.Я. Психология эмоциональных отношений. М. 1987 г.

I2. Исаев Д.Н., Каган В.Е. Половое воспитание и психогигиена пола у детей. М., 1979. г.

I3. Имелинский К. Сексология и сексопатология. М., 1986 г.

I4. Бридман Л.М., Калугина И.Ю. Психологический справочник учителя. М., 1991.

I5. Ковалев С.В. Подготовка старшеклассников к семейной жизни. М., 1991 г.

I6. Гадасина А.Д. Плоды запретов. М., 1991 г.

I7. Хрипкова А.Г., Колесов Д.В. В семье сын и дочь. М., 1985 г.

I8. Алешина Ю.Е., Гозман Л.Я., Дубовская Е.М. Социально-психологические методы исследования супружеских отношений. М., 1987 г.

I9. Сексопатология. Под ред. Г.С.Васильченко. М., 1990. г.

20. Исаев Д.Н., Каган В.Е. Половое воспитание детей. Ленинград, 1988 г.

2I. Кон И.С. Психология половых различий. Ж. "Вопросы психологии", 1981 г., № 2.

22. Ходаков Н.М. Молодым супругам. М., 1974 г.

23. Нагаев В., Обросов И. Очерки половой психологии. Сыктывкар, 1977 г.

24. Кушнирук Ю.И., Щербеков А.П. Популярно о сексологии. Киев, 1986 г.

25. Владин В., Капустин Д. Гармония семейных отношений. Р/Дон, 1989. г.

26. Голод С.И. Личная жизнь, любовь, отношения полов. Ленинград, 1990 г.
27. Ходаков Н.М. Молодым супругам. М., 1991 г.
28. Станков А.Г. Что надо знать до брака и в браке. Ташкент, 1982 г.
29. Кочетов А.И. Начала семейной жизни. Минск, 1989 г.
30. Логинов А.А. Мужчина и женщина. Минск, 1989 г.
31. Марьясис Е.Д. Мужчина и женщина. Ставрополь, 1989 г.
32. Нойберт Р. Новая книга о супружестве. Волгоград, 1983 г.
33. Исаев Д.Н., Каган В.Е. Половое воспитание детей. Ленинград, 1988 г.
34. Бызовая В.М. Влияние особенностей личности на половые взаимоотношения в юношеском возрасте. Автореферат, Ленинград, 1985 г.
35. Колесов Д.В., Сельверова Н.Б. Физиолого-педагогические аспекты полового созревания. М., 1978 г.
36. Колесов Д.В. Беседы о половом воспитании. М., 1986 г.
37. Васлоцкая Ш. Искусство любви. М., 1990 г.
38. Юнда И.Ф., Юнда Л.И. Социально-психологические и медико-биологические основы семейной жизни. Киев, 1990 г.
39. Буртянский Д.Л., Кришталь В.В., Смирнов Г.В. Медицинская сексология. Саратов, 1990 г.
40. Владин В.З., Капустин Д.З. Гармония брака. Челябинск, 1990 г.
41. Берн Э. Секс в человеческой любви, М., 1990 г.

42. Пол, брак, семья. Под редакцией Понхристова П. София, 1977 г.

43. Свядощ А.М. Женская сексопатология. М., 1988 г.

44. Донован Б.Т. Физиология полового развития. М., 1974 г.

# თ ა ვ ი VII

## პროფესიის არჩევა უფროს სასკოლო ასაკში

მომავალი ცხოვრებისეული გეგმების შემუშავება პიროვნების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია. ესაა რეგულაციის ახალი ტიპი – მიზნობრივი რეგულაცია. ცხოვრებისეული პერსპექტივის ჩამოყალიბება უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ცხოვრებისეული გეგმები, როგორც გარესამყაროსთან შეგუების განსაზღვრული სისტემა, პირველად ჯერ კიდევ გარდამავალ ასაკში ცნობიერდება, ხოლო პროფესიის არჩევა პიროვნულ ღირებულბას უფროს სასკოლო ასაკში იძენს.

ცხოვრებისეული გეგმები განსაზღვრავენ და აპირობებენ უფროსკლასელთა ქცევას. ეს გეგმები ყალიბდება სოციალური პირობების ზემოქმედების შედეგად, რის გამოც ცხოვრებისეული გეგმები შეიძლება განვიხილოთ როგორც აღზრდის პროცესის შედეგი. უფროსკლასელთა ცხოვრებისეული გეგმები ინდივიდუალურია. იგი განსაზღვრულია პიროვნული თავისებურებებით. ცხოვრებისეული გეგმა არის მომავალი ცხოვრების განსაზღვრული სახით მოწყობის სუბიექტური მზაობის მდგომარეობა.

ცხოვრებისეული გეგმები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია პროფესიულ თვითგამორკვევასთან. ცხოვრებისეული გეგმები ყალიბდება პროფესიის არჩევის რამდენიმე ვარიანტის განხილვის პროცესში.

უფროსკლასელთა ცხოვრებისეული გეგმების ერთ-ერთი თავისებურება არის პროფესიული გეგმის ნაკლები კონკრეტულობა. უფროსკლასელები ძალიან ოპტიმისტური არიან კარიერის საფეხურზე წინსვლის ოცნებებში, რაც საერთო ჭაბუკური ოპტიმიზმის გამოვლენაა. მათ ჯერ კიდევ კარგად არა აქვთ დიფერენცირებული სამომავლო იდეალური და რეალური მიზნები. მოზარდი დგას მოქმედების დარგის არჩევის წინაშე, ხოლო ადრეული ჭაბუკისათვის მთავარია ამ დარგის შიგნით კონკრეტული სპეციალობის არჩევა.

უფროს სასკოლო ასაკში პროფესიის პირველადი არჩევის ეტაპს მოსდევს პროფესიული თვითგამორკვევის ეტაპი, როცა მოსწავლე თავისთვის რეალურად აყალიბებს პროფესიის სახეს საკუთარი ფსიქო-ფიზიოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამის შემდეგ იგი რეალურად აფასებს სასკოლო დისციპლინების როლსა და მნიშვნელობას.

უფროსკლასელი დგას დამოუკიდებელი ცხოვრების ზღურბლზე, რომელიც ქმნის განვითარების ახალ სოციალურ სიტუაციას, იგი . მთლიანად ცვლის სწავლის ღირებულებას, მნიშვნელობას, ამოცანებსა და შინაარსს. სასწავლო პროცესს უფროსკლასელები ახლა იმის მიხედვით აფასებენ, თუ რას იძლევიან სასწავლო დისციპლინები სამომავლოდ მათ მიერ არჩეული დარგის სფეროში. უფროსკლასელები აწმყოს მომავლის პოზიციიდან უყურებენ. —

უფროს სასკოლო ასაკში მყარდება თავისებური კავშირები პროფესიულ და სასწავლო ინტერესებს შორის. თუ მოზარდობის ასაკში პროფესიის არჩევას განსაზღვრავენ სასწავლო ინტერესები, უფროსკლასელებში პირიქით, პროფესიის არჩევა განსაზღვრავს სასწავლო ინტერესების ფორმირებას. უფროსკლასელებს ახლა ის საგნები აინტერესებთ, რომლებიც მათ სჭირდებათ არჩეულ პროფესიებთან დაკავშირებით.

უფროსი სასკოლო ასაკი არის ცხოვრებისეული შრომითი თვითგამორკვევის ასაკი. მოზარდი, როგორც წესი, სერიოზულად არ ფიქრობს თავისი მომავალი პროფესიის შესახებ. უფროსკლასელები კი ამ საქმეს სერიოზულად უდგებიან და მათ საკუთარი არჩევანის არგუმენტებით გამართლება შეუძლიათ.

პროფესიის, როგორც ქცევის განსაზღვრული აქტის არჩევას, შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ფსიქოლოგიური შინაარსი და შეიძლება განხორციელდეს განსხვავებული ფსიქოლოგიური პროცესების საფუძველზე. ზოგიერთისთვის პროფესიის არჩევა არის ცხოვრებისეული გზის არჩევა, საზოგადოებაში განსაზღვრული ადგილის პოვნა, სოციალურ

ცხოვრებაში ჩართვა. პროფესიის ასეთი არჩევა, რომელიც აყვანილია თვითგამორკვევის რანგში, რთული პროცესია. იგი ხასიათდება მომავალი სპეციალობისადმი საკუთარი ფსიქო-ფიზიოლოგიური შესაძლებლობების მისადაგებით. პროფესიის ასეთი არჩევა მოსწავლის საერთო განვითარების მაღალ დონეს მოითხოვს. მაგრამ, ამავე დროს, პროფესიის არჩევა შეიძლება განხორციელდეს სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური მექანიზმების საფუძველზე. ზოგიერთი მოსწავლე პროფესიას ირჩევს შემთხვევით, თანატოლებისა და მშობლების მიბაძვით.

როგორც აღვნიშნეთ, გარდამავალი ასაკის მოზარდებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ საკუთარი ფსიქოლოგიური შესაძლებლობების ადექვატური შეფასება. ისინი ხშირად ასახელებენ იმ დარგს, რომელიც უნდა აირჩიონ, კონკრეტული სპეციალობის ჩვენების გარეშე. ეს დარგი უშუალოდაა დაკავშირებული მათი სასწავლო საგნების შინაარსთან.

ქართულ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ნაცადია პროფესიული ორიენტაციის ფსიქოლოგიური საფუძვლების განწყობის თეორიის შუქზე ახსნა (1, 181-221; 2, 13-39; 3, 34-70). განწყობა არის მთლიანი პიროვნებისეული მდგომარეობა, მზაობა, რომელიც წინ უსწრებს ნებისმიერი ქცევის დაწყებას და, რაც მთავარია, განსაზღვრავს ამ ქცევის მიმართულებას. პროფესიული ორიენტაცია არის შორეული მოტივაციური ქცევის ბუნების მოვლენა. იგი არის მომავალი პროფესიული ქცევის წინასწარი განსაზღვრა. ეს ქცევა ყალიბდება გარემოს ზემოქმედებისა და მოთხოვნილების საფუძველზე. მასში ასახულია მიზნის მიღწევის საშუალებები და პროფესიული საქმიანობის განხორციელების პირობები. პროფესიული ორიენტაცია მოიცავს მოთხოვნილებებს, ინტერესებს, მისწრაფებებს, თვითშეფასებას და შემდგომი პროფესიული წარმატების პირობებსაც. პროფესიული ორიენტაცია ქმნის წარმოსახულ სიტუაციას, რომლის საფუძველზეც პიროვნებაში იქმნება განწყობა ანუ შინაგანი მზაობა, რაც გადაწყვეტილების მიღების ანუ პროფესიის არჩევის

საფუძველი ხდება: განწყობის თეორია წარმოადგენს პიროვნების ქცევის ისეთ თეორიას, რომელიც იძლევა ქცევის მზაობის წარმოქმნის რეალურ მოდელს.

დიფერენცირებული, პროფილირებული სწავლების შემოღებამ დადებითი გავლენა მოახდინა პროფესიული განწყობის შექმნისა და განმტკიცების საქმეში.

გეგმაზომიერი პროფესიული ორიენტაცია ხელს უწყობს პროფესიის ნამდვილი, რეალური არჩევის შესაძლებლობას დამამთავრებელ კლასებში.

პროფესიული თვითგამორკვევა გაივლის სამ ეტაპს. პირველი ეტაპი არის ბავშვური თამაშები, როცა ბავშვი ასრულებს განსხვავებულ პროფესიულ როლებს და თამაშში ახდენს მის რეალიზაციას (ექიმობანა, მასწავლებლობანა...). მეორე ეტაპია მოზარდების ფანტაზია, როცა მოზარდი ოცნებებში ხედავს თავის თავს რომელიმე პრესტიჟული ან მიმზიდველი პროფესიის წარმომადგენლად. მესამე ეტაპია პროფესიის წინასწარი არჩევა. იგი მოიცავს გარდამავალი ასაკის ბოლო წლებს და ჭაბუკობის მთელ პერიოდს. ამ დროს მოქმედებათა და პროფესიათა მრავალრიცხოვანი სახეები ჯგუფდება და ფასდება მოზარდების და უფროსკლასელთა ინტერესების, მიდრეკილებების, უნარ-ჩვევების, ნიჭისა და ღირებულებათა სისტემის მიხედვით, მეოთხე ეტაპი არის გადაწყვეტილების პრაქტიკული მიღება. დამამთავრებელ კლასებში იგი საბოლოოდაა ჩამოყალიბებული, მაგრამ არაა მტკიცე და მყარი, რის გამოც შეიძლება შეიცვალოს. ესაა პროფესიის ნამდვილი არჩევა, რაც სპეციალობის საბოლოო არჩევას გულისხმობს: რომელიმე კონკრეტული სპეციალობის არჩევა ობიექტურ პირობებზეცაა დამოკიდებული. ესაა სოციალური მდგომარეობა, ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის პერსპექტივა და მშობლების განათლებისა და კულტურის დონე:

პროფესიის არჩევა რთული, ფაქიზი და ხანგრძლივი პროცესია. ხშირია შემთხვევები, როცა უფროსკლასელები აჭიანურებენ პროფესიულ თვითგამორკვევას. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ არ აქვთ გამოკვეთილი მყარი ინტერესები. ეს გაჭიანურება ხშირად უკავშირდება უფროსკლასელთა ზოგად მოუმწიფებლობასა და ქცევისა და სოციალური ორიენტაციის ინფანტილურ ხასიათს.

მეტად მნიშვნელოვანია უფროსკლასელთა ინფორმაციის ხარისხი და დონე საკუთარი ფსიქო-ფიზიოლოგიური შესაძლებლობებისა და მრავალი პროფესიის მოთხოვნების შესახებ. უფროსკლასელებმა, სამწუხაროდ, ძალზე ცუდად იციან პროფესიათა თავისებურებანი. მათ ასე თუ ისე იციან ექიმისა და იურისტის პროფესიის პრესტიჟის შესახებ, მაგრამ ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენები აქვთ ამ პროფესიათა კონკრეტული სპეციფიკისა და ამ პროფესიისათვის საჭირო საკუთარ ფსიქო-ფიზიოლოგიურ შეხედულებების შესახებ.

უფროსკლასელთა პროფესიული გეგმები ყალიბდება მრავალი ფაქტორის გავლენით. ეს ფაქტორები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ესაა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. პროფესიის არჩევის ობიექტური ფაქტორებია ოჯახი, სკოლა, ახლობელთა წრე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სხვა. ხოლო სუბიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება ინტერესები, მიდრეკილებები, ღირებულებითი ორიენტაციები, ნიჭი, პრეტენზიის დონე, თვითშეფასება და სხვა.

ერთ-ერთი ძლიერი ობიექტური ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს პროფესიის არჩევაზე, არის ოჯახი. ამ მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ მშობელთა სოციალური მდგომარეობა, რომელიც მოსწავლეთა პროფესიულ გეგმებზე ძლიერ გავლენას ახდენს. უმაღლესი განათლების მქონე მშობელთა შვილები უმეტესწილად თავიანთ სამომავლო გეგმებს უკავშირებენ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებას. ინტელექტუალური შრომის მშობელთა ოჯახებ-

ში უმაღლესი განათლების მიღება აუცილებელი მოთხოვნაა.

ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია სკოლა. სკოლაში ყალიბდება ინტერესები, მოსწავლე აქ ეცნობა პროფესიათა კლასიფიკაციას, პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლაში მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობს. სოციალური გარემოს მეორე ფაქტორია თანატოლთა ჯგუფი. პროფესიის არჩევაზე მისი გავლენა ოჯახთან და სკოლასთან შედარებით ნაკლებია. მეგობართა წრე, როგორც აღვნიშნეთ, იკვრება და ყალიბდება ინტერესთა ერთიანობისა და მსგავსების საფუძველზე. მსგავსი ინტერესების მოსწავლეები, ხშირად, ერთნაირ პროფესიებს ირჩევენ. განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვთ ამ თვალსაზრისით ჯგუფის ლიდერებს.

პროფესიის არჩევის ერთ-ერთი ძლიერი სუბიექტური ფაქტორია ინტერესები. ინტერესი არის განსაზღვრული მოვლენებისადმი და მოქმედებისადმი სწრაფვის ემოციურად შეფერილი არჩევითი დამოკიდებულება. ინტერესებთანაა დაკავშირებული ადამიანის შემეცნებითი სფეროს გააქტიურება, მიდრეკილებები, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც კონკრეტულ ქცევებში ინტერესების რეალიზაცია. უფროსკლასელთა პროფესიულ ორიენტაციასთან დაკავშირებით გამოყოფენ ინტერესთა ხუთ ჯგუფს (25, 32):

1) ამ ჯგუფში ერთიანდებიან ფართო წრის აქტიური ინტერესების მქონე უფროსკლასელები. ინტერესთა ამ წრეში გამოიყოფა ღრმა, სპეციალური, ცენტრალური ინტერესი, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის სასწავლო ინტერესებზე და ძირითადად განსაზღვრავს პროფესიის არჩევას. მოსწავლეთა მთელი სასწავლო და არასასწავლო საქმიანობა ამ ინტერესს ემორჩილება.

2) ამ ჯგუფში შედიან ის უფროსკლასელები, რომლებსაც აქვთ ერთმანეთისგან იზოლირებული აქტიური ინტერესთა ფართო წრე. პროფესიის არჩევის პროცესი ასეთ მოსწავლეებში ხასიათდება საკუთარი

მიზნების უქონლობით და პროფესიის არჩევა დამოკიდებულია გარეგან ფაქტორებზე.

3) ამ ჯგუფში გაერთიანებულ მოსწავლეებს აქვთ შეზღუდული ინტერესები, რომლებიც დაკავშირებულია ცოდნის განსაზღვრულ სფეროსთან. ეს ინტერესები პასიურია და მოსწავლეებს არ აღძრავენ შესაბამისი ქცევის განხორციელებისათვის. ამ ინტერესთა რეალიზაცია განისაზღვრება გარეგანი ფაქტორებით.

4) ამ ჯგუფის უფროსკლასელებს აქვთ სუსტ, იზოლირებულ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ ინტერესთა ვიწრო წრე. პროფესიის არჩევა გაძნელებულია.

5) ამ ჯგუფის წარმომადგენლებს აქვთ აშკარად გამოხატული პასიური და დიფუზიური ინტერესები. ასეთ მოსწავლეებს არა აქვთ საყვარელი საქმიანობა და პროფესიული მიმართულობა. პროფესიის არჩევა მთლიანადაა დამოკიდებული გარეგან ფაქტორებზე.

უფროს სასკოლო ასაკში ინტერესების სტრუქტურის ფორმირების თავისებურებაა პროფესიულ მიზნებთან და გეგმებთან შერწყმა. ღრმა შემეცნებითი ინტერესები, ხშირად, გარდაიქმნება მეცნიერულ და პროფესიულ ინტერესებად, რის გამოც შემეცნებით ინტერესთა დიაგნოსტიკა და განვითარების მიმართულების განსაზღვრა არის პროფესიული კონსულტაციის მნიშვნელოვანი ამოცანა.

უფროსკლასელთა პროფესიული თვითგამორკვევა ქცევის რთული ფორმაა და ექვემდებარება მოტივაციას. ამ ქცევის რეალიზაციას ხელს უწყობს მთელი პიროვნება მისი მოთხოვნილებებით, ინტერესებით, მისწრაფებებით და მოტივაციური სფეროთი. ადამიანი ქცევაში ხელმძღვანელობს მრავალი მოტივით. ჭაბუკობის ასაკში მოტივაციურ სფეროს აქვს იერარქიული სტრუქტურა. უფროსკლასელთა მოტივები ხასიათდება ინტენსივობით, შეგნებულობითა და ქმედითობით. პროფესიის არჩევისას შედარებით გავრცელებული მოტივებია შრომის შინაარსისადმი

ინტერესი, შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მატერიალური დაინტერესება, რომანტიკა, ჰუმანურობა, ქველმოქმედება, პროფესიათა პერსპექტივა და სხვ.

პროფესიულ თვითგამორკვევაზე დიდ გავლენას ახდენს პიროვნების სტრუქტურული კომპონენტები, რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად (20, 11-13): ა) ამ ჯგუფში ერთიანდებიან პიროვნების ისეთი თვისებები, რომლებიც ხელს უწყობენ პროფესიის წარმატებით არჩევას, მაგრამ ამ პროცესის აქტივიზაციაში პირდაპირ და უშუალოდ არ მონაწილეობენ. როგორც აღვნიშნეთ, ნამდვილი პროფესიული თვითგამორკვევა გულისხმობს ასარჩევი სპეციალობის მოთხოვნების ანალიზს და საკუთარი თავის ვარგისიანობის მისადაგებას ამ მოთხოვნებისადმი, რაც თავისთავად მოითხოვს აბსტრაქტული აზროვნების განვითარებას, ნებისყოფას, გარკვეულ ცხოვრებისეულ და შრომით გამოცდილებას; ბ) ამ ჯგუფში ერთიანდება პიროვნების ისეთი თვისებები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პროფესიის არჩევაში და პიროვნების განვითარების მიმართულებას აძლევენ. ესენია პროფესიული თვითგამორკვევის მოთხოვნილებები, სასწავლო და პროფესიული ინტერესები, მიდრეკილებები, იდეალები, მრწამსი, განწყობები და ღირებულებითი ორიენტაციები. პიროვნების ამ თვისებებს აქვთ დინამიკური ხასიათი.

როგორც აღვნიშნეთ, უფროსკლასელთა ფსიქიკის განვითარების თავისებურება ისაა, რომ განვითარების ახალ სოციალურ სიტუაციას - ცხოვრებაში საკუთარი ადგილის გარკვევას, მივყავართ ამ ასაკის ცენტრალური ახალწარმონაქმნამდე - საკუთარი ცხოვრებისეული, უპირველეს ყოვლისა, პროფესიული თვითგამორკვევის მოთხოვნილების ჩამოყალიბებამდე. პროფესიული ზრახვები სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზეც წარმოიქმნება. უმცროსკლასელთათვის პროფესიის არჩევა დაკავშირებულია უფროსების ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების

სურვილთან და გვევლინება როლური თამაშების ელემენტებად. უმცროს მოზარდებში - პროფესიის არჩევა არის ოცნებების ახდენის ფორმა გმირული და პრესტიჟული მომავლის მიმართულებით. მათ აინტერესებთ არა პროფესიის კონკრეტული შინაარსი, არამედ ის როლი, რომელსაც ამ პროფესიის წარმომადგენელი ასრულებს, რაც მათი პროფესიული ზრახვების ხშირი ცვლის მიზეზი ხდება. მოზარდები პროფესიის არჩევის ამოცანას არ განიხილავენ როგორც მათი მისწრაფებების განსაზღვრის პრობლემას. მათთვის ეს არის მიბაძვის აქტი. მხოლოდ ადრეული ჭაბუკობის ასაკში განვითარების ახალი სოციალური სიტუაციის საფუძველზე თვითგამორკვევის პრობლემა იქცევა პიროვნების აქტუალურ მოთხოვნილებად. ცხოვრებისეული გეგმები აღმოცენდება მხოლოდ მაშინ, როცა განსჯის ობიექტად იქცევა არა მხოლოდ საბოლოო მიზანი, არამედ მისი მიღწევის ხერხები, ის ობიექტური და სუბიექტური რესურსები, რომლებიც ამისთვისაა საჭირო და აუცილებელი.

პროფესიული თვითგამორკვევის ფსიქოლოგიური შინაარსი არის არა მარტო პროფესიის არჩევა, არამედ ამ არჩევანის შინაგანი ფსიქოლოგიური საფუძვლების შემუშავება. უფროს სასკოლო ასაკში განვითარების სოციალური სიტუაცია აპირობებს საკუთარი თვისებებისა და შესაძლებლობების გაცნობიერების მოთხოვნილების გაჩენას, რომელიც უკავშირდება ცხოვრებისეული გზის არჩევას. ამ მოთხოვნილების გაჩენა შესაძლებელი ხდება თვითცნობიერების განვითარებასთან დაკავშირებით. თვითცნობიერება არის საკუთარი თავისა და საკუთარი "მე"-ს გაცნობიერება. თვითცნობიერების საფუძველია თვითშეფასება. საკუთარი თავის გაცნობიერება არის საკუთარი ძალების, შესაძლებლობების, პიროვნული თვისებების გაცნობიერება და ობიექტური შეფასება, რასაც პროფესიის არჩევის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. უფროსკლასელები ირჩევენ ისეთ პროფესიებს და სპეციალობებს, რომლებიც შეესატყვისება საკუთარ შესაძლებლობათა მათეულ გაგებასა და შეფასე-

ბას. ინის გამო, რომ უფროსკლასელთა მიერ საკუთარ შესაძლებლობათა შეფასება არაა მთლად ადეკვატური და ობიექტური, პროფესიის არჩევის პროცესში შეცდომებიცაა მოსალოდნელი. მოზარდებისაგან განსხვავებით უფროსკლასელები აცნობიერებენ თვითშეფასების როლსა და აუცილებლობას. მათ უკვე აქვთ ჩამოყალიბებული თვითშეფასების მოთხოვნილება.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. მ. ზარანდია - მოსწავლეთა პროფესიული მიდრეკილებების, ინტერესებისა და ორიენტაციის ფორმირების საკითხები სკოლაში. თბ., 1981 წ.
2. მ. ზარანდია - პროფესიული ორიენტაცია და პიროვნების ფორმირების ფსიქოლოგიური საკითხები, თბ., 1987 წ.
3. ნ. ნასრაშვილი - მოსწავლეთა პროფორიენტაციის ფსიქოლოგიური საკითხები. თბ., 1979 წ.
4. ვ. კაკაბაძე - პროფესიის არჩევის ფსიქოლოგიური საფუძვლები. წიგნში - "პედაგოგიური ფსიქოლოგია", ნაწილი მეორე, მ. ჩხარტიშვილის რედაქციით. თბ., 1965 წ.
5. ვ. ხიდაშელი - პოლიტექნიკური სწავლებისა და პროფორიენტაციის ფსიქოლოგიური საკითხები, თბ., 1979 წ.
6. ნ. ზამახიძე - ახალგაზრდობის პროფორიენტაციის ფსიქოლოგიური საკითხები. თბ., 1982 წ.
7. Крутецкий В.А. Основы педагогической психологии. М., 1972 г. Стр.144-152.
8. Крутецкий В.А., Лукин Н.С. Очерки психологии старшего школьника. М., 1963 г. Стр.66-120.

9. Жуковская В.И. Психологические основы выбора профессии. Минск, 1978 г.

10. Жуковская В.И. Психологические основы профориентации. В книге - "Актуальные проблемы возрастной и педагогической психологии". Минск, 1980 г. Под ред. Ф.И.Иващенко и Я.Л.Коломинского. Стр.106-126.

11. Титма М.Х. Выбор профессии как социальная проблема. М., 1975 г.

12. Кухарчук А.М., Ценципер А.Б. Профессиональное самоопределение учащихся. Минск, 1976 г.

13. Голомшток А.Е. Выбор профессии и воспитание личности школьника. М., 1979 г.

14. Толстых Н.Н., Жизненные планы подростков и юношей. "Вопросы психологии", 1984 г., № 3.

15. Кон И.С. Психология ранней юности. М., 1989 г.

16. Жуковская В.И. Психологические основы выбора профессии. Минск, 1978 г.

17. Божович Л.И. Личность и ее формирование в детском возрасте. М., 1968 г. Стр. 365-374.

18. Возрастная и педагогическая психология. Под ред. М.В.Гамезо и др. М., 1984 г. Стр.232-234.

19. Рабочая книга школьного психолога. Под ред.И.В.Дубровиной. М.,1991 г. Стр.250-274.

20. Шавир П.А. Психология профессионального самоопределения в ранней юности. М., 1981 г.

21. Шавир П.А. Психология профессионального самоопределения в ранней юности. Учебное пособие. Тюмень, 1980 г.

22. Павлютенков Е.М. Профессиональная ориентация учащихся. Киев, 1983 г.

23. Павлютенков Е.М. Формирование мотивов выбора профессии. Киев, 1980 г.

24. Павлютенков Е.М. Управление профессиональной ориентацией в общеобразовательной школе. Владивосток, 1990 г.

25. Орел В.Е. Психологические основы профконсультационной работы со школьниками. Ярославль, 1990 г.

26. Павлютенков Е.М. Кем быть? Киев, 1989 г.

27. Климов Е.А. Как выбирать профессию. М., 1990 г.

28. Климов Е.А. Некоторые психологические принципы подготовки молодежи к труду и выбору профессии. "Вопросы психологии", 1985 г., № 4.

29. Кряжде С.П. Управление формированием профессиональных интересов. "Вопросы психологии", 1985 г., № 3.

30. Мкртчян Г.М., Чиркова А.Е. О профессиональных ориентациях старшеклассников. "Вопросы психологии", 1985 г., № 3.

## შ ი ნ ა ა რ ს ი


ავტორისაგან 3

თავი I. უფროსკლასელთა ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავი-
სებურებანი 4

თავი II. პიროვნების განვითარება უფროს სასკოლო ასაკ-
ში 9

თავი III. უფროსკლასელთა სასწავლო საქმიანობა და
შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები 35

თავი IV. უფროსკლასელთა გრძნობები და ემოციები 45

თავი V. უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობა
უფროს სასკოლო ასაკში: ადრეულ ჭაბუკთა მე-
გობრობა 54

თავი VI. უფროსკლასელთა ფსიქოსექსუალური განვითარება
და ოჯახური ცხოვრებისათვის მომზადება 72

თავი VII. პროფესიის არჩევა უფროს სასკოლო
ასაკში 102